გაზეთი დაარსებულია 1918 წელს.
ხუთშაბათი, 3 ნოემბერი, 2005 წელი.
№255 (5288)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ხალხის სიცოცხლეა, ფიქრით და ცდით მოყვანილი მკაცრი შეხედულება ყოველი პატიოსანი კაცის ნებაზეა დამოკიდებული.

# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, პოლონეთში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში. ფასი 50 თეთრი.

**◉ პრეზიდენტი**

## მიხეილ სააკაშვილი: ხალხს მუდმივად უნდა ვუსმინოთ



2 ნოემბერს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სიტყვა წარმოთქვა. ქვეყნის პირველმა პირმა მინისტრთა კაბინეტის თითქმის ყველა წევრი გააკრიტიკა და თავიანთ სამინისტროებში რეფორმების დაჩქარება მოსთხოვა.

იხ. მე-2 გვ.

## რადიო „თავისუფლება“ თავისუფალი რადიოა



იხ. მე-3 გვ.

**◉ შევეწიოთ!**

### სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

| | |
|---|---|
| ნადირაძე | — 50 ლარი; |
| ავთანდილ წამალაშვილი | — 100 ლარი; |
| რუსუდან ბოკერია | — 10 ლარი; |
| აკა, ლიკა, სოფო, მარიამ მიქელაშვილები | — 15 ლარი; |
| ე. ბიბილეიშვილი | — 10 ლარი; |
| ჯ. ხომასურიძე | — 10 ლარი; |
| შემოწირულობა ყულაბებიდან | — 285 ლარი. |

## დღეს ვაქვეყნებთ საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში საგამოცდო პროგრამის ნაწილს

იხ. მე-6 გვ.




იხ. მე-6 გვ.

## ვინ არის კახა ლომაია — განათლების მინისტრი თუ პროკურორი?

იხ. მე-2 გვ.



## როგორ იქცა ქართველი ბიჭი აფხაზად



ამიერიდან თამაზ-ბესლანი აფხაზიცაა და ქართველიც. ის ორივე ერის შვილია. მისი სამშობლოა სოხუმი, ისევე, როგორც ახლა — თბილისი. ამ ვაჟკაცს ღმერთმა არგუნა ორივე ერის სიყვარული მსოფლიოს დასანახად, ორი დაპირისპირებული ხალხის დასანახად, რადგან განგებამ ერთ არსებაში მოაქცია აფხაზეთი და საქართველო.

რამდენ რამეზე გვაფიქრებს ეს მაგალითი...

იხ. მე-3-4 გვ.

**◉ ინფორმაცია**

### საგარეო უწყება პროტესტს გამოთქვამს

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო აფხაზეთის სეპარატისტული პარლამენტის მიერ ე. წ. „აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეების შესახებ“ კანონის მიღებას აპროტესტებს. საგარეო უწყების განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ „აფხაზეთის სეპარატისტული პარლამენტის მიერ მიღებული ნებისმიერი დადგენილება და საკანონმდებლო აქტი არალეგიტიმურია და თავიდანვე ბათილად ითვლება, ამგვარი მოქმედება არის აფხაზეთის დე-ფაქტო რეჟიმის კიდევ ერთი მცდელობა, არა მარტო ფაქტობრივად შეინარჩუნოს რეგიონში ქართველთა ეთნიკური წმენდის შედეგად ხელოვნურად შეცვლილი დემოგრაფიული მდგომარეობა, არამედ მოახდინოს ამ წმენდის ლეგიტიმიზაცია. შექმნილ ვითარებაში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო საერთაშორისო საზოგადოებას სეპარატისტთა ქმედებების დაგმობას სთხოვს და მიაჩნია, რომ სეპარატისტთა ასეთი ქმედებები რადიკალურად ეწინააღმდეგება... უპირისპირდება კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მიზნით მსოფლიო თანამეგობრობის ძალისხმევას.

2005 წლის 24 ოქტომბერს სეპარატისტთა მიერ მიღებული კანონის მიხედვით, აფხაზეთის მოქალაქედ ითვლება ყველა ეთნიკური აფხაზი, მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა და მოქალაქეობისა; ყველა ის პირი, რომელიც 1999 წლის 12 ოქტომბერს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტის მიღების შემდეგ არანაკლებ 5 წლისა მუდმივად ცხოვრობდა აფხაზეთში.

### განხეთქილება ქუთაისელ „კონსერვატორებში“

ქუთაისელი „კონსერვატორები“ ცენტრალურ ოფისს ემიჯნებიან.

პარტიის ქუთაისელმა ლიდერმა დავით ძოწენიძემ განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილებით გუშინ მთლიანმა შემადგენლობამ პარტია დატოვა. ამის მიზეზად ისინი კობა დავითაშვილთან არსებულ არაკონსტრუქციულ თანამშრომლობას ასახელებენ. „გვესაუბრა ერთად, გაეზიარებინა ჩვენი პრობლემები, მან არაფრად ჩაგვაგდო, ე.ი. არაფრად გვთვლის. ამის გამო მასთან ვერ ვიქნებით“, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ დავით ძოწენიძემ. „კონსერვატორების“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციაში 400-ზე მეტი კაცია გაწევრიანებული. მათ ჯერ გადაწყვეტილი არა აქვთ რომელ პოლიტიკურ ძალასთან დადგებიან.

ინტერპრესნიუსი

**◉ პანორამა**

მეორე მსოფლიო ომის დროს ბრიტანელი მეძავები მოსვენებას არ აძლევდნენ ამერიკელ ჯარისკაცებს. ლონდონში დაბანაკებული ამერიკელი სამხედროები შინ გაგზავნილ წერილებში აღნიშნავდნენ, რომ მათ ხშირად „ეკიდებიან“ მსუბუქი ყოფაქცევის გოგონები. ამან ოფიციალური პირების დიდი შეშფოთება გამოიწვია, რადგან ნაცისტები თუ შეიტყობდნენ ინგლისელი ქალბატონების ასეთ ქცევას, თავიანთ პროპაგანდაში ამორალური სახით დახატავდნენ ბრიტანელ ქალებს.



* * *

ლატვიის სეიმმა აკრძალა საჯარო ღონისძიებების დროს სვასტიკის და კომუნისტური სიმბოლიკის გამოყენება. ახლა სეიმი აპირებს, სასწრაფოდ მიიღოს „შეკრებების, მსვლელობებისა და პიკეტების შესახებ“ კანონის შესწორება. კამათი, კერძოდ, გამოიწვია მსვლელობებისა და პიკეტების დროს ყოფილი სსრ კავშირის და ნაცისტური გერმანიის სიმბოლიკების გამოყენებასთან დაკავშირებულმა პრობლემამ. საბოლოო ანგარიშით, „ერთიან ლატვიაში ადამიანების უფლებებისთვის ბრძოლის“ გაერთიანების მიერ შეტანილი წინადადება უარყვეს.



## რად გააქტიურდნენ იელოველები ამ ბოლო ხანს?

იხ. მე-4 გვ.

## „შვილი შვილის დედა ქუჩაში როგორ დავტოვოთ?!“

იხ. მე-4 გვ.

## ავტორიტარული „დემოკრატია“

იხ. მე-3 გვ.

**ქვეყნის აღმშენებლობის ბალავარში არგუმენტის ძალა უნდა ჩაიდოს და არა ძალის არგუმენტი**

### კახა ბენდუქიძე:
## ასეთ თამაშს მხოლოდ ერთხელ თუ ითამაშებ

*მიმდინარე წლის შემოდგომაზე რუსეთმა საქართველოს შეატყობინა, რომ გაზს მიაწვდის ევროპული ფასებით (110 დოლარი ათასი კუბური მეტრისთვის), ანუ ერთიორად უფრო ძვირად, ვიდრე ახლა. ახალი ფასები ძალაში შევა 2006 წლის 1 იანვრიდან. ამ დროისთვის საქართველომ ასევე უნდა დაფაროს გაზის მიწოდებისთვის არსებული დავალიანება — 12 მილიონ დოლარზე მეტი. იმაზე, თუ როგორი რეაგირება მოახდინა საქართველოს ხელმძღვანელობამ რუსეთის მიერ გადადგმულ ასეთ ნაბიჯზე, „ვრემია ნოვოსტეის“ კორესპონდენტს მარინა პერევოზკინას ესაუბრა საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების საკითხებში კახა ბენდუქიძე.*

იხ. მე-2 გვ.

### ოლიგარქებს „ამწვანებენ“, რათა არ „განარინჯისფერდნენ“

АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ

## იყიდე და იბატონე

*„გაზპრომის“ მიერ „სიბნეფტის“ გამოსყიდვა შეიძლება გახდეს იმ კარგად გათვლილი თამაშის ელემენტი, რომელიც სახელმწიფომ წამოიწყო უკმაყოფილო ელიტის „განეიტრალების“ მიზნით.*

*ამ ბოლო 5 წლის განმავლობაში ძალზე დაშორდა ერთმანეთს რუსი ოლიგარქების გზები. ბერეზოვსკი ინგლისშია, ნევზლინი — ისრაელში, გუსინსკი — შეერთებულ შტატებში, ბენდუქიძე — საქართველოში, სმოლენსკი და ვინოგრადოვი დავიწყებას მიეცნენ, ხოდორკოვსკი იმიერბაიკალეთში იხდის სასჯელს, აბრამოვიჩი კი — ლონდონში ეძლევა განცხრომას...*

**ბრიტანელმა ექსპერტებმა რუსეთში 27 მილიარდერი დაითვალეს**



◎ პრეზიდენტი

# მიხეილ სააკაშვილი: ხალხს მუდმივად უნდა ვუსმინოთ

(პირველი გვერდიდან)

თავის გამოსვლაში, საქართველოს პრეზიდენტმა სინანულით კერძოდ, აღნიშნა, რომ იშვიათი გამონაკლისის გარდა შეუძლებელია მინისტრებთან ტელეფონით დაკავშირება. მისი თქმით, ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ყოველთვის პასუხობს სატელეფონო ზარს, რადგან მან იცის „კის" თქმაც და „არასიც".

— თქვენ კი, იმის შიშით, რომ ვინმეს „არა" არ უთხრათ, არ იღებთ ტელეფონის ყურმილს, რომ რაიმე საკითხი არ განიხილოთ, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ ეს ჭორი არ არის, რადგან თავად მას სხვა ტელეფონიდან აუკრეფია მინისტრების ტელეფონის ნომრები და არც ერთ მათგანს არ უპასუხია კახა ბენდუქიძის გარდა. მას არ ახსოვს, რომ ჭიპაშვილს ტელეფონზე ეპასუხოს...



**— თქვენ არა ხართ აბისინიის იმპერატორები,** — მიმართა საქართველოს პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტის წევრებს. **— ყველა ნამდვილად არ მინდა დაგადანაშაულოთ. ვიცი, არიან გამონაკლისები... თქვენ ხართ პატარა ქვეყნის სერიოზული, მაგრამ პატარა სამინისტროების მინისტრები. თქვენ ყოველთვის ყველა მოქალაქეს უნდა უპასუხოთ, ყოველთვის ხალხში უნდა იყოთ.**

მიხეილ სააკაშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ქალაქის მერი გიგი უგულავა მეტროთი, ავტობუსით მგზავრობს. მისი თქმით, გვახსოვს ისეთი მერებიც, რომლებიც დაცვისა და ავტომანქანების გარეშე არავის უნახავს.

— მოვუწოდებ ყველა სამინისტროს, ყველა უწყების ხელმძღვანელს, მუდმივად იყოს ურთიერთქმედებაში საზოგადოებასთან. თქვენ უნდა შეგეძლოთ დასტურის მიცემაც და უარის თქმაც, როცა არ შეგიძლიათ საქმის გაკეთება, მაგრამ საზოგადოებასთან სრული ურთიერთქმედება უნდა იყოს, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ქვეყნის პირველი პირის განცხადებით, მთავარი პრობლემა ეს როდია. მთავარი პრობლემა არის ის, რომ ხალხი გაწამებულია ბიუროკრატიასთან ურთიერთობით. ყოველი ნებართვის აღება — ეს არის დიდი და რთული პროცედურების გავლა. მაგალითად, ამას წინათ ძალიან კარგმა მეწარმემ და პარლამენტის წევრმა ჩოხელმა გახსნა ლუდის სახარში „ნატახტარი" და ვიდრე პრემიერ-მინისტრმა სამჯერ არ დარეკა, მანამ არ ჩაურთეს საწარმოს არც წყალი და არც დენი.

**— წარმოიდგინეთ, მეწარმე, რომელიც არ იცნობს ზურაბ ნოღაიდელს, არ არის პარლამენტის წევრი, არ იცნობს რომელიმე თქვენგანს და არ მიცნობს მე, დაუცველია და გაუბედურებული. ახლა იქ უკვე აღარ არიან ჩინოვნიკები, რომლებიც იღებენ ფულს, მაგრამ არც ის მოხელეები არიან, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ. და ზის შეშინებული ბიუროკრატი — მერაბიშვილის თუ ადეიშვილის შიშით არ იღებს ფულს (კიდევ კარგი!) და არც უნდა, რომ რაიმე სასარგებლო გააკეთოს, — თქვა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ არავინ არ დაიჯერებს იმას, ვინც მოქალაქეებს დაეხმარება: პირიქით, ეს ყოველმხრივ წახალისდება. — ქრთამი ისჯება, ინიციატივა — არა! ეს ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაიმახსოვროთ ყველამ, — განაცხადა ქვეყნის პირველმა პირმა.**

როგორც მიხეილ სააკაშვილმა თქვა, ჯერ კიდევ ვერა და ვერ აღმოიფხვრა ბიუროკრატიული პროცედურები კონკრეტული საბუთების, უცხოეთის პასპორტების მიღებისათვის, ხალხს უხდება 18-20-ჯერ მისვლა, რიგში დგომა, რათა მიიღო საბუთი ან პასპორტი.

**— ყველამ უნდა ვისწავლოთ, რომ ეს ხალხი ჩვენი ამომრჩეველი, ჩვენი მოქალაქეა, ვინც ჩვენ აქ მოგვიყვანა. და ეს ხალხი არ უნდა იდგეს რიგში სიცივეში, ქარსა და წვიმაში იმისთვის, რომ ელემენტარული სამსახური აღმოვუჩინოთ, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა. — ეს ეხება ყველა სფეროს — ლტოლვილთა და განსახლების, ენერგეტიკას, ეკონომიკას.**

**— ამიტომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენი ხალხის მომსახურება და მივხვდეთ, რომ ჩვენ ვართ ხალხისთვის შექმნილი მთავრობა და არა უბრალოდ ტელევიზორიდან მოსაუბრეები, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა. — თქვენი საქმიანობა იზომება ადამიანებით, რომლებიც მოვლენ სახელმწიფო სამსახურში და მიიღებენ ნებართვას, გახსნიან ბიზნესს, ჩართავენ გაზს, დენს (თან ამაში ყველაფერში ფულს იხდიან, უფასოდ ხომ არაფერს ითხოვენ), იყიდიან ობიექტს, აიღებენ პასპორტს, გაივლიან საბაჟო პროცედურებს, რომლებიც ასევე გასამარტივებელია. მაშინ ვიტყვით, რომ მთავრობა არის კარგი. თუ ტელევიზიით მოვყვებით, რომ კარგები ვართ, მაშინ არავინ არ დაიჯერებს და სწორიც იქნება. ამიტომ გთხოვთ, ნურავის დაემალებით კაბინეტში, რადგან კაბინეტში დამალულ მინისტრს მალე გავათავისუფლებთ და მერე შეუძლია სახლში დაიმალოს. საჭიროა ხალხთან მუდმივი ყოველდღიური ურთიერთქმედება, ჩვენს ხალხს მუდმივად უნდა ვუსმინოთ. ეს იყო რევოლუციის ლოზუნგი და ეს არის ჩვენი მმართველობის ლოზუნგი ყველასი ერთად.**

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, მოხელეების საქმიანობა ხალხის განწყობილებით უნდა შეფასდეს — კმაყოფილია იგი თუ არა.

**— მე მესმის, რომ ყოველთვის ყველა კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ, როცა ყოველთვის ყველა უკმაყოფილოა კონკრეტული მოხელის საქმიანობით, ეს რაღაცაზე მიგვანიშნებს,** — განაცხადა სიტყვის დასასრულს მიხეილ სააკაშვილმა.

◎ მესამე სექტორი

# ქართულ პოლიტიკაში ზნეობრივი სახეების დეფიციტია

**გვესაუბრება საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის თავმჯდომარე დავით ლილუაშვილი.**

**— როგორ შეაფასებდით სალომე ზურაბიშვილის პოსტიდან გათავისუფლების ფაქტს და როგორ ფიქრობთ, რა გახდა ამის მიზეზი?**

— ამ ფაქტს, ცხადია, უარყოფითად შევაფასებ. მოსახლეობის უმრავლესობამ კი საკუთარი დამოკიდებულება ქალბატონი სალომესადმი გამოხატა მაშინ, როცა მისი ერთი მოწოდების შემდეგ იპოდრომზე 10.000-კაციანი მიტინგი გამართა. საგარეო საქმეთა მინისტრის გათავისუფლება, ჩემი აზრით, განაპირობა რამდენიმე გარემოებამ. კერძოდ: ქვეყანაში მომწიფდა ისეთი მდგომარეობა, რომ უკვე კეთდება გარკვეული დასკვნები ხელისუფლების კონკრეტულ მუშაობაზე. საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მიუღებელია ამ ხელისუფლების ესა თუ ის გადაცდომა, საერთოდ, ის პოლიტიკური ვითარება, რაც ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არის. ხმის ჩახლეჩამდე აქცენტირდება მხოლოდ პროამერიკული და პროევროპული კურსი. გარკვეულწილად ამ ფაქტმაც განაპირობა სალომე ზურაბიშვილის ჩამოშორება აქტიური პოლიტიკიდან. ჩვენს ხელისუფლებას გამოკვეთილად აქვს არჩეული პროამერიკული კურსი. მაგრამ ეს დამოკიდებულება ხელს არ უნდა უშლიდეს რუსეთთან ურთიერთობას.

**— როგორც ვიცი, არასამთავრობოები სალომე ზურაბიშვილთან თანამშრომლობას აპირებთ, რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება?**

— ქართულ პოლიტიკას დღეს ზნეობრივი სახეების, ზნეობრივი პოლიტიკური ფიგურების დეფიციტი აქვს. სწორედ ზნეობრივი მაგალითების მომცემად შეირაცხა სალომე ზურაბიშვილი. მასთან პარტნიორობის სურვილი ამანაც განაპირობა. მის ზნეობაზე მეტყველებს გადაწყვეტილება, როცა დაანება თავი საკმაოდ კარგ, ევროპული სტანდარტების პირობებში მოღვაწეობას და წამოვიდა აქ, დაქცეულ საქართველოში. ამაზევე მიუთითებს ისიც, რომ მან ყოველგვარი შეფარული პოლიტიკის გარეშე, შეიძლება ოდნავ ხისტად, მაგრამ მაინც პრინციპულად, რუსეთის აგრესიულ პოლიტიკასთან ურთიერთობა ჩამოაყალიბა. ამის შედეგი იყო ის, რომ ფორს-მაჟორულ მდგომარეობასა და რეჟიმში მომწიფდა რუსეთის ბაზების გაყვანის საკითხი. მესამე ზნეობრივი მაგალითია მისი წასვლა თანამდებობიდან.

თხუთმეტამდე არასამთავრობო ორგანიზაცია უახლოეს მომავალში სალომე ზურაბიშვილთან გამართავს კონსულტაციებს; ვისაუბრებთ სამომავლო გეგმებზე. გარკვეული პერიოდის შემდეგ შეიძლება პარტნიორულ ძალადაც ჩამოვყალიბდეთ.

**— მომავალში ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ მოხდეს ამ არასამთავრობოების გაპოლიტიზება?**

— ცუდი ტენდენციაა, როცა არასამთავრობოები პოლიტიკაში მიდიან. ქალბატონმა სალომემ განაცხადა, რომ ის სერიოზულად მოემზადება თვითმმართველობის არჩევნებისთვის. ჩვენ, მესამე სექტორი, მხარს დავუჭერთ მას თუნდაც იმ არჩევნების დროს, მაგრამ, მესამე სექტორი პოლიტიკურ შეფერილობას არ შეიძენს. ეს ჩვენთვის მიუღებელი იქნება.

**— ბატონო დავით, იმის არაერთი მაგალითი გვქონია, იქმნება მოძრაობა, პარტია, საწყის ეტაპზე მას ხალხის მხარდაჭერაც აქვს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ საზოგადოებას იმედები უცრუვდება. როგორ ფიქრობთ, სალომე ზურაბიშვილის ახალი წამოწყება რამდენად გაამართლებს?**

— ამის პროგნოზირება ძნელია. შარშან თუ მთელ ქვეყანას არა, 90 პროცენტს მაინც სულ სხვა იმედები ჰქონდა დღევანდელი ხელისუფლების მიმართაც. ზოგიერთი მათგანი ოპოზიციაში ყოფნის დროს საკმაოდ აპელირებდა დემოკრატიული ღირებულებებით, დემოკრატიული პრინციპებით, ადამიანის უფლებათა დაცვით, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებით და ა. შ. მაგრამ, როცა ისინი ხელისუფლებაში მოვიდნენ და მიზანს მიაღწიეს, საპირისპირო დაგვანახეს: თავად იდეალურ პირობებში ცხოვრობენ, დანარჩენ 80 პროცენტს კი არსებობა უმძიმეს პირობებში უწევს.

მოდით, ნუ ვიქნებით ნურც ზედმეტად ოპტიმისტები და ნურც ზედმეტად სკეპტიკოსები. დაე, ქალბატონი სალომეს გარკვეული პერიოდის საქმიანობამ დაგვანახოს თუ რამდენად ერთგულია იმ პრინციპებისა, რომლითაც ორიოდე კვირის წინათ თავი დაამახსოვრა ქართულ საზოგადოებას. ყველაფერს დრო განსაზღვრავს, მათ შორის მისდამი ჩვენს დამოკიდებულებაც. თუ იქნება იგი სახელმწიფო, საზოგადოებრივი ინტერესების ერთგული, მის გვერდით ვიქნებით, თუ არადა, ჩვენი გზები გაიყრება, ისე, როგორც ეს მოხდა დღევანდელ ხელისუფლებასთან.

**ესაუბრა
ლელა ხვადაგიანი**

◎ აღმასრულებელი ხელისუფლება

# ვინ არის კახა ლომაია — განათლების მინისტრი თუ პროკურორი?

**განათლების სამინისტრომ მეცნიერებათა აკადემიის რეფორმის გეგმა შეიმუშავა და გაიძახოდა, ეს არის ერთადერთი ჭეშმარიტი გზაო. მეცნიერები ბრაზობდნენ, ვილუპებით, არავინ არაფერს გვეკითხება, არადა, სწორედ ჩვენ გვაქვს მომზადებული რეფორმის სწორი პროექტიო. მართალია, საპარლამენტო უმრავლესობა, როგორც უმთავრესად ხდება ხოლმე, მხარს აღმასრულებელ ხელისუფლებას უჭერდა, მაგრამ რაკი საშველი არ ჩანდა, საკანონმდებლო ორგანომ მედიატორის მოვალეობა იკისრა. გუშინ განათლების კომიტეტის გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელზეც ორივე მხარე იყო მიწვეული.**

მას შემდეგ, რაც კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ გრიგალაშვილი მიესალმა სტუმრებს, მეცნიერებისადმი ღრმა პატივისცემა გამოხატა ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ. მის გამოსვლაშიც გაიჟღერა იმ სიტყვებმა, რომლებიცა ხსნიან ხოლმე რეფორმასთან დაკავშირებულ პრობლემებს — „რეფორმა მტკივნეულია". თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარემ ურთიერთობის სწორი ფორმა შეარჩია და, გარკვეულწილად, მობოდიშებაც სცადა: — ვითარების დაძაბვა, შეიძლება ჩვენი ბრალიც არის. ასეთი შეხვედრები ადრე რომ დაგვეწყო, თქვენ არ გაგიჩნდებოდათ განცდა, თითქოს განათლების სამინისტრო არაფერს გეკითხებათ.

დიპლომატიით ბატონი კახა ლომაია, როგორც წესი, არ გამოირჩევა. რევერანსებს არც მეცნიერები გეგმავდნენ, ამიტომაც თითქმის ყველა ელოდა, რომ შეხვედრა დაძაბული იქნებოდა. პარლამენტის თავმჯდომარემ სხდომის დასაწყისშივე გამოთქვა იმედი, რომ ხმაურის მომლოდინეთ კოვზი ნაცარში ჩაუვარდებოდათო. მართლაც, სხდომა, რომელიც ოთხ საათზე მეტხანს გაგრძელდა, აკადემიურობის საზღვრებს არ გადაცდენილა, თუმცა, კამათი დროდადრო მწვავდებოდა.

განათლების მინისტრმა „მეცნიერების ორგანიზაციის სისტემის" პროექტი წარმოადგინა. სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიული მიმართულებების ხელშეწყობა, ეფექტიანი სამეცნიერო გარემოს შექმნა, ცოდნის გადაცემა, ინტეგრაცია — ეს მეცნიერების ორგანიზაციის ძირითადი ფუნქციებია. კახა ლომაიას თქმით, მათს განსახორციელებლად მეცნიერული პოტენციალი გვაქვს, ხელისუფლების კეთილი პოლიტიკური ნებაც გვიწყობს ხელს, მაგრამ არსებობს ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორიც. პრიორიტეტების არარსებობა, მეცნიერ-მკვლევართა ხანდაზმული ასაკი და შემცვლელი თაობის, ახალგაზრდა მეცნიერთა ნაკლებობა (ამას დარბაზში შეძახილები მოჰყვა — ახალგაზრდები შიმშილს გაექცნენ საზღვარგარეთო), არაეფექტიანი სამეცნიერო გარემო, უკანონო მართვა, — კახა ლომაიამ ეს ფაქტორები მიიჩნია ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების განხორციელების შემაფერხებლად.

როცა უკანონო მართვაზე ლაპარაკობდა, მაგალითად აკადემქალაქის ფართობის დიდი ნაწილის გასხვისება დაასახელა, რის გამოც მეცნიერებას, სულ ცოტა, 15 მილიონი ლარი დააკლდა. ამის შემდეგ მან საზოგადოებას აჩვენა დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფდა, 1991 წელს მეცნიერებათა აკადემიამ ლოთი ქობალიას მოთხოვნა რომ დააკმაყოფილა და ზუგდიდში, დადიანების სასახლეში დაცული იარაღი გადასცა.

მეცნიერები უკმაყოფილონი დარჩნენ — ამ ფაქტების რეფორმის პროექტთან საერთო არაფერი აქვსო. მინისტრს შეუძახეს — გამომძიებელი ყოფილხარ, პროკურატურაშია შენი ადგილიო. მოგვიანებით თავის გამოსვლაში აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ჩაგელიშვილმა ბატონ კახას განუმარტა, 1991 წელი ის დრო იყო, როცა შიშის გამო ადამიანები იძულებულნი იყვნენ, შეიარაღებულ პირთა მოთხოვნები შეესრულებინათო.

განათლების მინისტრმა რეფორმის ძირითადი პრინციპებიც წარმოადგინა: **1. ეროვნული სამეცნიერო პრიორიტეტების დადგენა; 2. სახელმწიფო სახსრების განაწილების კონკურენტული მექანიზმი; 3. მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ინტეგრაცია; 4. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობა.**



ლომაია აუცილებლად მიიჩნევს, პრიორიტეტების შემუშავებაში მთელი საზოგადოება ჩაერთოს. ამის საწინააღმდეგო არც მეცნიერებს აქვთ რამე, თუმცა, მათ მინისტრს ტერმინთა აღრევაზე მიუთითეს. საქართველოში ლომაიას სიტყვით, 2000 წელს 93 პრიორიტეტი არსებობდა, — მაშინ როცა ევროკავშირს 7 პრიორიტეტი აქვს გამოკვეთილი, იაპონიას კი — 5. არ შეიძლება, ქვეყანას 93 პრიორიტეტი ჰქონდეს. მეცნიერებმა განმარტეს, რომ 93 თემა მუშავდებოდა, რაც პრიორიტეტს არ ნიშნავს.

— ეს, დაახლოებით, იმას ნიშნავს, რომ ვთქვათ, საქართველოში 93 სიმღერას ასრულებენ, ევროპაში კი შვიდი მუსიკალური მიმდინარეობა არსებობსო. ხომ არ შეიძლება ამ ორი ცნების შედარება? ასევე, ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ თემა და პრიორიტეტი,— განუმარტა მინისტრს მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელმა.

განათლების სამინისტროსა და მეცნიერებათა აკადემიის პოზიციები ყველაზე მკვეთრად ერთმანეთს დაფინანსების საკითხში დაუპირისპირდა. ვინ განკარგავს აკადემიის ბიუჯეტს — აღმასრულებელი ხელისუფლება თუ თავად აკადემია. მეცნიერებს არც ის მოსწონთ, მკვლევარებს ეროვნული ფონდი რომ დააფინანსებს განაცხადის ღირსების თანახმად. ისინი საჭიროდ მიიჩნევენ, ამასთან ერთად მუდმივი საბაზისო დაფინანსებაც არსებობდეს.

— არავინ დავობს იმაზე, რომ ჩვენს სისტემას რეფორმა სჭირდება, მაგრამ მას იმდენი ნაკლი არ აქვს, რამდენსაც თქვენ მიაწერთ. მეცნიერებათა აკადემია არ არის კორუმპირებული. მისი ძირითადი ნაკლი კონსერვატიზმია. სწორედ ეს უნდა შეიცვალოს და სისტემა უფრო მეტად ქმედუნარიანი გახდეს, — აღნიშნა გიორგი ჩაგელიშვილმა.

სიტყვა „კორუმპირებული" არც სხვა მეცნიერებს მოეწონათ. — თუ ამაზე მიდგება საქმე, თქვენ, პოლიტიკოსები არ ხართ კორუმპირებულიო? — იკითხა აკადემიკოსმა შოთა ნადირაშვილმა.

ძირითად სადავო საკითხებთან ერთად, ორივე მხარემ ისეთი მოსაზრებებიც გამოთქვა, რომელთა შეჯერება შეიძლება. თუმცა, ამას ერთი-ორი შეხვედრა არ ეყოფა, როგორი ხანგრძლივიც არ უნდა იყოს იგი.

**რუსუდან გახარია**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კახა ბენდუქიძე: ასეთ თამაშს მხოლოდ ერთხელ თუ ითამაშებ

(პირველი გვერდიდან)

**— როცა გასული წლის დამლევს თქვენ მინისტრად დაგნიშნეს, თქვით, რომ საქართველომ უნდა განახორციელოს ყველაფრის პრივატიზება და გაყიდოს ყველაფერი, სინდისის და ნამუსის გარდა. თქვენ უკვე კარგა ხანია მუშაობთ საქართველოში. თუ დარჩა ქვეყანას კიდევ რაიმე, სინდის-ნამუსის გარდა?**

— სამწუხაროდ, ბევრი რამ დარჩა... მოდით, ამთავითვე შევთანხმდეთ, როგორი ინტერვიუ გსურთ — სკანდალური თუ ნორმალური?

**— უმჯობესია, ნორმალური...**

— მაშინ, ფირი უკან გადაახვიეთ... თუ ვილაპარაკებთ იმაზე, რომელი ობიექტები დარჩა საქართველოში სახელმწიფოს საკუთრებაში, გეტყვით, რომ ასეთი ბევრია. მაგალითად, ენერგეტიკა: ექვსი ჰიდროელექტროსადგური, ენგურჰესი, თუმცა, იგი კონფლიქტის ზონაში მდებარეობს... ელექტროგადამცემი ხაზები, რამდენიმე თბოსადგური. მაგრამ პრივატიზაცია გრძელდება. ვფიქრობ, საქართველო შევა იმ ქვეყნების რიცხვში, რომელთა ეკონომიკაშიც ყველაზე დიდია კერძო საკუთრების წილი.

— რუსული ბიზნესი საქართველოში ზოგჯერ აწყდება პოლიტიკურ წინააღმდეგობას. მაგალითად, მიმდინარეობდა მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ „გაზპრომი" მიიღებდა მონაწილეობას საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციაში. მაგრამ, როგორც კი ამან შეერთებული შტატების უკმაყოფილება გამოიწვია, საქართველომ გარიგებაზე უარი თქვა.

— თუ თქვენ გსურთ რაღაცის ყიდვა, როგორ ფიქრობთ, მარტო ამის შესახებ განცხადების გაკეთება საკმარისია? მაგალითად, მე მომეწონა თქვენი ხელჩანთა, გეუბნებით, რომ მსურს მისი ყიდვა. გითხარით ერთხელ, ორჯერ, მაგრამ ფასი ხომ უნდა დავასახელოთ, ასე არ არის? ჰოდა, ფასი არავის არ უთქვამს. ამიტომაც, წარმოიქმნა ეჭვი: მართლა სურდათ რუსებს ამ გაზსადენის ყიდვა? როცა ფასს ვეკითხებოდი, არასდროს პასუხი არ მიმიღია.

**— 2006 წლიდან რუსეთი საქართველოს გაზს მიყიდის მსოფლიო ფასებით...**

— კარგა ხანია უკვე დადგა ამის დრო.

**— როგორ ფიქრობთ, ენერგოშემცველების მსოფლიო ფასებზე გადასვლა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში ეფექტიანი ღონისძიება იქნება?**

— ჯერ კიდევ საკითხავია, რას ნიშნავს მსოფლიო ფასები. ამ ცოტა ხნის წინ თვალი გადავავლე ფასებს, რომლითაც საქართველო ყიდულობს ელექტროენერგიას. ჩვენ გაცილებით უფრო მეტს ვიხდით, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანა. რუსეთისგან კილოვატ ელექტროენერგიას ვყიდულობთ 2,6 ცენტად, ფინეთი კი — 1,5 ცენტად. მითხარით, ამ ფასებიდან რომელია მსოფლიო? დიდი თუ მცირე? რა აზრი აქვს ფრაზას „მსოფლიო ფასებზე გადასვლა"? რუსეთი თურქმენეთისგან ათას კუბურ მეტრ გაზს ყიდულობს 45 დოლარად, საქართველო კი რუსეთისგან — 60-65 დოლარად. ამ ფასებიდან რომელია მსოფლიო? გაზს არა აქვს მსოფლიო ფასები. მსოფლიო ფასები აქვს ნავთობს, მაზუთს, ბენზინს. სხვათა შორის, ყოველივე ამას საქართველო რუსეთისგან თითქმის არ იძენს.



**— გამოდის, რომ ის ფასი, რომლითაც რუსული გაზი იყიდება საქართველოში ახლა, ძალზე შემცირებულია. ზოგიერთ რუს პოლიტიკოსს ფასების მომატება გამართლებულად მიაჩნია, ჩვენს ქვეყნებს შორის ამჟამად არსებული არცთუ ისე მეგობრული ურთიერთობის გათვალისწინებით.**

— მაშინ, ამას ეწოდება არა „მსოფლიო ფასები", არამედ რაღაც სხვა. ეს პოლიტიკოსებმა უნდა განაცხადონ: „ჩვენ გვსურს, რომ ქართველებმა გაზი რაც შეიძლება ძვირად შეისყიდონ". ესეც საინტერესოა. სცადონ, ვნახოთ, რა გამოვა.

**— რა გამოვა?**

— რუსეთისთვის, ჩემი აზრით, არაფერი კარგი. ბოლოს და ბოლოს, ხომ არიან ქვეყნები, რომლებიც რუსეთისგან საერთოდ არ ყიდულობენ გაზს, მაგრამ ცხოვრობენ ნორმალურად.

**— სად შეიძენს საქართველო გაზს?**

— სადმე ვიშოვით. მაგრამ ეს ის იარაღია, რომელიც რუსეთმა შეიძლება მხოლოდ ერთხელ გამოიყენოს. საკმარისია ერთხელ ვთქვათ უარი რუსეთის გაზის შესყიდვაზე და ამის შემდეგ ჩვენ მისგან გაზს აღარ შევიძენთ. და უზარმაზარი ინფრასტრუქტურა, რომელიც შეიქმნა რუსეთში ამიერკავკასიაში გაზის მიწოდების მიზნით, არავისთვის აღარ იქნება საჭირო. ამით რუსეთის კომპანიები უფრო მეტად იზარალებენ. ასეთ თამაშს მხოლოდ ერთხელ თუ ითამაშებ. რუსეთმა შესთავაზა უკრაინას ათასი კუბური მეტრი გაზი 180 დოლარად. თქვენი აზრით, როგორ უნდა მოიქცეს უკრაინა? დაამხოს იუშჩენკო და აირჩიოს იანუკოვიჩი?

**— ის ადამიანები, რომლებიც ასეთი ზომების მიღების მომხრეები არიან, ალბათ, ამაზე ამყარებენ კიდეც იმედს.**

— ჰოდა, მეც ვფიქრობ, რა ზომებს გვთავაზობენ? შეიძლება უკრაინამ გადაიხადოს ეს 180 დოლარი, მაგრამ ამის შემდეგ ხომ ყველაფერს იღონებს იმისთვის, რომ გაიჩინოს გაზმომარაგების სხვა წყარო. რუსეთი გაზის დიდი წყაროა, მაგრამ ერთადერთი არ გახლავთ.

**— საიდან აიღებენ გაზს ან უკრაინა, ან საქართველო?**

— მომავალი წლიდან გაზს მივიღებთ აზერბაიჯანის „შაჰ-დენიზის" საბადოდან. უკრაინამდე კი შეიძლება გაიყვანონ გაზსადენი თურქმენეთიდან. ეს დაახლოებით 7 მილიარდი დოლარი დაჯდება. გაზსადენი „შაჰ-დენიზიდან" ფეოდოსიამდე 5,5 მილიარდი დოლარი ღირს. მაგალითად, ავიღოთ კრასნოდარის მხარე. იქ გაზი საერთოდ არ არის, მაგრამ ხომ ცხოვრობენ? ჰოდა, ჩვენც ვიცხოვრებთ გაზის გარეშე. მე არ ვამბობ, რომ ეს შესანიშნავი იქნება, მაგრამ როგორღაც გავიტანთ თავს.

**— თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს ღონისძიება არაეფექტიანია?**

— არა, ეს ღონისძიება ეფექტიანია, რადგან იგი აუცილებლად მოიტანს რაღაც შედეგს. მაგრამ შედეგი ისეთი არ იქნება, როგორიც სურთ.

**— მაინც, როგორი იქნება?**

— სხვადასხვაგვარი. რუსეთი უთუოდ დაკარგავს გაზის ამ ბაზარს. რუსეთი დაკარგავს ევროპულ ბაზარზე ზრდის მნიშვნელოვან ნაწილს. მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც რუსეთი ახორციელებს გაზის ექსპორტს, მას ერთხელაც არ გამოუყენებია ეს როგორც პოლიტიკური იარაღი. მიწოდების შეწყვეტა, ან ფასების მკვეთრი მომატება — ასეთი რამ არავის არ ახსოვს. სწორედ ამიტომაც, რუსეთთან დებენ კონტრაქტებს 20-30 წლის ვადით. ახლა კი ყველა ჩაფიქრდება: ხომ შეიძლება მოხდეს ისე, რომ რუსეთმა, პოლიტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, გაზის მიწოდება შეუწყვიტოს ევროპის რომელიმე ქვეყანას? მაგალითად, გერმანიაში ხელისუფლების სათავეში მოვიდა ანგელა მერკელი. ხომ შეიძლება, იგი არ მოეწონოს რუსეთს? და რა მოხდება? გერმანიას გაუზრდიან მიწოდებული გაზის საფასურს? თუ რუსეთი გამოიყენებს გაზს, როგორც პოლიტიკურ იარაღს, ეს, რა თქმა უნდა, იქნება ძალიან საინტერესო, უჩვეულო გადაწყვეტილება, რომელიც ნეგატიურ გავლენას მოახდენს, უწინარეს ყოვლისა, თვით რუსეთის კომპანიებზე, რომლებიც მუდამ ამტკიცებდნენ, რომ მათი მიწოდებები აპოლიტიკური იყო. მაგალითად, რუსეთი ამბობს: არ მივაწვდით საქართველოს გაზს. მაშინ საქართველო უპასუხებს: ჩვენ კი განვახორციელებთ გაზსადენის დემონტაჟს. მაშინ, როგორ მიაწვდით გაზს სომხეთს? ვერანაირად. ჩვენ შეგვიძლია გაზი მივიღოთ აზერბაიჯანიდანაც, მაგრამ, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ აზერბაიჯანიდან გაზის მიწოდების შანსი სომხეთს საერთოდ არ გააჩნია. გამოვა რა, სურდათ საქართველოს დასჯა, მაგრამ დასაჯეს სომხეთი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ყოველი ნაბიჯის გადადგმის წინ კარგად უნდა იფიქროს კაცმა.

**„ვრემია ნოვოსტეი", 2 ნოემბერი.**
ВРЕМЯ НОВОСТЕЙ

◎ ინფორმაცია

## ახალი მინისტრის ახალი მოადგილეები

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა გუშინ თავისი ახალი მოადგილეები წარადგინა. ესენი არიან ვალერი ჩეჩელაშვილი, რომელიც პირველი მოადგილის ფუნქციას შეასრულებს და რომელიც სულ ახლახან შვეიცარიაში საქართველოს ელჩის მოვალეობას ასრულებდა ; ნიკა ნათბილაძე, უშიშროების საბჭოს თანამშრომელი, ზურაბ პოლონიკაშვილი, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროს კადრია, გიორგი მანჯგალაძე, ისიც უშიშროების საბჭოს თანამშრომელი. თანამდებობა შეინარჩუნა მერაბ ანთაძემ, რომელიც უკვე ყოფილი მინისტრის სალომე ზურაბიშვილის მოადგილე იყო.



## საკონსულო დეპარტამენტის პრობლემები

**საქართველოს** საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი იზიარებს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ საკონსულო დეპარტამენტთან დაკავშირებით უამრავი პრობლემაა. მინისტრმა განაცხადა, რომ მისთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ პრობლემებია შექმნილი საკონსულო დეპარტამენტში, თუმცა ამის აღმოსაფხვრელად სამინისტრო აქტიურად მუშაობს. თუმცა, როგორც ბეჟუაშვილმა აღნიშნა, აქ ძირითადად არის ფართის პრობლემა, სამინისტროს კი გაფართოების საშუალება სადღეისოდ არ აქვს.

## „თედოილი" უარზეა

**აუქციონში** გამარჯვებულმა შ.პ.ს. „თედოილმა" რუსთავის მეტალურგიული კომბინატის კირისა და დოლომიტის საამქროს შეძენაზე უარი განაცხადა. ამის თაობაზე მეტალურგიული კომბინატის გაკოტრების მმართველს წერილობით აცნობა. „აუქციონიდან 10 დღის ვადაში „თედოილის" წარმომადგენლები ჩვენ არ დაგვკონტაქტებიან. მათ ჩვენ თავად დავუკავშირდით და გარკვეული ვადა მივეცით, მაგრამ „თედოილისგან" საამქროს შეძენაზე წერილობითი უარი მივიღეთ. ბეს სახით გადახდილი თანხა „თედოილს" უკან არ დაუბრუნდება და საამქრო ხელახალ აუქციონზე გაიყიდება," — განაცხადა მეტალურგიული კომბინატის გაკოტრების მმართველმა მალხაზ ალბორიშვილმა.

## პრეზიდენტის რწმუნებულმა მოვალეობის შესრულება დაიწყო

**პრეზიდენტის** რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში გოგა ხაჩიძე გუშინდლიდან მიხეილ სააკაშვილის საგანგებო დავალების შესრულებას შეუდგა.

გუშინ, მან რაიონებში გასვლა სომხებით დასახლებული ნინოწმინდის რაიონის საკრებულოებით დაიწყო. სამხარეო ადმინისტრაციაში უკვე დამტკიცებულია შესაბამისი გრაფიკი, რომლის თანახმადაც ორი კვირის განმავლობაში რწმუნებული მხარის 86 საკრებულოს შემოივლის და მოსახლეობის პრობლემებს ადგილზე გაეცნობა.

## ალო, მინისტრი გისმენთ!

**შრომის,** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვლადიმერ ჭიპაშვილი პრეზიდენტის შენიშვნას გაითვალისწინებს და მის ტელეფონზე შესულ ყველა ზარს უპასუხებს.



2 ნოემბერს 2 საათში დაახლოებით 65 ზარი შემოვიდა, აქედან 45 ვუპასუხე, დანარჩენზე პასუხის გაცემა ფიზიკურად ვერ მოვახერხე, მაგრამ დღეიდან შევეცდები სამოცდახუთივეს ვუპასუხო", — განაცხადა გუშინ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ლადო ჭიპაშვილმა. მისივე თქმით, ხშირად ვერც ქალაქის ტელეფონს პასუხობს, ვინაიდან კაბინეტში თითქმის არასდროს იმყოფება. „ძირითადად კაბინეტიდან გასული ვარ და დარგის მუშაკებს ვხვდები. გუშინ ქუთაისში ვიყავი და დღესაც რეგიონში მივდივარ", — განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა

## ექიმების შემოსავალი გაიზრდება

**ექიმი** დეპუტატები შრომით ანაზღაურებას სამედიცინო პრაქტიკიდანაც მიიღებენ. პარლამენტარ გოგიტა გეგელაშვილის ინიციატივით, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" და „დეპუტატის სტატუსის შესახებ" კანონებში ცვლილებები უნდა განხორციელდეს. ამ ინიციატივის თანახმად, ექიმ დეპუტატებს უფლება უნდა მიეცეთ სამედიცინო საკონსულტაციო მომსახურება გაწიონ და პრაქტიკული საქმიანობა განახორციელონ.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი პოლიტიკური ლექსიკონი

# ავტორიტარული „დემოკრატია"

## ქვეყნის აღმშენებლობის ბალავარში არგუმენტის ძალა უნდა ჩაიდოს და არა ძალის არგუმენტი

**ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების ზრდამ და მათი ხარჯვის ზოგიერთმა მიმართულებამ 1970-იანი წლების ხუმრობანარევი მოარული ფრაზა – „საქართველოდან ისრაელში ჩასული ქართველი ებრაელები ფულს ებრაელებივით შოულობენ და ქართველებივით ხარჯავენ" – გამახსენა. რა თქმა უნდა, ხალხის მიერ ხელისუფლებაში მოყვანილი ძალების გადასაწყვეტია, პრიორიტეტების და, შესაბამისად, ფულის ხარჯვის მიმართულებების განსაზღვრა. თუმცა ფულის ხარჯვამ ისეთი დატვირთვა და ვექტორი არ უნდა მიიღოს, რომ მან ხელისუფლების ავტორიტეტისა და რეიტინგის შესაბამისი ტრანსფორმაცია გამოიწვიოს. – არა მარტო ფულს, ფინანსებს, არამედ სახელსაც და საქმესაც ისეთი „დაბანდება", „ინვესტირება" სჭირდება, რომ მან უფრო მეტი შემოსავალი და ავტორიტეტი მოიტანოს ქვეყნისთვისაც და „მხარჯველისთვისაც".**

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელისუფლების მიერ ამ ბოლო დროს გადადგმული არაერთი ნაბიჯი, გადაწყვეტილების მიღება ვიწრო წრის მიერ, იქ სადაც საჭიროა საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება და ხშირად, კონსენსუსი, ნამდვილად არ მიგვანიშნებს ხელისა და ავტორიტეტის სწორ „ინვესტირებას".

დღევანდელი სახელისუფლებო მენეჯმენტის ეს სტილი კარგად გამოიკვეთა დავით აღმაშენებლის ძეგლის მიტანის პროცესში.

დავით აღმაშენებელს ქართველი ერის მრავალსახოვანი და გმირებით დახუნძლული ისტორიიდან გამორჩეული ადგილი უჭირავს. მან გააერთიანა და აღორძინა ქვეყანა, თავისი ცხოვრებით – გმირობის, მამულიშვილობის, ხოლო აზრიერი დანატოვარით – „გალობანი სინანულისანი" – ადამიანური თვისებების და მონანიების შთამაგონებელი მაგალითი გვისახსოვრა. ამიტომ, ვფიქრობ, მისი ძეგლის ღირსი სწორედ რომ თბილისის ცენტრია, – იქ სადაც ყველაზე მეტად იყრის თავს საქართველოს დედაქალაქის ცხოვრება, სადაც ხალხს თავისუფლად, ფეხით, „ერთ ამოსუნთქვაზე" შეუძლია მისვლა, მადლიერების გამოხატვა, ძეგლში განსხეულებული წმინდანის მეფის და მისეული იდეის „მოფერება"... მერე რა, რომ იქვე სასტუმრო თუ კაზინოა (თითქმის ჩვენი ქალაქის) [illegible] შინ ყოველ ფეხის ნაბიჯზე, განსაკუთრებით მის ცენტრალურ ნაწილში, სასტუმროები და კაზინოებია [illegible].

სწორედ რომ, ამქვეყნიურ სიამოვნებებისა თუ ამაოების შეჭიდებული ჩვენი თანამოქალაქე თუ უცხოელი უფრო უნდა გრძნობდეს, რომ სანამ ის თავისი მიმდინარე საქმეებისთვის [illegible], „ამაოებათა ამაოება" [illegible], გაიგოს მეფე, ცხენზე ამხედრებული, (და არა მხოლოდ „დასაკვლელისას!") იყურება და მომავალში ჩვენი საერთო, ეროვნული, ქვეყნისმიერი პრობლემების [illegible] მოუწოდებს.

ჩემი აზრით, აშკარად კონიუნქტურულია განცხადება, რომ დავით აღმაშენებლის ძეგლის [illegible] გადატანა სიმბოლურად შესაბამისია „ევროპული ორიენტაციისა". ჯერ ერთი, პოლიტიკური ორიენტაციით ძეგლების გეოგრაფიულ კოორდინატებს არ განსაზღვრავენ! მეორეც, როდესაც [illegible], მაშინ [illegible] „გეოგრაფიული მიმართულების" [illegible] იყო მეფე დავითი? ან, როდესაც [illegible] — მაშინ „აღმოსავლეთელი" და „ბიზანტიელი" თუ „[illegible]" ორიენტაცია?! როგორ ჰგავს ზემოხსენებული „ორბიტების" [illegible] ჯორჯ ორუელის „ცხოველთა ფერმის" ერთი ეპიზოდი, სადაც [illegible] 1950-იანი წლების [illegible] ...

ჩაღების, ჯვაროსნების თუ სხვათა სახით. **დავით აღმაშენებელი „ევროპული ორიენტაციის" კი არა, პროგრესული მსოფლმხედველობის მატარებელი მოღვაწე იყო და „საითაც არ უნდა გაეხედა", საქართველოს სიძლიერისა და აღორძინებისკენ იყო მიმართული მისი მზერა და მარჯვენა.**

ზოგადად, დიდი მეფის ხსოვნისათვის ხელთუქმნელი ძეგლი იქნებოდა ჩვენი **ორიენტაცია ფასეულობებზე და არა სტრუქტურებზე** — მაგალითად, თავისთავად არა იდეა-ფიქსი ევროკავშირში გაერთიანებისა, არამედ *დემოკრატიის დამკვიდრება, პიროვნების ღირსების და უფლებების დაცვა, ღიაობა, საჯაროობა, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინება*... სწორედ ამაშია *ევროპელობის ხიბლი და არა ევროკავშირის დროშების ფრიალში, როგორც ეს თითქმის ყველა სამთავრობო დაწესებულების წინ და ჩინოვნიკთა კაბინეტებშია.* ნორვეგიაში რამდენჯერმე ჩატარებულ რეფერენდუმზე ხალხმა უარი განაცხადა ევროკავშირში შესვლაზე, თუმცა ეს ქვეყანა თავისი განვითარების, კეთილდღეობის და სოციალური დაცვის დონით უკვე მრავალი წელია ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

მახსენდება ლეგენდარული ფილმის - „ჯარისკაცის მამა" - ერთი სცენა, რომელშიც მთელი ფილმის იდეაა ჩაქსოვილი: მანქანის ძარაზე ზემდეგის კითხვაზე, თუ რატომაა იგი ასე ღრმად ჩაფიქრებული, გიორგი მახარაშვილი პასუხობს: *„მე გოდერძიზე ვფიქრობ, როგორი გახდა იგი, ის ხომ ისეთი კეთილი იყო..."* გაგანია ომის დროს, როდესაც ყველაფერი ინგრევა და ნადგურდება, ჯარისკაცის მამა საკუთარი შვილის სულიერებაზე ფიქრობს. - ხომ არ გააუხეშა იგი ომმა?! ეს კახელი გლეხი თვითონაა მაღალი სულიერების, ჰუმანიზმის მატარებელი და ფილმის მომდევნო სცენაში ვაზის გადარჩენა ტანკის გადათელვისგან სწორედ ამის გამოხატულებაა.

განუზომლად უფრო საჭიროა სულიერების შენარჩუნება არასაომარ, მშვიდობიან პერიოდში, როდესაც ***ქვეყნის აღმშენებლობის ბალავარში არგუმენტის ძალა უნდა ჩაიდოს და არა ძალის არგუმენტი, სიყვარული და არა სიძულვილი, შემწყნარებლობა და არა აგრესიული ნიშნისმოგება — „ხომ მაინც ჩემი გავიტანეო..."*** **ამაზე და არა ბიუჯეტის შემოსავლების ზრდაზე გადის სამოქალაქო მშვიდობისა და სტაბილურობის ხაზი**. ამასთან, უნდა შევეგუოთ აზრს, რომ **ადამიანი ბედნიერი და კმაყოფილი საკუთარი კეთილდღეობით და უსაფრთხოებით ხდება არა ზემოდან წამოსული დირექტივებით, ამა თუ იმ გაპიარებულ მოვლენის თუ პროცესის (თანა)მონაწილეობით თუ ჭვრეტით, არამედ საკუთარი აღქმისა და განცდის, შეფასების საფუძველზე.**

აღმოსავლური ანდაზაა, *„ათასჯერაც რომ გაიმეორო ხალვა, პირში ამით სიტკბოს ვერ იგრძნობ"*. ადამიანისთვის იმის ჩიჩინს, რომ ის პირში სიტკბოს გრძნობს, იმ დროს, როდესაც მას დიდი ხანია ხალვა და შაქარი არ უგემია, ისევე დაშორებულია დემოკრატიისაგან, როგორც ჯორჯ ორუელის ანტიუტოპიის „1984" მთავარი და უხილავი პერსონაჟი, „დიდი ძმა" თავისი მოქალაქეებისაგან, რომელთაც ცდილობს, თავს მოახვიოს რამდენიმე ფუნდამენტური ღირებულების მატარებელი ცნების საპირისპირო შინაარსი („ომი — ეს მშვიდობაა", „თავისუფლება — მონობაა", „არცოდნა — ძალაა"...).

დემოკრატია იმდენად ფართო და მრავლისმომცველი ცნებაა, რომ სოციალური ურთიერთობების და პოლიტიკური ბრძოლის ისტორიაში მრავალ ქვეყანაში თავისი „სიტყვა უთქვამთ და ეხლაც ამბობენ" არა მარტო „უბრალოდ დემოკრატიულ", არამედ *სოციალ-დემოკრატიულ, რევოლუციურ-დემოკრატიულ, ეროვნულ-დემოკრატიულ, კონსერვატიულ-დემოკრატიულ* და ა.შ. პარტიებს. ისტორიულმა მეხსიერებამ „შემოგვინახა" *„დემოკრატიული ცენტრალიზმის", „სახალხო დემოკრატიის ქვეყნების", „ლიბერალური დემოკრატიის"* ცნებები.

**ამ მხრივ, ქართული რეალობიდან გამომდინარე, დემოკრატიის ლამის გლობალურ მანტიაში ეროვნული ავტორიტარიზმის „გამოწკეპვა" ჯერჯერობით არცთუ წარუმატებელ ექსპერიმენტად გვევლინება. თუმცა, რამდენად წარმატებული იქნება ამ ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნების ასეთი *„მშვიდობიანი თანაარსებობა"*, რამდენად მიიღებენ, მოიწონებენ და მხარს დაუჭერენ ამ „ნაზავს" ჩვენი ძირითადი პოლიტიკური პარტნიორები და მეგობრები, ამას არცთუ შორეული მომავალი გვაჩვენებს.**

**იოსებ არჩვაძე**

კოლეგები

# რადიო «თავისუფლება» თავისუფალი რადიოა

**საქართველოში ამ ბოლო დროს ერთობ მოჭარბებულ რადიომაუწყებლობებს შორის რადიო „თავისუფლება" ის არხია, ვინც არსებობის ნახევარ საუკუნეს ითვლის და რომელსაც საკმაოდ წონადი და ხარისხიანი სიტყვა ეთქმის დღევანდელ რეალობაში.**

პროფესიონალიზმი, ობიექტურობა, ეთიკურობა და აკადემიურობა ის ძირითადი პრინციპებია, რომლებსაც რადიო „თავისუფლების" თბილისის ბიუროს მუშაობა თავიდან ბოლომდე ეყრდნობა და რომელსაც მსმენელიც „ხედავს" და აფასებს.

რადიო „თავისუფლება" სხვა ქართული რადიოებისგან თავისი სპეციფიკითაც განსხვავდება. იგი ერთა-



დერთი რადიომაუწყებლობაა ჩვენში, რომლის ეთერში რეკლამა საერთოდ არ გადის. მიზეზი მარტივია: „თავისუფლებას" მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესი აფინანსებს და იგი სულაც არ არის დამოკიდებული სარეკლამო შემოსავალზე, რაც ამ რადიოს თავისუფლების მაღალი ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორიცაა.

გარდა ამისა, რადიო „თავისუფლება" არც 24-საათიან რეჟიმში მაუწყებლობს. იგი ეთერს მხოლოდ დილის, შუადღისა და საღამოს განსაზღვრულ საათებში იკავებს და პარტნიორი რადიოების საშუალებით ხმას საქართველოს რეგიონებსაც აწვდენს.

რადიო „თავისუფლების" მუშაობის სტილზე, რეჟიმსა და „შიდა სამზარეულოზე", რადიოს დილის პროგრამის წამყვანები, ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო გელაშვილი უფრო დაწვრილებით გვესაუბრებიან.

გეტყვით: ეს ის ადამიანები არიან, რომლებსაც დილის 7-დან 10 საათამდე უსმენს რადიო „თავისუფლების" მსმენელი და რომლებიც საკუთარ გადაცემას საინფორმაციო და გასართობი ნაწილის გარდა, უცხოური და ქართული პრესის ობიექტურ, საფუძვლიან და პროფესიონალურ მიმოხილვასაც უთმობენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ ალექსანდრე ელისაშვილსა და ნინო გელაშვილს თავიანთ რადიოზე საუბარი ერთობ ეძნელებოდათ, მაგრამ მათი თავმდაბლობის ფონზე ჩვენი ინტერვიუ მაინც შედგა.

როგორც დილის პროგრამის წამყვანებმა მითხრეს, მათი სურვილია, რადიო „თავისუფლებას" რაც შეიძლება მეტი მსმენელი ჰყავდეს. თუმცა „თავისი მსმენელი" მას ისედაც საკმაოდ მრავლად ჰყავს.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** — რადიო „თავისუფლება" საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში თავის როლს ასრულებს. ვისაც უნდა ობიექტური, მართალი და გაწონასწორებული ინფორმაცია მოისმინოს, ის ჩვენს რადიოს უსმენს.

**ნინო გელაშვილი:** — ჩვენ ჩვენი მსმენელი ნამდვილად გვყავს და საკმაოდ მომთხოვნი და კრიტიკულიც. ისინი ხშირად გვისაყვედურებენ, რომ ხელისუფლებისადმი არასაკმარისად კრიტიკულები ვართ, მაგრამ ჩვენ გვაქვს ჩვენი პრინციპები: ობიექტურობა და ორი სხვადასხვა პოზიციის გაშუქებისას ბალანსის დაცვა, რომელსაც ვერანაირად ვერ დავარღვევთ.

როგორც გვითხრეს, რადიო „თავისუფლების" ძირითადი მიზანი დღეს საქართველოში დემოკრატიის ხარისხის ამაღლება და „ფასადური დემოკრატიის" სრულყოფილ, ჭეშმარიტ დემოკრატიად გარდაქმნაა.

რადიო „თავისუფლება", როგორც წესი, ისეთ ქვეყნებში მაუწყებლობს, სადაც დემოკრატიულობის ხარისხი დაბალი და საჩოთიროა. ის, რომ საქართველოში რადიო „თავისუფლებას" აშშ-ს კონგრესი აფინანსებს, იმაზეც მიუთითებს, რომ ჩვენში დემოკრატია ჯერჯერობით სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას.

ალექსანდრე ელისაშვილი და ნინო გელაშვილი ფიქრობენ, რომ როცა საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია მოხდება, ვაშინგტონი ქართულ დემოკრატიას „ფრიადზე შეაფასებს" და, შესაძლოა, რადიო „თავისუფლებაც" აღარ დააფინანსოს.

ამის პრეცედენტები რეალურად მართლაც არსებობს. მაგალითად: როცა ბალტიისპირეთის ქვეყნები ევროსტრუქტურებში გაერთიანდნენ, იქ რადიო „თავისუფლების" ბიუროები მაშინვე დაიხურა.

თუმცა ჩვენი რესპონდენტები ამას როდი ეწინააღმდეგებიან:

„ოღონდ საქართველოს ნატო და ევროკავშირი ეღირსოს, მზად ვართ, ჩვენი რადიო ამ სამსხვერპლოზე უშურველად მივიტანოთ", — აცხადებენ ისინი.

რადიო „თავისუფლების" თბილისის ბიუროს ჰყავს ისეთი კოლექტივი და აქვს ისეთი პოტენციალი, რომ ნებისმიერ დროსა და გარემოში დამფინანსებლის თუ სპონსორის პოვნა და ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ფუნქციონირება ნამდვილად არ გაუჭირდება" — ეს ნინო გელაშვილის სიტყვებია.

ბოლოს რადიო „თავისუფლების" ჟურნალისტებს ქართული მედიის თავისუფლების ხარისხზეც ვკითხე.

**ნინო გელაშვილი:** — როცა საუბარია მედიის თავისუფლების ხარისხზე, ეს არის თვითონ მედიის საშუალების არჩევანი, ანუ რამდენად უნდა ამ საშუალებას, რომ იყოს თავისუფალი. მედიის თავისუფლების დონეს დღეს პროფესიონალიზმი განსაზღვრავს.

**ალექსანდრე ელისაშვილი:** — ვფიქრობ, დღეს საქართველოში ყველაზე თავისუფალი მედიის საშუალება პრესაა. ამ მხრივ, ტელევიზიები დღითი დღე ერთმანეთს ემსგავსებიან, ელექტრონულ მედიაში კი საერთოდ კატასტროფაა.

თუ სიმართლის გაგება და რეალური სურათის დანახვა გინდა, გაზეთი უნდა წაიკითხო, თორემ „კურიერს" რომ ვუყურებ, ცუდ ხასიათზე ვდგები. ჩემი აზრით, თავისუფალი მედია საერთოდ არ არსებობს, არსებობენ თავისუფალი ჟურნალისტები.

როცა ბევრი ასეთი ჟურნალისტი ერთად იყრის თავს და მუშაობს მედიის ერთ საშუალებაში, ის ნამდვილად თავისუფალია. გადაუჭარბებლად ვიტყვი, რომ რადიო „თავისუფლება" სწორედ ასეთია.

**ჯაბა ხუბუა**

ინფორმაცია

## გიორგი ხაინდრავა ცხინვალში ჩავა



**კონფლიქტების** მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა 4 ნოემბერს ცხინვალში ჩასვლას აპირებს. სახელმწიფო მინისტრის აპარატში განაცხადეს, რომ ეს გეგმური შეხვედრაა, რომელზეც სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა სახის საკითხებს იხილავენ.

გიორგი ხაინდრავას შეხვედრები ექნება სეპარატისტული ცხინვალის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრთან და შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარე ბორის ჩოჩიევთან.

სახელმწიფო მინისტრის აპარატში განაცხადეს, რომ ცხინვალის რეგიონში გიორგი ხაინდრავას დაგეგმილი ჩასვლა არ ითვალისწინებს მოსახლეობისთვის სამშვიდობო გეგმის გაცნობას, რადგან ამასთან დაკავშირებით ოსი სეპარატისტები გარკვეულ პრობლემებს ქმნიან.

შერეული საკონტროლო კომისიის მომავალი სხდომა სლოვენიის ქალაქ ლიუბლიანაში 15-16 ნოემბერს გაიმართება, რომელზეც სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტის ზონის მოკლევადიან დემილიტარიზაციის საკითხს დასვამს. ასეთი დავალება გიორგი ხაინდრავამ 1 ნოემბერს პრემიერ-მინისტრთან არსებული საკოორდინაციო ჯგუფის სხდომაზე პირადად ზურაბ ნოღაიდელისგან მიიღო.

## რა უნდა კოკოითს?

**პრემიერ-მინისტრი** ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარებისთვის საქართველოს ხელისუფლების მოკლევადიან პრიორიტეტებში მთავარი ადგილი ზონის დემილიტარიზაციის საკითხს უჭირავს.

„მთავარია ზონის სწრაფი დემილიტარიზაცია. იქ უამრავი ბანდა, უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება და სამხედრო ტექნიკაა, რომელმაც რაც შეიძლება სწრაფად უნდა დატოვოს კონფლიქტის ზონა. იქ ასევე არიან ე.წ. „ოპოლჩენცები", რომლებიც ატერორებენ ადგილობრივ მოსახლეობას", — აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

პრემიერ-მინისტრმა დაავალა კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრს გიორგი ხაინდრავას, 15-16 ნოემბერს ლიუბლიანას შეხვედრაზე აღნიშნული საკითხი დასვას. „ოთხივე მხარეს უკვე თერთმეტჯერ აქვს ხელი მოწერილი დემილიტარიზაციის შეთანხმებაზე, თუმცა პრაქტიკული ნაბიჯები ჯერ არ გადადგმულა", — აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.



მისივე თქმით, კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული რუსულ მხარეზე, ხოლო რაც შეეხება ოსურ მხარეს, პრემიერ-მინისტრი მეტად უკმაყოფილოა, რომ კოკოითი მასთან შეხვედრაზე უარს ამბობს. ეს შეხვედრა ნოემბრის პირველი ნახევრისთვის არის დაგეგმილი. ოსური მხარე აცხადებს, რომ ედუარდ კოკოითისთვის საქართველოს პრემიერი „არ არის ის დონე, რომელიც კოკოითთან შეხვედრას შეესაბამება". სეპარატისტები გამოდიან წინადადებით ზურაბ ნოღაიდელისა და მათ ე.წ. მთავრობის ხელმძღვანელის იური მოროზოვის შეხვედრის შესახებ.

„მე არაფერი მაქვს სალაპარაკო დე ფაქტო მთავრობის მეთაურთან. ჩვენ განვაგრძობთ მცდელობებს, რომ შევხვდე კოკოითს, თუმცა აქვე ვაცხადებ, რომ სახვეწარი არავისთან არაფერი გვაქვს და მხოლოდ პროვოკაციების თავიდან აცილება გვსურს", — აცხადებს ზურაბ ნოღაიდელი.

მედიანიუსი

## მართლმადიდებლობა აფხაზეთში

**აფხაზეთის** უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, 2 ნოემბერს საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „მართლმადიდებლობა და აფხაზეთში ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხი" გაიხსნა. კონფერენცია სამ დღეს გასტანს და მასში მონაწილეობას საქართველოს მეცნიერებათა და აფხაზეთის მეცნიერებათა ინსტიტუტების აფხაზეთის ისტორიის პრობლემატიკით დაინტერესებული 80-მდე წამყვანი ისტორიკოსი და ფილოლოგი მიიღებს.

კონფერენციის ერთ-ერთ მთავარ მიზანს - აფხაზეთში ორაბორიგენობის პრობლემაზე მსჯელობას ქართველ ისტორიკოსთა მეცნიერულად დასაბუთებული ნაშრომების განხილვა მიეძღვნება.

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თემურ მჟავიას განცხადებით, კონფერენცია იუნესკოს მიერ, 2004-2005 წლების საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების 2000-წლოვანი იუბილის აღნიშვნის ფარგლებში ტარდება. მჟავიას ინფორმაციით, კონფერენცია აფხაზეთში ქრისტიანული კულტურის ძეგლთა დღევანდელი სავალალო მდგომარეობის გამო, მათი გადარჩენის მოთხოვნით დახმარებისათვის საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართავს.

## რისთვის წვრთნიან რეზერვისტებს?

**7-დან 28 ნოემბრამდე** აფხაზეთის ტერიტორიაზე რეზერვისტთა მორიგი სამობილიზაციო წვრთნები ჩატარდება.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის" ცნობილი გახდა, სამეტაპიან სამობილიზაციო სწავლებას აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ანატოლი ზაიცევი უხელმძღვანელებს.

მისი განმარტებით, წვრთნები საჭიროების შემთხვევაში რეზერვისტთა მობილიზაციისთვის ხელისუფლებისა და თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფების ურთიერთქმედების სქემის დამუშავებას ითვალისწინებს. სწავლებაში სავარაუდოდ, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა რეზერვისტი მიიღებს მონაწილეობას.

დაზუსტებული ინფორმაციით, აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტად სერგეი ბაღაფშის არჩევის შემდეგ, რიგით მე-6 სამხედრო წვრთნები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ფინანსური დახმარებით ტარდება. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე „ჩრდილოკავკასიელ ხალხთა კონფედერაციის" ერთ-ერთი ლიდერი სულთან სოსნალიევი, ხოლო მის მოადგილედ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს კადრი, საბჭოთა პერიოდში სამხედრო საკითხებში სირიის პრეზიდენტის მრჩეველი, გენერალ-მაიორი ანატოლი ზაიცევი მუშაობენ.

ინტერპრესნიუსი

დაბრუნება

# როგორ იქცა ქართველი ბიჭი აფხაზად

**ამბავი, რომელზეც დღეს უნდა გიამბოთ, გადმოსაცემადაც კი ძალიან ძნელია, რადგან პასუხგაუცემელ, ტკივილიან კითხვებს ტოვებს.**

**საქართველოს მოსახლეობამ ტელეეკრანით უკვე იხილა აფხაზეთიდან დევნილი ბერულავების ოჯახის შეხვედრა თორმეტი წლის წინათ დაკარგულ შვილთან. ნახა დედის ცრემლები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაშიც არ გამშრალა.**

**თქვენი არ ვიცი, მე კი ამ ამაღელვებელმა ამბავმა იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა?!" გამახსენა.**

**როგორ ჰგავს პატარა ქეთოს ისტორია თამაზ ბერულავას ისტორიას!**

**ჩვენ ვიცით და ბევრი გვიტირია ბავშვობაში იმაზე, თუ როგორ იქცა ქეთო ლეკის ქალად.**

**მაგრამ ვინ იფიქრებდა, ლეკიანობის შემდეგ, ჩვენს ეპოქაშიც თუ კიდევ შეიძლებოდა ასეთი დრამის განმეორება!**

**აფხაზეთის ომმა აქცია ქართველი ბიჭი აფხაზ ბიჭად! ლევან ბერულავა — ბესლან შამბად!**

**ბედის ირონიაა, თუ გაკვეთილი ორი ხალხის, ორი დაპირისპირებული მხარის დასაფიქრებლად?**

**ყოველი შემთხვევისთვის, ეს სიუჟეტი წიგნში წაკითხულს, ან კინოფილმიდან ნანახს უფრო ჰგავს, იმდენად დრამატულია და იმდენად სულისშემძვრელი.**

**რა ნახა და რა განიცადა თამაზმა — რვა წლის ქართველმა ბიჭმა, და ვინ გასცემს პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც ალბათ მას მთელი ცხოვრება არ მოასვენებს?**

**დედა კი, ზაირა ნაჭყებია-ბერულავა თვალცრემლიანი გვიყვება:**

### განწირულები

ჩვენ გულრიფშის რაიონის სოფელ განახლებაში ვცხოვრობდით.

29 სექტემბერს გამოვედით აფხაზეთიდან. ამ დღეს თქვეს, ოჩამჩირიდან ქობალიას ჯარი მოდისო და გზაც გაიხსნა. დრანდასთან ვიდექით დილის თერთმეტი საათიდან. საღამომდე არავინ მოგვაკითხა. გვიან კი დაიწყეს ჩვენი გაყვანა, მაგრამ გზები ისე იყო გაფუჭებული, მანქანით სიარული არ შეიძლებოდა. მთელი ღამე შვილებთან ერთად კოდორის გზით ფეხით მოვდიოდი. სროლა იყო და უბედურება. ჩემი დედამთილი უკან რჩებოდა, რადგან სიარული უჭირდა. მე იძულებული ვიყავი, მასთან მივბრუნებულიყავი და მივშველებოდი, ერთმანეთი რომ არ დაგვეკარგა.

დილის ექვსი საათისთვის მივუახლოვდით ოჩამჩირეს. იქ რუსულად გამოგვიცხადეს, ნელ-ნელა ტრასაზე გამოდითო. ჩვენ ვიკითხეთ, რა ხდება, საშიში ხომ არ არისო. „Не бойтесь, Россия за вами", —ასე გვითხრეს სიტყვასიტყვით. მივედით პირდაპირ ოჩამჩირის სადგურში, სადაც დავტოვეთ ბავშვები და რადგან ჩემი დედამთილი ჩამოგვრჩა, მის მოსაძებნად ისევ უკან გავბრუნდი...

სადგურზე დაბრუნებულს შვილები ადგილზე აღარ დამხვდნენ. ვაგზალი იბომბებაო, — იძახდნენ რუსები და ისინიც გაქცეულიყვნენ. ცენტრალურ ტრასაზე ვხედავდი, როგორ გარბოდა ხალხი. იქ ჩემი შვილებიც შევამჩნიე. მეც მივრბოდი და თან ჩემს დედამთილს ხელს



მშობლები — ვალერი და ზაირა ბერულავები

არ ვუშვებდი... მერე ჩემს მეზობლებს, ძმებ წივილაშვილებს მანქანა გაუჩერეს. „მარშრუტკა" იყო ტრაქტორზე მიბმული. ჩემმა მაზლისცოლმა ყველა ბავშვი მანქანაში ჩასვა. მეც მივირბინე, მაგრამ იქ ჩემი შვილები არ ისხდნენ. ისევ ფეხზე იდგნენ. თქვენ რატომ არ ჩასხედით-მეთქი, რომ ვუთხარი, ახლაც ყურში ჩამესმის თამაზის სიტყვები: — ბებია სად არისო? ისე უყვარდა ბებია, მასზე გიჟდებოდა. ამასობაში მანქანაც დაიძრა. ყველაფერი მოსწრებაზე იყო. მძღოლმა მითხრა, ბავშვები მომაწოდეო. ნიკა ვისროლე მანქანაში, თამაზის ფეხსაცმელი კი ხელში შემრჩა...

ირგვლივ ყველაფერს ცეცხლი ეკიდა, სახლები იწვოდა. გამუდმებით ისროდნენ. 30 სექტემბრის ავბედითი დილა იდგა. ბავშვები კი გავუშვით, მაგრამ გზაზე თურმე წინმიმავალი, აფეთქებული მანქანა იწვოდა. ჩვენს მძღოლს შეშინებია, „მარშრუტკა" გაუჩერებია და ბავშვები ტყეში შეცვენილან ტყვიებისაგან დასაფარავად. იქ იყვნენ ქართველი ბავშვები, ჩემი მაზლისშვილები, გოგონები, ბიჭები...

მთელი ორი დღე-ღამის ნაწვალებ, დაღლილ-დაქანცულ ბავშვებს ტყეში ჩასძინებიათ. ბოლოს მეგრული საუბარი გაუგიათ. ძმებ წივილაშვილებს ჩვენები ჰგონებიათ. ქართველები ხართ, ბიჭებოო? დაუძახიათ. აფხაზები ყოფილან. შეიარაღებულები. ეს ძმები ადგილზევე დახოცეს, დედის თვალწინ.

თამაზს ჩემი მაზლისშვილის, 17 წლის კახა ბერულავას კალთაში სძინებია. დაიჩოქეო, უბრძანებიათ აფხაზებს კახასთვის. მას თამაზისთვის ხელი მაინც არ შეუშვია. მიბჯენილი ავტომატისთვის კი ხელი აუკრია. იმ წუთას დაუხვრეტიათ კახა. ამის დამნახავი 8 წლის პატარა გაქცეულა. პაატა ბერულავაც იქვე დაუხვრეტიათ...

ამის შემდეგ ბოევიკთა სხვა ჯგუფი მოსულა. ბავშვებისთვის უკითხავთ, საიდან ხართო. განახლებიდანო, უთქვამთ ამათ. ერთი ჩემი აფხაზი მეზობლის, გაბელიას ძმისშვილი ყოფილა. ამას იცნობთო? — უკითხავს მას. დადებითი პასუხი რომ მიუღია, „Эти наши, не трогайте"-ო, უთქვამს მას. შემდეგ მიბრუნებია იმ პირველ ჯგუფს და — უიარაღო ბავშვებს რატომ ესროლეთო, უსაყვედურია მათთვის.

ჩემი თამაზი დაჭრილი, უგონოდ მყოფი ჩაუწვენიათ მანქანაში და წაუყვანიათ. დანარჩენებმა სამშვიდობოს გამოაღწიეს და ეს ამბავი გადმოიტანეს. იმ დღიდან ვეძებ, — ამბობს ზაირა და... იმ დღიდან იწყება 29 წლის ქალის ცხოვრების გოლგოთა.

### ძებნა

**ბავშვს** აღარაფერი ახსოვს, მშობლები რომ მოიკითხოს.

მშობლები კი...

მათ ზედ აღარ შეეხედებათ.

მამა, ვალერი ბერულავა ორი წლის განმავლობაში აფხაზეთის საზღვარს არ მოშორებია. ხვდებოდა რუსლან ქიშმარიას, თამაზის ამბავს აბარებდა აფხაზეთში ყოველ მიმავალს. ეუბნებოდა ყველაფერს, რაც იცოდა დაჭრილი შვილის შესახებ. ითხოვდა, თუ ცოცხალი არ არის, მკვდარი მაინც დამიბრუნეთო შვილი.

რუსლან ქიშმარია კი აიმედებდა, ბავშვი მკვდარი არ არის, ჩემს ორ შვილს გეფიცები, მაგრამ სად არის, ნამდვილად არ ვიციო. თანაც, ბიჭის სურათი გამოართვა მამას, მათ აფხაზ მეზობელს, გაბელიას მიუტანა, რომელმაც შემოუთვალათ, მე მივხედავო ამ საქმეს, მაგრამ წლების განმავლობაში არანაირი დამაიმედებელი ინფორმაცია არ მოდიოდა.

წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა კი გამოიტანეს ამბავი, ბავშვი საავადმყოფოში იწვა და შემდეგ ვიღაც ახლობელმა გაიყვანაო...

ვის არ აგზავნიდნენ მშობლები აფხაზეთში შვილის ამბის შესატყობად. თორმეტი წლის განმავლობაში იმდენი ტანჯვა გადაიტანეს, ენით უთქმელი. ზაირას თვალზე ცრემლი არ შეშრობია. ვალერის ნერვიულობისგან ორჯერ ინფარქტი დაემართა. არადა, დანარჩენებს, ნიკას და მაიასაც ხომ გაზრდა უნდოდა. შვილის დაკარგვით გამოწვეულ სიმწარეს ეკონომიკური გაჭირვებაც დაერთო. ზაირა იძულებული გახდა, თავს მორეოდა და გარეთ გასულიყო. სიცოცხლე აღარ უნდოდა, მაგრამ მაინც დადგა და ვაჭრობა დაიწყო... მწვანილით. პურის ფულს შოულობდა. კუპონობის დრო იყო. ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებდა...

ამ წლების განმავლობაში აღარ დარჩა ორგანიზაცია, ბერულავების ოჯახის დრამა რომ არ სცოდნოდა. ქალბატონი ზაირა ამბობს:



ორმაგი ბედნიერება — მაია ორივე ძმასთან ერთად. მარცხნივ — თამაზი

იხ. მე-4 გვ.

◉ მიწისძვრა ჩვენს სულებში

# „შვიდი შვილის დედა ქუჩაში როგორ დავტოვო?!“

**ელეონორა უგულავა შვიდი შვილის დედაა. ცხოვრობდა ფონიჭალის დასახლებაში დედამთილ-მამამთილთან და თავის მრავალშვილიან ოჯახთან ერთად. აქვე ცხოვრობდა მისი მაზლი, რომელიც ფსიქიურად არის დაავადებული. რა თქმა უნდა, მათი ყოფა აუტანელი იქნებოდა.**

**უგულავას სახლთან ახლოს იყო დაკეტილი 4-ოთახიანი ბინა, რომელიც მიწისძვრით დაზარალებულ ოჯახს ეკუთვნოდა. უგულავამ გატეხა ეს ბინა და თავის მრავალშვილიან ოჯახთან ერთად შევიდა შიგ. ისინი ახლაც ამ ბინაში ცხოვრობენ, მიუხედავად სასამართლოს გადაწყვეტილებისა.**

**სამწუხაროდ, ე. უგულავა არც პირველი ყოფილა და არც უკანასკნელი. მსგავსი შემთხვევები არ არის უცხო მიწისძვრით დაზარალებულთა ფონდის თავმჯდომარის — აკაკი გონგლაძისათვის.**

**მაინც როგორ დაარსდა ეს ფონდი, რა პრობლემები დგას მის წინაშე? — ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ ვეწვიეთ ბატონ აკაკის.**

— ყველამ იცის, რომ 2002 წლის 25 აპრილს თბილისში საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა მოხდა. ცხადია, მიწისძვრის შედეგად უამრავმა ადამიანმა დაკარგა ბინა, თავშესაფარი. 2002-2003 წლებში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული 22 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი აღირიცხა თბილისში.

მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი 2002 წ. 4 მაისს შეიქმნა და ფონდი დღემდე ფუნქციონირებს.

**— რა შეიძლება გვითხრათ ამ ფონდის შესახებ?**

— ჩვენი ფონდი ქალაქის მთავრობის სპეციალური დადგენილებით შეიქმნა, ადრე აქ სხვა შემადგენლობა იყო. ჩვენ 2003 წლის სექტემბრიდან მოვედით. [illegible] 346 ბინა. [illegible] 3.973.238 ლარი. აქედან ბინების შეძენაზე და მათ გარემონტებაზე დაიხარჯა 2.878.287 ლარი, ანუ საშუალოდ ერთი ბინა — 8.318 ლარი დაჯდა (3861 დოლარი). ბინები მოქალაქეებს უნდა მისცემოდათ 3 წლის ვადით, დროებით სარგებლობაში.

**— მაინც, რა პირობებია საჭირო ამ ბინების გასაფორმებლად?**

— იმისთვის, რომ ბინა გაფორმდეს, საჭიროა 3 აუცილებელი პირობა: 1. დაზიანებული საცხოვრებელი სახლი უნდა იყოს II და III კატეგორიისა (ე. ი. ჩამონგრევის საშიშროებით, დანგრეული ან დანგრევის დაქვემდებარებული ნაგებობა). 2. სახლი უნდა იყოს პიროვნების საკუთრება და ეს უნდა იყოს დამოწმებული საბუთით და 3. პიროვნება ამ მისამართზე უნდა იყოს რეგისტრირებული, მას არ უნდა ჰქონდეს თბილისში სხვა საცხოვრებელი. ასე მაგალითად, ნაძალადევის რაიონში, ალილუევის ქუჩაზე დაინგრა სახლი, რომლის მეპატრონეც ჩაწერილია ქუთაისში და იქ ცხოვრობდა. ასეთ პიროვნებას ბინა არ მიეცემა, რა თქმა უნდა, კანონის მიხედვით. გვაქვს სხვა შემთხვევებიც, როცა ეს 3 პირობა არ სრულდება. სწორედ ამის გამო 50-მდე ბინა სადავო გახდა და ამ ოჯახების საქმე სასამართლოშია გადაცემული.

**— თუ შეიძლება, ჩამოგვითვალეთ, რამდენიმე შემთხვევა ამ 50-დან.**

— ამ 50 ოჯახს შორის დაახლოებით 20-ს არანაირი კავშირი არ აქვს 25 აპრილის მიწისძვრასთან. ასე მაგალითად, [illegible]

[illegible] ვას ოჯახზე: მე მამა ვარ, შვილიშვილები მყავს და 7 შვილის გამზრდელი დედა უბინაოდ, ქუჩაში როგორ დავტოვო? — ძალიან მძიმე საკითხია ეს ჩემთვის! ვიკავებ თავს, რომ უგულავა გამოვასახლოთ ამ ბინიდან, სანამ მერია რამეს არ ილონებს, თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

**— მაინც, რამ შეუშალა ხელი ამ ბინების კანონიერ მფლობელებს დროზე შესახლებულიყვნენ იქ?**

— იცით, აქ ბევრი მიზეზი შეიძლება დასახელდეს: ზოგიერთმა საკეტის ან კარების შეცვლაც კი ვერ შეძლო დროზე. იყო შემთხვევები, როდესაც ბინებს იწუნებდნენ სიშორის, მაღალი სართულის გამო... გვაქვს კიდევ ერთი სერიოზული ხელისშემშლელი მიზეზი: საგადასახადო ინსპექციაში ბინის მეპატრონემ მისი ღირებულების 12 პროცენტი უნდა გადაიხადოს. ეს საჭიროა საიმისოდ, რომ ბინა გატარდეს საჯარო რეესტრში. ამ გარემოებამ ძალიან შეგვიშალა ხელი, თორემ გამოყოფილი 346 ბინიდან 99 უკვე კერძო საკუთრებაში გადავეცით.

მე სპეციალური წერილი გავგზავნე საქართველოს პარლამენტში ამ საკითხთან დაკავშირებით. მაქვს ბ-ნ მიხეილ მაჭავარიანის მიერ ხელმოწერილი საპასუხო წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ 2006 წ. 1 იანვრამდე ეს გადასახადი მოიხსნება.

იმედია, რომ გამოყოფილ ბინებს [illegible]

[illegible]

ხათუნა ჩიგოგიძე

◉ იაკობ გოგებაშვილი — 165

# იცნობთ დიდი იაკობის მოღვაწეობას?

**იაკობ გოგებაშვილის სახელობისაა განათლების სისტემაში ღრმად ფესვგადგმული პედაგოგთა კავშირი.**

ამ დღეებში სწორედ აქ გაიმართა გოგებაშვილის დაბადებიდან 165 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციის დაწყებამდე მისი მონაწილენი პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა აზა ბუაძემ ი. გოგებაშვილის ლიტერატურულ-მემორიალურ მუზეუმში მიიწვია, თან უამბო, ვისი დახმარებითაც შეძლო პედაგოგთა კავშირმა მუზეუმის გამართვა. მუზეუმს სანდრა რულოვსმა თავისი საქველმოქმედო ფონდიდან გამოუყო თანხა. საქართველოს პირველი ქალბატონი პირველია, ვინც ამ დიდ ეროვნული საქმის შესრულებაში პედაგოგთა კავშირს დაეხმარა. მუზეუმში კი დგას გოგებაშვილის ნაშოვნი ავეჯი, აქ არის იაკობის მიერ ხელშე-



სავლები ნივთები, წლების განმავლობაში გამოცემული მისი წიგნები...

შემდეგ პედაგოგები საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულნი. მომხსენებლებმა მრავალფეროვანი თემატიკის მოხსენებები წარმოადგინეს თბილისის გარდა, გურჯაანიდან, საგარეჯოდან, ადიგენიდან, ბორჯომიდან, ცაგერიდან, ხარაგაულიდან, ლაგოდეხიდან, თელავიდან, ბაღდათიდან, ზუგდიდიდან ჩამოსულმა პედაგოგებმა ნანა გულიაშვილმა, გიული გრძელიშვილმა, ასია ონსაუზიანმა, ლია მაღრაძემ, დალი გულიაშვილმა, ნანა გაგუამ, ნონა ბერიძემ და სხვებმა. მათი მოხსენებები დაკავშირებული იყო საკუთარ გამოცდილებასთან და გოგებაშვილის მოძღვრებასთან.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიური უნივერსიტეტის დოქტორმა ნათელა მაღლაკელიძემ. კონფერენციის მონაწილეთ გადაეცათ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ვინ უკეთ იცნობს იაკობს“ გამარჯვებულ მასწავლებელთა პირველი კრებული „იაკობ გოგებაშვილის ნაკვალევზე“.

ნათელა ფაილოძე

◉ გაბზარული რწმენა

# მწყემსი კეთილი დაგვიფარავს

## იელოველთა კონგრესი ზუგდიდში

**იელოველთა სარწმუნოებრივი მიმდინარეობა მეცხრამეტე საუკუნის ბოლო წლებიდან იღებს სათავეს. თავიდან ხალხის დიდი მხარდაჭერა არ ჰქონია, მაგრამ შემდგომ ე. წ. „ფინანსური მეგობრები“ გამოუჩნდნენ მასონების სახით, რომლებმაც ხელი შეუწყვეს მისი სამოქმედო არეალის გაფართოებას.**

ახლა ისინი მსოფლიოს ყველა კუთხეს არიან მოდებული. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოშიც მომრავლდნენ. განსაკუთრებით ზუგდიდშია იელოვას მოწმეთა სიმრავლე. სწორედ, ეს გახდა საფუძველი იმისა, რომ ზუგდიდის რაიონში სამი თვის განმავლობაში ორჯერ ჩაატარეს იელოველებმა სარაიონო კონგრესი, რომელშიც დასავლეთ საქართველოს ყველა რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ამჯერად, „სულიერ დებსა და ძმებს“ მასპინძლობდა სოფელ ზედაეწერის მკვიდრის იური აფხაზავას ოჯახი. კონგრესმა სამი დღე იმუშავა. კონგრესის დღის წესრიგის მთავარი თემა ასე ჟღერდა: „შეიმოსეთ ახალი პიროვნებით“.

ღონისძიება მუსიკით დაიწყეს, რასაც მოჰყვა სიმღერა და ლოცვა. შემდეგ „მოინათლა“ 13 პირი. ამით დამთავრდა დილის პროგრამა. ნაშუადღევი ისევ მუსიკით დაიწყო, მოისმინეს მოხსენება: „სძლიეთ ბოროტს“. კვლავ სიმღერა და სხვადასხვა შინაარსის განცხადებები, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი იყო ჟურნალ „საგუშაგოს კოშკის“ მიმოხილვა. ტრადიციულად კონგრესი სიმღერითა და ლოცვით დამთავრდა.

ისინი „ახალი პიროვნებების“ გარდა სხვებს ბოროტებად თვლიან. უფრო მეტიც, ისე გათამამდნენ, რომ სატანებსაც კი გვიწოდებენ.

ჩემი აზრით, ყოველივე ეს იმიტომ ხდება, რომ არ არსებობს სახელმწიფო მექანიზმი, რომელიც აკრძალავდა იელოველთა სექტის ანტიმართლმადიდებლურ საქმიანობას, როგორც ეს ხდება მოძმე სომხეთში.

იელოველებთან დაკავშირებით, ზუგდიდის ვლაქერნის ღვთისმშობლის ეკლესიის ტაძრის დეკანოზმა, მოსკოვის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა ფრიდონ ასათიანმა განმიცხადა: „ჭეშმარიტი ქრისტიანობის მოწინააღმდეგეთა მიმართ ერთადერთი იარაღი მხოლოდ ჩვენი ყოველდღიური ლოცვაა, რათა მოვაქციოთ ისინი სიმართლისაკენ. გვჯერა, ღმერთი შეისმენს ყოველივეს“. დეკანოზის აზრით, ზუგდიდში დღეს იელოვას მყარ მოწმეთა რიცხვი დაახლოებით ასს არ აღემატება, დანარჩენი ათასამდე გზასაცდენილი ადამიანი კი უბრალოდ მიტმასნილია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დოცენტი ჯემალ როგავა ამბობს, რომ ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების საწყისი უნდა ვეძიოთ ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის სახელთან. სწორედ მათ დააფუძნეს მართლმადიდებლური ეკლესია კოლხეთში. რატომ ხდება, რომ ბოლო პერიოდში იელოველთა მიმდინარეობამ ყველაზე მეტი გაფურჩქვნა სამეგრელოში ჰპოვა. ამის ერთ-ერთი ახსნა შეიძლება ვეძიოთ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ტრაგიკულ ბედთან კავშირში. ბევრი ე. წ. „ზვიადისტი“ გაუნაწყენდა მართლმადიდებელ ეკლესიას და ვითომ ჭეშმარიტება იელოველთა მიმდინარეობაში ნახა.

იელოველთა სექტა, მაინცდამაინც საშიშროებას არ წარმოადგენს დიდი სახელმწიფოებისათვის, მაგრამ ისეთი პატარა, მცირერიცხოვანი ერისათვის, როგორიც ქართველები ვართ, საშიში კი არა, სასიკვდილოა. იგი ხომ ყოველგვარ ეროვნულს, სახელმწიფოებრივსა და რეალურს უარყოფს.

ზუგდიდის საზოგადოებას სჯერა, რომ საქართველო ამ შემოტევასაც გაუძლებს, როგორც გაუძლო ათასგვარ შემოსევას და შეინარჩუნა მართლმადიდებლური სარწმუნოება. ქრისტე ღმერთი დაგვიფარავს.

ოდიკ ძუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

◉ დაბრუნება

# როგორ იქცა ქართველი ბიჭი აფხაზად

(მესამე გვერდიდან)

— განაწყენებული ვარ ზოგიერთ მათგანზე. ტყვეთა გაცვლაზე ვინც მუშაობდნენ, თურმე, ყველაფერი იცოდნენ და ამ თორმეტი წლის განმავლობაში არანაირი ინფორმაცია არ მოგვაწოდეს. თანაც, როგორ ვთხოვდით. მე მინდა მათ ყველას პასუხი მოეთხოვოთ. მეტი მთავრობისაგან არასდროს არაფერი მოგვითხოვია. ერთადერთი, ვინც ტანჯვაში მხარში ამოგვიდგა და მე, როგორც დედას და ქალს, მანუგეშებდა, იყო ეთერ ასტემიროვა, რომელიც მაშინ ადამიანის უფლებების დაცვაზე მუშაობდა და ყველგან დამყვებოდა. ასევე მხარში მედგა ჩვენი დეპუტატი რაისა ქარაია. ქალბატონმა ეთერმა შემიყვანა ავთანდილ იოსელიანთანაც, რუსეთის საზოგადოებრივ ტელევიზიის პროგრამა „Жди меня“-მაც გადასცა ჩვენზე და იქაც სულ ქალბატონი ეთერი რეკავდა...

და მაინც, ვინ იყო ის კაცი, რომელმაც დაჭრილი და ნამკურნალევი ქართველი ბიჭი საავადმყოფოდან შინ წაიყვანა?

— ამასაც გვეუბნებოდნენ, — გვიყვება ზაირა, — ბავშვი ისეთმა კაცმა წაიყვანა, რომ აღარავინ ჰყავს და არ მოგცემთო...

თამაზმა დიდი ტანჯვა გადაიტანა, სანამ უკვე ცნობილ აფხაზ, კეთილშობილ ქალბატონთან ალა შამბასთან მოხვდებოდა.

კაცი, რომელმაც ბიჭი საავადმყოფოდან წაიყვანა, ვიღაც გენერალი იყო, ეროვნებით, სავარაუდოდ, შეიძლება — რუსი. ორი წელიწადი მასთან იყო, მაგრამ როცა ეს პიროვნებაც მოკლეს, ბავშვის ცხოვრებაში მეორე კოშმარი დაიწყო: მას სამხედროები აქეთ-იქით დაატარებდნენ. ფაქტობრივად, ის უპატრონოდ დარჩა.

თანაც, ბიჭს უკვე აღარ შეეძლო წარსულის გახსენება, რადგან შიშისა და ჭრილობის მერე ამნეზია დაემართა, დაავადება, რომელსაც ექიმები მეხსიერების დაკარგვას უწოდებენ...ბავშვს აღარაფერი ახსოვს თორმეტი წლის წინანდელი.



სიძე — თენგო სანაია ბედნიერ ფეხზე შემოვიდა (ცენტრში).

## თამაზ-ბესლანი

ვინც რუსლან ქიშმარიას ამასწინანდელი ინტერვიუ მოისმინა, იცის, რომ ეს ბავშვი თურმე მასთანაც მისულა.

გაივლის დრო და უფრო მეტი რამ გახდება ცნობილი მისი დრამატული ოდისეიდან, უფრო მეტი აფხაზი გაიხსენებს სოხუმში განგების ნებით თუ უბედობით ჩარჩენილ უმწეო ქართველ ყმაწვილს, რომელიც მშობლიურ სითბოს ეძებდა მათში.

ისიც იცი, მკითხველო, თუ როგორ შევიდა შეშინებული ბიჭი გამყიდველ ქალთან ჯიხურში და როგორ შემოეხვია მუხლებზე, — დედა, შენთან წამიყვანეო. როგორ ვერ მოიშორა თავადაც ორი ბიჭის დედამ, აფხაზმა ქალმა თითქმის განწირული ბავშვი და როგორ წაიყვანა შინ. მისმა ქმარმა და შვილებმაც ხმისამოუღებლად მიიღეს. ყველა აფხაზმა იცოდა, რომ არშბები ზრდიდნენ ქართველ ბიჭს, რომელსაც უკვე დავიწყებული ჰქონდა საკუთარი სახელი და გვარი. მშობლების და და-ძმის სახელები. მაგრამ მასში მაინც იყო რაღაც, რამაც ქართველი დედის ხატებას მიამსგავსებინა აფხაზი ქალბატონი, მას არასდროს დავიწყებია, რომ იყო ქართველია! ესეც ალბათ ღვთის ნება იყო!

ქალბატონი ზაირა იხსენებს: — სანამ თამაზს გადმოვიყვანდით, მანამდე თითქმის ყოველდღე გვქონდა კავშირი მის აღმზრდელებთან. ჩვენ იმ პირობით შევხვდით ქალბატონ ალას, რომ ის ბესლანს აქ არ დატოვებდა და ჩვენც არ წავართმევდით, ძალას არ დავატანდით და თვითონ როგორც უნდოდა, ისე იქნებოდა ყველაფერი. იცით, როგორი იყო ამათი განშორება? — ალა ხომ ჩვენთან იყო თითქმის მთელი ოცი დღე. ეს იყო ნამდვილი დედაშვილური გრძნობა. მე ვტიროდი, ისიც ტიროდა. მან თქვა, რომ ამიერიდან გზას დაიდებს სოხუმიდან თბილისამდე და პირიქით. არავის დაუძალებია თამაზისთვის აქ დარჩენა, ეს მან თვითონ გადაწყვიტა. უკვე სრულწლოვანი ბიჭია. ეს თვითონ ქალბატონმა ალამაც დაიანახა.

## ალა შამბას ტვირთი

ნამდვილი შვილივით შეიყვარა უმწეო ბიჭი შამბების ოჯახმა. სანამ ბერულავების ოჯახს შეხვდებოდა, სულ ეჭვობდა, ნამდვილად მათი შვილი იყო თუ არა ბესლანი. არ შევცდეო — ფრთხილობდა ქალი და მართალიც იყო — ამდენი წლის განმავლობაში თვითონაც ხომ უჭირდა და მაინც საკუთარი შვილების ლუკმას უყოფდა შვილობილს. უმცროს ძმასავით მიაჩნიათ იგი ასაკით უფროს აფხაზ ძმებს, ალას ვაჟკაცებს, რომლებიც უკვე დაცოლშვილებულები არიან.

ალამ რომ თბილისიდან სოხუმში დარეკა და ოჯახს უთხრა, ბესლანს აქ ვტოვებო, ნუთუ, დედა? რატომო? — გულდაწყვეტით ჰკითხეს ღვიძლმა შვილებმა.

არადა, ბევრს სურდა ეშვილა ბავშვი. მაგრამ არავის გაჰყვა. ხოლო როცა თამაზმა თბილისიდან გაგზავნილი თავისი მშობლების სურათები ნახა, სხვებისგან გამოარჩია, აიღო და თქვა, ესენი ჩემი ნამდვილი მშობლები არიანო.

და ერთი საინტერესო დეტალიც: სამი წლის წინათ ალამ სიზმარში ნახა, ვითომ ერთი შაოსანი ქალი მდინარის პირას გამწარებული დარბოდა და ყვიროდა, აქ შვილი დამეკარგაო. ის კი თურმე მდინარის მეორე ნაპირზე იდგა და თავისთან უხმობდა, ბავშვი ჩემთან არისო, გაღვიძებულმა ქალმა ბიჭს მხოლოდ მაშინ გაუმხილა, რომ ბესლანი არ იყო მისი ნამდვილი სახელი. ზაირას ნახვისას კი სიზმარში ნანახი ქალი ამოიცნო...

...თამაზ-ბესლანს ახლა თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, თავისი დედ-მამის სახლში მშვიდად სძინავს. მე და ქალბატონი ზაირა ვსაუბრობთ. ნუ გააღვიძებთ, — მთხოვს იგი, — ძალიან გადაიღალა. ყველას მისი ნახვა სურს. კარგად გაზრდილი ბიჭია, ზრდილობიანი და წესიერი, აფხაზივით. მეორე საძინებელში უფროს ძმას, ნიკას სძინავს. სულ ერთად ყოფნა სურთ. გუშინ ნიკას შავი პერანგი ეცვა. ბესომაც (ასე ვეძახით) შავი ჩაიცვა, ახლა კიდევ უფრო ვგავართ ერთმანეთსო. გუშინ ტელევიზიით ინტერვიუ მისცა, სადაც თქვა, რომ სწავლის გაგრძელება სურს. უნდა საერთაშორისო დიპლომატიურზე, უნივერსიტეტში განაგრძოს სწავლა. ამბობს, ქართველთა და აფხაზთა შერიგებისთვის ვიღვაწებო.

სკოლა სოხუმში რუსულად დაამთავრა. გვინდა, რომ აქ მოემზადოს. მარად ვილოცებ ქალბატონი ალასთვის და ყველასთვის, ვინც შვილი გადამირჩინა და მაპოვნინა. დიდ მადლობას ვუხდი ყველას, — გულით ამბობს ნაწამები, მაგრამ შვილის პოვნით ასე გახარებული დედა.

ბესოს მოსვლას მაიას გათხოვებაც დაემთხვა. სიძეც აფხაზეთიდანაა, მერხეულიდან — თენგო სანაია. — მაგის ფეხს მოჰყვა ყველაფერი კარგიო, — უხარია ზაირას და მისი სიხარულით ცრემლნარევი თვალები ღაღადებენ, რა გრძნობებია წამოშლილი ახლა ამ ჯერაც ახალგაზრდა, მაგრამ უკვე თმაჭაღარა დედის სულში...

**ყველაფერს ისე მაინც ვერ აღწერს ჟურნალისტი, როგორც აღიქვამ და განიცდი. ასეთი ამბავი მკითხველს ალბათ კინოფილმებიდან და წიგნებიდან უფრო გაუგონია, ვიდრე რეალურად უნახავს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ჩვენი დღევანდელი სინამდვილეა, ოცი წლის ქართველი ვაჟკაცის თავგადასავალია, რომელმაც თავისი ბედკრული სამშობლოს ისტორია ბავშვური მხრებით ატარა და აქამდე მოიტანა...**

**რა დააშავა რვა წლის ყმაწვილმა, ასეთი ბავშვობისთვის რომ გაიწირა?**

**რა დააშავა ქართველმა დედამ, გოლგოთის გზას რომ შეუყენეს? აფხაზმა დედამ, ამდენ გრძელ წელიწადს რომ ამაგი დასდო უცხო ბიჭუნას და მისი ტკივილით და მწუხარებით იცხოვრა? იმ დროში გმირობის ტოლფასი იყო სოხუმში ქართველი ბავშვის აყვანა და მოვლა-პატრონობა. ეს კი შეძლო ამ გულიანმა აფხაზმა ქალბატონმა.**

**ვინ მოსთვლის, რამდენი ადამიანი გაიწირა იმ უაზრო ომში. ვინ აგებს ამაზე პასუხს? ვის შეეცოდება ქართველთა და აფხაზთა გოგო-ბიჭები? ვის საჯიჯგნად და საჯილდაო ქვად გამხდარა ჩვენი ლამაზი აფხაზეთი?**

**ამიერიდან თამაზ-ბესლანი აფხაზიცაა და ქართველიც. ის ორივე ერის შვილია. მისი სამშობლოა სოხუმი, ისევე, როგორც ახლა — თბილისი. ამ ვაჟკაცს ღმერთმა არგუნა ორივე ერის სიყვარული მსოფლიოს დასანახად, ორი დაპირისპირებული ხალხის დასანახად, რადგან განგებამ ერთ არსებაში მოაქცია აფხაზეთი და საქართველო.**

**რამდენ რამეზე გვაფიქრებს ეს მაგალითი...**

ლია ჭიღლაძე



თამაზი ახლადშეძენილ მეგობრებთან წმიდა სამების საკათედრო ტაძარში.

◉ ინფორმაცია

## ყველაფრის პატრონი თავად ბრძანდება

საააქციო საზოგადოება „თბილავიამშენში“ ფინანსური პოლიციის თბილისის სამმართველოს თანამშრომლები დოკუმენტაციის ამოსაღებად შევიდნენ. საქმე ეხება ბიზნესმენ ბიჭიკო ქართლოსიშვილს, რომელიც ავიამშენებლობისთვის საჭირო პროდუქციით ვაჭრობს, „თბილავიამშენმა“ შპს „დიფღელესგან“, შპს „გაგუსგან“ და შპს „თბილისი 9“-სგან დაახლოებით ორი მილიონი ლარის ღირებულების აგრეგატები და მილები შეიძინა. ეს ფირმები ქართლოსიშვილის დაარსებულია და თავად არის მათი დირექტორიც. ფინანსურმა პოლიციამ ბიჭიკო ქართლოსიშვილი 17 ოქტომბერს ყალბი აქტივების, ცრუ მეწარმეობის და ყალბი დოკუმენტების გამოყენების გამო დააკავა.

## „ხალხოსანი“ მერი

დედაქალაქის მერის გიგი უგულავას განცხადებით, იგი აბსოლუტურად ყველა სატელეფონო ზარს პასუხობს. „ყველა ზარს ვპასუხობ, მაგრამ უფრო ეფექტიანია, როცა თანამდებობის პირი ხალხში გადის და ხალხს ესაუბრება“, - აღნიშნა უგულავამ.



მისი თქმით, დღევანდელ მთავრობის სხდომაზე საუბარი შეეხო ბიუროკრატიული ბარიერების გაუქმებას, რაც ჯერ კიდევ არსებობს სხვადასხვა უწყებებში.

უგულავას განცხადებით, ბიუროკრატია ძირითადად ხელისუფლების ქვედა დონეებზე არსებობს. „საჭიროა ხელისუფლების ქვედა ეშელონები უფრო ეფექტური გახდეს. შესაძლოა, ქვედა დონეზე, ჩინოვნიკების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ყოველთვის სწორი არ იყოს, მაგრამ ამისთვის არავინ დაისჯება“, — აღნიშნა უგულავამ.

დღევანდელ მთავრობის სხდომაზე საქართველოს პრეზიდენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა დაუწუნა.

მიხეილ სააკაშვილის მოსაზრებით, აუცილებელია, რომ მთავრობამ ისწავლოს ხალხის მომსახურება. პრეზიდენტს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად მიაჩნია ბიუროკრატია სახელმწიფო სტრუქტურებში, რომელიც ხშირ შემთხვევაში ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად რჩება.

მიხეილ სააკაშვილი მინისტრებს ხალხთან უფრო მჭიდრო კონტაქტების დამყარებას და საზოგადოებაში არსებული პრობლემების გათავისებას სთხოვს.

## ყაჩაღობა ქუთაისში

გუშინ ქუთაისში, დაახლოებით 10.30 საათზე, №1 საშუალო სკოლასთან, სამხატვრო გალერეასთან „უაზის“ ტიპის ავტომანქანა რუსთაველის ქუჩაზე მოძრაობდა, რა დროსაც გზა გადაუღობა სავარაუდოდ „მერსედესის“ მარკის ავტომანქანამ, საიდანაც ოთხი ნიღბიანი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შე-



იარაღებული პირი გადმოვიდა და დაცხრილა მანქანა. თავდამსხმელებმა მანქანაში მსხდომი „საქართველოს ელექტროქსელის“ თანამშრომლები იძულებით გადმოსვეს. მათ „საქართველოს ბანკიდან“ გამოტანილი სახელფასო თანხა — 55 ათასი ლარი სამსახურში მიჰქონდათ. თავდამსხმელებმა მათ ფული წაართვეს და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალნენ. შემთხვევის ადგილზე იმყოფებიან სამართალდამცველები. გადაკეტილია ქუჩები. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

შარშან „საქართველოს ელექტროქსელის“ თანამშრომლებს ყაჩაღურად 48 000 ლარი წაართვეს.

## გვირაბი კოლონიაში

რუსთავის № 2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ძველი გვირაბი აღმოაჩინეს.

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის № 2 დაწესებულებაში, წელიწადნახევრის წინათ დანგრეული ყოფილი საცხოვრებელი ბარაკის ტერიტორიაზე, სამეურნეო სამუშაოების ჩატარებისას ძველი გვირაბი აღმოაჩინეს. ოთხი მეტრის სიგრძის მიწისქვეშა თხრილში ძველი ჯინსის შარვალი და მიწის სათხრელად გამოყენებული რკინის დაჟანგული ნივთები იპოვნეს.

დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურმა გვირაბში მიწის გათხრის ახალი კვალი ვერ აღმოაჩინა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა.

ინტერპრესნიუსი

## უღელტეხილზე უკვე დიდი თოვლია

დიდთოვლობის გამო მეხუთე დღეა ჩაკეტილია კოდორის უღელტეხილი. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის რწმუნებულმა გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში მევლუდ ჯაჭვლიანმა განაცხადა, რომ თოვლის საფარმა უღელტეხილზე ერთ მეტრს მიაღწია. ხეობის სოფლებში ჯერჯერობით არ მოუთოვია და, შესაბამისად, არც გზების ჩახერგვის პრობლემა შექმნილა.

მევლუდ ჯაჭვლიანი იმასაც აღნიშნავს, რომ ხეობის ოთხივე დაწყებით და სამივე საშუალო სკოლას საზამთროდ შეშა საქართველოს ხელისუფლებამ უკვე შეუძინა. სკოლებში მოქმედებს სასადილოებიც და იქ სწავლის პროცესი შეუფერხებლად მიმდინარეობს.

მედიანიუსი

გამოფენა

# „დაპატარავებული“ მსოფლიოს დიდი სატკივარი



**რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიამ და თბილისის მხატვართა კავშირმა სამხატვრო აკადემიის პროფესორის, მხატვარ ნოდარ ღოღობერიძის ნამუშევართა გამოფენა მოაწყო, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუ-იორკში განხორციელებულ ბარბაროსული ტერორისტული აქტის მსხვერპლთა სულის მოხსენიებას მიეძღვნა.**

— გამოფენის მოწყობის იმპულსი ბოლო დროს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში — ერაყში, რუსეთში, ინგლისში, ესპანეთში და სხვაგან — განხორციელებული ტერაქტები გახლდათ, — თქვა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში მოწყობილი შთამბეჭდავი გამოფენის გახსნისას მხატვარმა ნოდარ ღოღობერიძემ. — საქმე ის გახლავთ, რომ 2001 წლის იმ ავბედით სექტემბერს, შემოქმედებითი მივლინებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ქალაქ ნიუ-იორკში ვიმყოფებოდი. ამ დიდებული, ჩვენი დროის ბაბილონად სავსებით სამართლიანად წოდებული ქალაქის მრავალი ჩანახატი კი სწორედ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ერთ-ერთი ტყუპი ცათამბჯენის სახურავიდან გავაკეთე, რომლებიც შემდგომ ტერორისტების სამიზნე გახდა. ამდენად, ვფიქრობ, ძნელი არ არის მიმიხვდეთ, თუ რა გრძნობა დამეუფლა, როცა იმ უბედურების შესახებ შევიტყვე... 11 სექტემბერს ხომ ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. თავი მოვალედ ჩავთვალე, რომ მომხდარის გამო ჩემი მწუხარება საჯაროდ გამომეთქვა და დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივისცემა ნიუიორკული სერიის ნახატების გამოფენით გამომეხატა.

— საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის მხატვართა კავშირთან ერთად, 2001 წლის 11 სექტემბერს, ნიუ-იორკში განხორციელებული ტერაქტების მსხვერპლთა სულის მოსახსენიებლად, მხატვარ ნოდარ ღოღობერიძის ნამუშევართა გამოფენის მოწყობა გადაწყვიტა, რადგანაც ამერიკა ჩვენი მეგობარი ქვეყანაა და ყოველმხრივ თანავუგრძნობთ მას, — განაცხადა შესავალ სიტყვაში აკადემიისა და კავშირის თავკაცმა, საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა დემურ ბაშელეიშვილმა.

მისი თქმით, გამოფენის დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ამ აქციით დამსწრენი პროტესტს გამოხატავენ თანამედროვეობის საშინელი სენის, ტერორიზმის წინააღმდეგ.

— მინდა, გითხრათ, რომ გამოფენა არა იმდენად დიდებული მხატვრის ნოდარ ღოღობერიძის შემოქმედებითი დონის წარმოჩენაა, არამედ 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკის ტერაქტის მსხვერპლთა სულის მოხსენიება, მთლიანად ამერიკელი ხალხისადმი ჩვენი დიდი პატივისცემის გამოხატვა, — აღნიშნა მან.

ბატონ დემურ ბაშელეიშვილის ეს აზრი გაიზიარეს და კიდევ უფრო მეტად განავრცეს სიტყვით გამოსულებმა პროფესორმა ვახტანგ გოგუაძემ, საქართველოს სახალხო მხატვრებმა ზურაბ ლეჟავამ, გოგი თოთიბაძემ, საქართველოს სახალხო არტისტმა, კომპოზიტორმა ფელიქს ღლონტმა, ცნობილმა ჟურნალისტებმა გურამ გოგიაშვილმა, ვალერი კვარაცხელიამ, მხატვარმა სერგო კენჭაძემ და სხვ.

გამომსვლელთა აზრით, თანამედროვე ტერორიზმი მრავალსახაა, იგი მარტო ნაღმების აფეთქებით და ტყვიის სროლით არ სჩადის ენით აუწერელ სისაძაგლეს, ამიტომ მის წინააღმდეგ ყველა ქვეყნის კეთილსინდისიერმა მოქალაქემ, მამულიშვილმა ერთ მუშტად შეკრულმა უნდა გავილაშქროთ. თანამედროვე მსოფლიო იმდენად „დაპატარავდა“, რომ არა აქვს მნიშვნელობა, თუ რომელ მხარეში უჭირს ადამიანს, ცოდვილ კაცობრიობას. ამდენად, ეს გამოფენა არა მხატვარი შემოქმედის ანგარიშია, არამედ პოლიტიკური, ანტიტერორისტული აქცია. გულისტკივილით გამოითქვა აზრი, რომ ტერორიზმი ჩვენში, საქართველოშიც კარგა ხანია მძვინვარებს და მისი აშკარა გამოვლინებაა „ინტელექტუალური ბიჟუტერია“, რომელიც ძვირფასი ლითონებისა და პატიოსანი თვლების იაფფასიანი სუროგატით შეცვლას ლამობს. ზნეობრივად არანაკლებ დამანგრეველია მოვლენებისადმი ორმაგი სტანდარტით მიდგომის ლამის დაკანონებული პრაქტიკა, ინფორმაციული ომი, ძალადობა ადამიანთა ფსიქიკაზე, რომელიც დემოკრატიულობის ნიღბით გვევლინება.

ბოლოს, ერთი გულდასაწყვეტი გარემოების შესახებ: 29 ოქტომბერს გამართული გამოფენის სტუმართა შორის არ იყვნენ ჩვეული ქართული პატივით მოწვეული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, მათ შორის არც ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის ფედერაციის საელჩოების კულტურის ატაშეებიც კი.

ვიმედოვნებთ, რომ ეს „უყურადღებობა“ მხოლოდ წვიმიანი, ზედმეტად მოჟამული ამინდის ბრალი იყო...

**ოთარ ტურაბელიძე.**





## მაროკოში დააკავეს ადამიანი, რომელიც აფეთქებებით იმუქრებოდა

**მაროკოს უშიშროების ძალებმა დააკავეს ადგილობრივი მცხოვრები — რადიკალი ისლამისტი, — რომელიც ქალაქ ფესის აეროპორტის აფეთქებით იმუქრებოდა.**

პოლიციის მონაცემებით, ყოფილი კომივოიაჟერი დააკავეს გასულ პარასკევს, მას შემდეგ, რაც მან რამდენჯერმე დარეკა ტელეფონით პოლიციაში და დაიმუქრა ქალაქ ფესის აეროპორტის აფეთქებით, აგრეთვე, საავადმყოფოებსა და მაროკოს სატრანსპორტო კომპანიის მთავარ ოფისში ტერაქტების განხორციელებით.



იგი აცხადებდა, რომ თავის განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, თუ ხელისუფლება საპყრობილიდან არ გაათავისუფლებდა ექსტრემისტული დაჯგუფების „ას-სალაფია ალ-ჯიადიის“ წევრებს.

ორი ათასზე მეტი ექსტრემისტი, რომელთა უმრავლესობა ამ ტერორისტული დაჯგუფების წევრია, მაროკოში გაასამართლეს 2003 წელს კასაბლანკაში მომხდარ ტერაქტებში მონაწილეობის გამო.

დაპატიმრებულ „სატელეფონო ტერორისტს“ გამოძიების ორგანოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბრალად ედება „მონაწილეობა უკანონო ორგანიზაციებში, აგრეთვე, საზოგადოებრივ ადგილებში ტერაქტების განხორციელებასთან დაკავშირებული ანონიმური სატელეფონო მუქარა“.

პოლიცია ასევე ვარაუდობს, რომ დაპატიმრებული პირი შეიძლება ფსიქიკურად არანორმალური იყოს.

## ყოფილმა მინისტრმა აღიარა, რომ მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში

**აზერბაიჯანის ყოფილმა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ალი ინსანოვმა საჯაროდ აღიარა, რომ მონაწილეობდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში. ეს მან გააკეთა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევისადმი მიმართვაში, რომელიც გადაიცა ქვეყნის სახელმწიფო ტელევიზიით.**

გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების სამინისტროების მიერ გაკეთებულ ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმულია: ინსანოვმა აღიარა და მოინანია თავისი მოქმედებების გამო, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ანტიკონსტიტუციურ ქმედებას, რასულ გულიევის საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას, მის სამშობლოში დაბრუნებას, აგრეთვე, გულიევისთვის ფინანსური მხარდაჭერის გაწევას სხვა საკითხებში.

ინსანოვმა დაადასტურა, რომ სხვადასხვა დროს ხვდებოდა ყოფილ ფინანსთა მინისტრს ფიქრეთ იუსიფოვს. ამასთან, ინსანოვის თქმით, ამ შეხვედრებს ესწრებოდა ყოფილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის საქმეთა მმართველი აქიფ მურადვერდიევიც.

ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ ყოფილი მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ელდარ სალაევი დააპატიმრეს ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულებაში მონაწილეობით ეჭვით. ეს აღნიშნულია აზერბაიჯანის გენერალური პროკურატურის, შინაგან საქმეთა და ეროვნული უშიშროების სამინისტროების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„თავის ჩვენებებში, იუსიფოვმა აღიარა, რომ ყოფილ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ელდარ სალაევს გადასცა 305 ათასი დოლარი, რომელიც მან მიიღო სხვადასხვა პირებისგან, მათ შორის, ყოფილი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ალი ინსანოვის და „აზერქიმიის“ სახელმწიფო კომპანიის მეთაურის „ფიქრეთ სადიხოვისგან“, — აღნიშნულია ინფორმაციაში.

დოკუმენტის თანახმად, იუსიფოვმა განაცხადა, რომ სალაევი მონაწილეობდა ზემოაღნიშნული პირების შეხვედრაში, რომლებიც გეგმავდნენ ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას და აზერბაიჯანის ექს-სპიკერის, დემოკრატიული პარტიის ლიდერის რასულ გულიევის სამშობლოში დაბრუნებას.



სულ ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმის მიხედვით, პასუხისგებას გადაეცა და დაპატიმრებულია 12 კაცი: ყოფილი ეკონომიკური განვითარების მინისტრი ფარჰად ალიევი, ყოფილი ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ალი ინსანოვი, ყოფილი ფინანსთა მინისტრი ფიქრეთ იუსიფოვი, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი საქმეთა მმართველი აქიფ მურადვერდიევი, სახელმწიფო კომპანიის „აზერქიმიის“ ხელმძღვანელი ფიქრეთ სადიხოვი და სხვები.

## ამერიკაში დაიწყო საწვრთნელი ბირთვული ომი



**ამერიკელი ჟურნალისტი უილიამ არკინი, სამხედრო თემატიკისადმი მიძღვნილი 10-ზე მეტი წიგნის ავტორი, „ენ-ბი-სი“ ტელეარხის სამხედრო ექსპერტი და მრავალი ორგანიზაციის მრჩეველი, გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ წერდა, რომ 1 ნოემბერს ამერიკელმა სამხედროებმა დაიწყეს მიმდინარე წელს უდიდესი „სათამაშო“ სამხედრო წვრთნა.**

ამ სამხედრო თამაშის სცენარის მიხედვით, რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის წარმოიქმნება კრიზისი, რასაც მოჰყვება შეერთებული შტატების ტერიტორიისთვის ბირთვული დარტყმის მიყენება.

ამ წვრთნის ფარგლებში, ქვეყანა, რომლის კოდური სახელწოდებაა „სლომონია“, კარგავს მოკავშირეს — „იუბლეინს“. ყოველივე ამის შედეგად „სლომონია“ იწყებს უფრო აგრესიული საგარეო პოლიტიკის განხორციელებას, რაც საბოლოო ანგარიშით გადაიზრდება „მინი ცივ ომში“.

„სლომონიად“ იგულისხმება რუსეთი, „იუბლეინად“ კი — უკრაინა.

სცენარის მიხედვით, უკრაინის, როგორც მოკავშირის დაკარგვის შემდეგ, საკმაოდ რთულდება რუსების ურთიერთობა დასავლეთთან. თავისი საზღვრების მახლობლად ნატოს ჯარების ყოფნის განმტკიცების პასუხად, რუსეთი სტრატეგიულ ბომბდამშენებს განალაგებს შორეულ აღმოსავლეთსა და არქტიკაში. რუსეთი ასევე იწყებს ჩრდილოეთ კორეის აქტიურ მხარდაჭერას.

სცენარის მიხედვით, რუსეთი და ჩრდილოეთ კორეა ბომბდამშენებისა და რაკეტების მეშვეობით ამზადებენ ბირთვულ დარტყმას შეერთებულ შტატებზე.

სამხედრო სტრატეგები ნაკლებად სარწმუნოდ და არარეალურად მიიჩნევენ იმას, რომ რუსეთის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანონ ალასკაზე, მაგრამ სამხედრო თამაშის ფარგლებში ეს აუცილებელია, რათა NORAD ძალებმა მიიღონ წარმატებული საჰაერო ბრძოლის პრაქტიკა.

მაგრამ არკინის აზრით, იმის მიუხედავადაც კი, რომ ეს მხოლოდ სამხედრო თამაშია, არ შეიძლება გამოირიცხოს რუსეთთან ცივი ომის გაჩაღების შესაძლებლობა.

წვრთნის გეგმის თანახმად, რუსეთი, რა თქმა უნდა, დამარცხდება ამ კონფლიქტში. სავარაუდოდ, 10 ნოემბრისთვის მოსკოვი უკვე დაზავებას მოითხოვს.

## მოკლედ

**უკრაინის** მთავრობის მეთაურმა იური ეხანუროვმა, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ იმყოფებოდა ბელორუსიაში, განაცხადა, რომ ლუკაშენკო კარგი პროპაგანდისტია. „ისიც კი მივხვდი, თუ რატომ გაიძახოდნენ 30-იანი წლების გერმანელი ქალები, რომ ფიურერისგან სურდათ ბავშვის გაჩენა“, — თქვა ეხანუროვმა. უკრაინის პრემიერმა ასევე განაცხადა, რომ ბელორუსიაში აუცილებლად სამართლიანად უნდა გაიმართოს მომავალი პრეზიდენტის არჩევნები.

* * *

**ირანის** პრეზიდენტმა გასცა ლიბერალურ ელჩებს შორის უპრეცედენტო „წმენდის“ განხორციელების განკარგულება. გამოიხმობენ სულ ცოტა 20 ელჩს. ეს დიპლომატები დანიშნეს დასავლეთთან ურთიერთობის დათბობის პერიოდში. საქმე ეხება ირანის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს



ლონდონში, პარიზში, ბერლინში, ჟენევაში, კუალა-ლუმპურში, აგრეთვე, სავარაუდოდ — ჯაკარტაში, ასტანასა და მთელი რიგი არაბული ქვეყნების დედაქალაქებში მომუშავე ელჩებს.

* * *

**გაეროს** გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაამტკიცა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის ყოველწლიური თარიღი. რეზოლუცია



მოუწოდებს გაეროს მონაწილე სახელმწიფოებს თავ-თავიანთ მოქალაქეებს მიაწოდონ სრული ინფორმაცია მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი ამ დანაშაულის შესახებ. არჩეულია თარიღი — 27 იანვარი — ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის გათავისუფლების დღე.

* * *

**უწესრიგობები** პარიზის გარეუბნებში მეექვსე დღეა გრძელდება. ძირითადად არაბული წარმოშობის ახალგაზრდების პატარ-პატარა მობილური ჯგუფები ცეცხლს უკიდებდნენ ავტომანქანებს, არბევდნენ მაღაზიებს, მართავდნენ შეტაკებებს პოლიციელებთან. მარტო ერთი დღის განმავლობაში დაპატიმრებულია 34 კაცი.



* * *

**ირანის** დედაქალაქში მოხდა აფეთქება „ბრიტიშ ეარვეისის“ და „ბრიტიშ პეტროლეუმის“ კომპანიების ოფისების მახლობლად. აფეთქების შედეგად, რომელიც მოხდა მესამე სართულის კიბის უჯრედზე, დაზიანდა კარი, რომლითაც თავ-თავიანთ ოფისებში შედიოდნენ კომპანიის თანამშრომლები. ბრიტანეთის კომპანიებში მომუშავე არც ერთი ადამიანი არ დაშავებულა.

* * *

**ისრაელის** პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა გადადგა ისტორიული ნაბიჯი, როცა ევროპას სთხოვა დახმარება. ეს ნიშნავს, რომ ისრაელი შემობრუნდა ევროკავშირისკენ, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში თელავივი ეჭვის თვალით უყურებდა და უნდობლობით ეკიდებოდა პალესტინელთა მიმართ ევროკავშირის აშკარა სიმპათიების გამო.

* * *

**თურქეთში** აფეთქდა ავტომობილი — დაიჭრა 10 კაცი. ავტომანქანა გაჩერებული იყო ჰაქიარის პროვინციის ჟანდარმერიის ჯარების სარდლობის შენობის მახლობლად და აფეთქდა მაშინ, როცა მას გვერდით შემთხვევითმა გამვლელებმა ჩაუარეს. დაჭრილთა შორის 3 სამხედრო მოსამსახურე, 2 პოლიციელი და 5 სამოქალაქო პირია.



ვერნისაჟი

# მე ასე ვხატავ...

**მხატვრის პალიტრა მისივე ცხოვრების ლაბირინთებს პასუხობს, ხელოვანის სათქმელის გადმოცემის ფორმა მელანქოლიურ „ჩანახატებს“ მოითხოვს... ეკა არსენიძის ფერწერულ შემოქმედებას „ქარვასლას“ საგამოფენო სივრცე მასპინძლობს... ამ მყუდრო ინტერიერში ექსპონირებული ნიმუშები ყველას თავისებურად შეუძლია გაიგოს და კიდეც გაიაზროს: — ტილოებზე მარტოსულთა ელვარე სახეებში ის ბრწყინვალე ციმციმი შეიცნოს, რომელიც რომანტიკოს მხატვარს გადასდის ხოლმე უბრალო გაღიმების დროს; მათ გამომეტყველებაში ჯიუტი დუმილი თუნდაც გამჭოლი მზერა იდუმალებათა ასპექტში განიხილოს და ექსპანსიურ ვნებაში ჩაქსოვილი მამაკაცური ძლიერება ამოიკითხოს; შიშველი ტორსის გრაფიკულ გადაწყვეტაში ქალის სილუეტის მშვენიერება შეიცნოს და ამ მაცდუნებელ პერსონაჟებს სუნთქვისა და მოძრაობის უნარი მიანიჭოს...**

**„ადამ და ევას“** სერიული ლაიტმოტივი ეს არის იდეური არსი რომანტიკულად მოაზროვნე მხატვრის, გრაფიკა ფერში კი ჰარმონიული კომბინაციაა ამ ვარიაციული თემისა...

აქ დაფიქრებული ქალის შთაბეჭდილებები ექსპრესიულად გადმოცემულია კომპოზიციაში **„არჩევანი“,** თბილ ტონებშია გაზავებული **„სიმშვიდე“,** აუტანელი სიჩუმე **„შეჩვეული მარტოობის“** ფრაგმენტებშია მოქცეული, ნოსტალგიურია **„ერთი ქალის ცხოვრება“,** მხატვრისეული არაორდინარული ლექსიკაა **„მშვიდი ძილი“, „მე“, „ქორწილი“**... ეს არის ტილოები, რომელთაც აკრილის მოკრძალებული სინთეზით ესთეტიკური ფერისცვალება მიუღია და მელანქოლია მოსძალებიათ...

— სევდანარევი მოტივი ჩემს ნამუშევრებში, ალბათ, იმიტომ ჩანს, რომ ეს შტრიხები თან სდევს ჩემსავე ცხოვრებას. რაც მთავარია, ნახატები არის ძალიან გულწრფელად შესრულებული... მე ასე ვსაუბრობ — ღიად, გახსნილად, ემოციურად და ხანაც, მშვიდად... ტილოზე ჯერ ლაქები ჩნდება, შემდეგ კი კარგად გააზრებული კომპოზიციური მონახაზი, რომელიც თავისთავად მკარნახობს განვითარებას..., — ამბობს მხატვარი **ეკა არსენიძე.**

... ფერწერის შექმნამდე ის ბევრს ფიქრობს, შემდეგ კი განდეგილობას მიეცემა და მოცულობით ფორმატზე ჩვეული ახალგაზრდული ტემპერამენტით მუშაობს. ნახატებს მისსავე რომანტიკულ განწყობას ანდობს, თავის სათქმელს ორიგინალურ ფორმატში აქსოვს და მის ვარიაციულ ინტერპრეტაციას მთელი სერიის ლაბირინთებში გვთავაზობს. ეკას თამამი ფერწერა ან კიდევ გრაფიკა ფერში ესთეტიკურად გააზრებული ყოველდღიურობის რიტმია, სადაც თითქოს ყველაფერი სპონტანურია, მხატვრული პერსპექტივები კი ასიმეტრიულია.

ისტორიის მუზეუმის თანამედროვე ხელოვნების საგამოფენო სივრცეში ეკა არსენიძის პერსონალური ექსპოზიცია კვლავაც დამთვალიერებლის მოლოდინშია...

**მზეხა მახარაძე**

**სურათებზე:** ეკა არსენიძის ნამუშევრები „ნეგატივი“, „ადამი და ევა“ და „მე“.







ისმინე, სწავლის მძებნელო!..

# საგამოცდო პროგრამა საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში

## ერთიან ეროვნულ გამოცდაზე საქართველოს ისტორიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებებში აბიტურიენტს მოეთხოვება

**ფაქტობრივი მასალის ცოდნა;**

**ისტორიული და გეოგრაფიული ცნებების, ტერმინების ადეკვატური გამოყენება;**

**ისტორიული და გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების დამახასიათებელი, არსებითი ნიშნების გამოვლენა;**

**ისტორიული და გეოგრაფიული მოვლენებისა და პროცესების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა;**

**ისტორიულ მოვლენათა/ისტორიულ წყაროთა შორის მსგავსებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი/კრიტიკული ანალიზი;**

**ისტორიული და გეოგრაფიული რუკების კითხვა და მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია;**

**გრაფიკების, ცხრილებისა და დიაგრამების გამოყენებით ინფორმაციის შეჯერება/ანალიზი და მათი მარტივი ანალოგების შექმნა;**

**ისტორიული და გეოგრაფიული მოვლენების ანალიზი, მათი შეფასება; საკუთარი დამოკიდებულების არგუმენტირების უნარი (აზრის ლოგიკურად, დამაჯერებლად და თანმიმდევრულად ჩამოყალიბების უნარი);**

ისტორიული წელთაღრიცხვის სისტემები (დასაბამიდან, ქორონიკონი, ძველი წელთაღრიცხვა — ქრისტეს შობამდე, ახალი წელთაღრიცხვა — ქრისტეს შობიდან).

საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა.

საქართველო უძველესი დროიდან ელინისტურ ხანამდე (ქვისა და ბრინჯაოს ხანა; დიაოხი და კოლხა).

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთის სამეფო. ქართლის სამეფოს ჩამოყალიბება (ფარნავაზის ბრძოლა აზოსთან, ადმინისტრაციული რეფორმა და ქართული დამწერლობის შექმნის საკითხი). ქართლის სამეფო ძვ. წ.აღ-ის I — ახ. წ. აღ-ის II საუკუნეებში (პომპეუსის ლაშქრობა, ფარსმან II ქველი). ქართული წარმართული პანთეონი (არმაზი, გაცი, გაიმ). სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა (მეურნეობის ტრადიციული დარგები, საქალაქო ცხოვრება).

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში (მოციქულებისა და წმიდა ნინოს მოღვაწეობა). საქართველო V საუკუნის II ნახევარში (ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა, ბრძოლა ირანელთა წინააღმდეგ).

საქართველო VI საუკუნეში („დიდი ომიანობა"; მეფობის გაუქმება და ერისმთავრობის დაწესება ქართლში).

საქართველო VII-VIII საუკუნეებში (ჰერაკლე კეისრისა და ხაზართა ლაშქრობა ქართლში, არაბთა გამოჩენა და „დაცვის სიგელის" დადება, მურვან-ყრუს ლაშქრობა).

სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება IX საუკუნეში (აფხაზთა, ტაო-კლარჯეთის, კახეთის, ჰერეთის, თბილისის საამირო, ბუღა თურქის ლაშქრობა).

საქართველო X-XI საუკუნეებში (დავით კურაპალატისა და ბაგრატ III-ის ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის, ურთიერთობა ბიზანტიასთან; გიორგი I-ის ურთიერთობა ბიზანტიასთან; ბაგრატ IV-ის ბრძოლა ლიპარიტ ბაღვაშთან, ურთიერთობა ბიზანტიასა და თურქ-სელჩუკებთან; გიორგი II-ის ურთიერთობა თურქ-სელჩუკებთან).

ქართული კულტურა IV-XI საუკუნეებში: ქართული დამწერლობის სახეები; ლიტერატურა (იაკობ ცურტაველი, იოანე საბანის ძე, გიორგი მერჩულე); საისტორიო მწერლობა („მოქცევაი ქართლისაი", ლეონტი მროველი, ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე, „მატიანე ქართლისაი"); მეცნიერება და განათლება (ათონის ქართველთა მონასტერი, პეტრიწონის მონასტერი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი, პეტრე იბერი, გიორგი მთაწმინდელი); ხუროთმოძღვრება (ბოლნისის სიონი, თბილისის ანჩისხატი, მცხეთის ჯვარი, უჯარმა, ციხე-გოჯი, ბანა, იშხანი, გურჯაანის ყველაწმინდა, ბედია, ბაგრატის ტაძარი, ალავერდი, სვეტიცხოველი, სამთავისი, ნიკორწმინდა); ოქრომჭედლობა (ბედიის ბარძიმი).

სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა IV-XI საუკუნეებში (მეურნეობის ტრადიციული დარგები, საქალაქო ცხოვრება, სოციალური ურთიერთობები, მოსახლეობის სოციალური კატეგორიები).

საქართველო XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში: დავით IV აღმაშენებელი (რეფორმები, ბრძოლა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ, ქვეყნის ერთიანობის აღდგენა), დემეტრე I და გიორგი III (შეთქმულებები დემეტრე I-ის წინააღმდეგ, განძაზე ლაშქრობა, ბრძოლა ჩრდილოეთ სომხეთის დასაკავებლად, დემნა უფლისწულისა და ორბელთა აჯანყება), თამარ მეფე (ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა, შამქორისა და ბასიანის ბრძოლები, ტრაპიზონის იმპერიის შექმნა); სახელმწიფო წყობილება (დარბაზი, სავაზირო, ერისთავები). ქართული კულტურა XII საუკუნესა და XIII საუკუნის დასაწყისში: ლიტერატურა (მოსე ხონელი, შოთა რუსთაველი), საისტორიო მწერლობა (დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, თამარ მეფის ისტორიკოსები), მეცნიერება და განათლება (გელათის აკადემია, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი), ხუროთმოძღვრება (გელათი, იკორთა, ბეთანია, ვარძია, ვაჰანის ქვაბები), ოქრომჭედლობა (ბექა და ბეშქენ ოპიზრები, ხახულის ხატი). სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა (მეურნეობის ტრადიციული დარგები, საქალაქო ცხოვრება, სოციალური ურთიერთობები, მოსახლეობის სოციალური კატეგორიები).

საქართველო XIII-XV საუკუნეებში: გიორგი IV-ის ბრძოლა მონღოლთა წინააღმდეგ; ჯალალ ად-დინის შემოსევები; მონღოლთა მიერ საქართველოს დაპყრობა; შეთქმულება კოხტას თავს; დავით VI ნარინისა და დავით VII ულუს დაპირისპირება; დავით VII ულუს ურთიერთობა მონღოლებთან. დემეტრე II თავდადებულის ურთიერთობა მონღოლებთან. გიორგი V ბრწყინვალე (საქართველოს ერთიანობის აღდგენა, კანონმდებლობა, ურთიერთობა მონღოლებთან, საფრანგეთთან, რომის პაპთან). ბაგრატ V-ისა და გიორგი VII-ის ბრძოლა თემურ-ლენგის წინააღმდეგ. ალექსანდრე I (ბრძოლა საქართველოს ერთიანობის შენარჩუნებისათვის, ქართველთა მონაწილეობა ფერარა-ფლორენციის კრებაზე). ერთიანი სამეფოს დაშლა და კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოებისა და სამცხის სამთავროს შექმნა. კულტურა: საისტორიო მწერლობა (ჟამთააღმწერელი, ავგაროზ ბანდაისძე), საკანონმდებლო ძეგლები („ხელმწიფის კარის გარიგება", „ძეგლის დადება"), ხუროთმოძღვრება (საფარა, ზარზმა, ჭულე, გერგეტის სამება), ოქრომჭედლობა (ანჩისხატის კარედი). სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა (მეურნეობის ტრადიციული დარგები, საქალაქო ცხოვრება, სოციალური ურთიერთობები, მოსახლეობის სოციალური კატეგორიები).



საქართველო XVI-XVIII საუკუნეებში: ლუარსაბ I-ისა და სვიმონ I-ის ბრძოლა ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ; კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ურთიერთობა რუსეთთან და ირანთან; იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ; ტაშისკარის ბრძოლა, შაჰ-აბასის ლაშქრობები, მარტყოფის, მარაბდისა და ბაზალეთის ბრძოლები; თეიმურაზ I და როსტომ ხანი; ნიკიფორე ირბახის ელჩობა ევროპაში; ბახტრიონის აჯანყება; ვახტანგ VI (კანონმდებლობა, კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ურთიერთობა ირანთან და რუსეთთან); სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში; ქართლ-კახეთის სამეფო თეიმურაზ II-ის, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დროს (ყირბულახის ბრძოლა, ურთიერთობა მეზობელ სახანოებთან, მჭადიჯვრისა და ყვარლის ბრძოლები, თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში, შეთქმულება ერეკლე II-ის წინააღმდეგ, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და ქართლ-კახეთი, ასპინძის ბრძოლა, „მორიგე ჯარი", გეორგიევსკის ტრაქტატი, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა, რუსეთის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება); დასავლეთ საქართველო სოლომონ I-ისა და სოლომონ II-ის დროს (ხრესილის ბრძოლა, 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომი და დასავლეთ საქართველო, აჯანყება სოლომონ I-ის წინააღმდეგ, რუხის ბრძოლა, რუსეთის მიერ დასავლეთ საქართველოს დაკავება); კულტურა: ლიტერატურა (თეიმურაზ I, მეფე არჩილი, სულხან-საბა ორბელიანი, დავით გურამიშვილი, ბესიკი), საისტორიო მწერლობა (ფარსადან გორგიჯანიძე, „სწავლულ კაცთა კომისია", ვახუშტი ბატონიშვილი), მეცნიერება და განათლება (თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიები, ანტონ I), ხუროთმოძღვრება (ახალი შუამთა, გრემი, ანანური). სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა (მეურნეობის ტრადიციული დარგები, საქალაქო ცხოვრება, სოციალური ურთიერთობები, მოსახლეობის სოციალური კატეგორიები).

საქართველო XIX-XX საუკუნეებში. საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში (რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, 1804, 1812, 1819-1820 წლების აჯანყებები; 1832 წლის შეთქმულება; 1806-1812, 1828-1829, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომები და საქართველო; გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროების გაუქმება; ბატონყმობის გაუქმება და 60-70-იანი წლების რეფორმები; თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი და კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა; პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება; პირველი მსოფლიო ომი და საქართველო); საქართველო 1917-1921 წლებში (საქართველო ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის — „ოზაკომის", ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის პერიოდში; საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება 1918 წლის 26 მაისს; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობა; საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია; ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის; ურთიერთობა გერმანიასთან, რუსეთთან, ინგლისთან, „ერთა ლიგასთან"); საქართველო სსრკ-ის შემადგენლობაში (საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა 1922-1924 წლებში და 1924 წლის აჯანყება; ქართველების მონაწილეობა მეორე მსოფლიო ომში; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XX საუკუნის 70-80-იან წლებში და სსრკ-ის დაშლა); საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში (1990 წლის საპარლამენტო არჩევნები; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს; თანამედროვე საქართველოს კონსტიტუცია; ურთიერთობა დასავლეთ ევროპასთან, აშშ-სთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება (პარლამენტი, პრეზიდენტი, მთავრობა); საქართველოს სასამართლო ორგანოები; სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები); კულტურა: ლიტერატურა (ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, გალაკტიონ ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია), მეცნიერება და განათლება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თეიმურაზ ბაგრატიონი, მარი ბროსე, ნიკო მარი, ივანე ჯავახიშვილი, ივანე თარხნიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი), თეატრი, კინო, მხატვრობა, ქანდაკება, მუსიკა (ქართული თეატრის დაარსება 1850 წელს, დრამატული საზოგადოების შექმნა და ქართული თეატრი XIX საუკუნის 80-90-იან წლებში; პირველი ქართული დოკუმენტური და მხატვრული ფილმები; ნიკო ფიროსმანი, გიგო გაბაშვილი, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, იაკობ ნიკოლაძე; ზაქარია ფალიაშვილი, ვიქტორ დოლიძე, დიმიტრი არაყიშვილი).

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ინფორმაცია

### რუსეთის ენერგოინტერესები საქართველოში

სს „რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემები" (რაოეესი) აჭარისა და კახეთის ენერგოგამანაწილებელი კომპანიების შესყიდვით არის დაინტერესებული. ამის შესახებ „რაოეესის" — ხელმძღვანელმა ანატოლი ჩუბაისმა თბილისში ვიზიტისას გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

რაოეესი ამ ეტაპზე თბილისის სადისტრიბუციო კომპანიას „თელასს" ფლობს. ჩუბაისის მიერ გაკეთებულ განცხადებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძეც ადასტურებს. არ არის გამორიცხული, რომ აჭარისა და კახეთის ენერგოგამანაწილებელი კომპანიების გაყიდვის საკითხი დღის წესრიგში მართლაც დადგეს.

„ამ ობიექტებს ალბათ კონკურსის წესით გავასხვისებთ. კონტრაქტში მნიშვნელოვანი იქნება ფინანსურ პირობები. თუ „რაოეესი" იყიდის გამანაწილებელ კომპანიებს, მაშინ არ უნდა გაიზარდოს ელექტროენერგიის განაწილების ტარიფი", — განუცხადა „მედიანიუსს" ირაკლი ჩოგოვაძემ.

მისივე თქმით, ეკონომიკის სამინისტროში ამ საკითხებში კონსულტანტის დაქირავებას გეგმავს. თუმცა ვინ გაუწევს სამინისტროს კონსულტაციებს, ჯერჯერობით არ სახელდება.

### სილამაზეს კონტროლი სჭირდება

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა დედაქალაქში იმ სილამაზის სალონების აღწერა დაიწყო, რომლებშიც მანიკიური, პედიკიური და ტატუირება კეთდება.

„არასტერილიზებული აპარატურით აღნიშნული პროცედურების ჩატარება შესაძლოა სავალალო შედეგით დასრულდეს. ინფიცირებული ინსტრუმენტები A, B, C ჰეპატიტისა და შიდსის ვირუსის გავრცელების დიდ საშიშროებას ქმნის. ამიტომ პირველ ეტაპზე იმ სალონებს შევამოწმებთ, სადაც პედიკიური, მანიკიური და ტატუირება კეთდება", — განაცხადა ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან ედილაშვილმა.

ზედამხედველობის სამსახური თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით ნოემბრის შუა რიცხვებში მას შემდეგ მიმართავს, რაც შესამოწმებელი სალონების ჩამონათვალს შეადგენს.

„ყველა სალონში, სადაც ტატუირება და მანიკიურ-პედიკიური კეთდება, სტერილიზაციის აპარატი უნდა მუშაობდეს. თუკი 10 დღის ვადაში ჩვენ მიერ შემოწმებულ სალონში აპარატურა და ინვენტარი არ შეიცვლება, ზედამხედველობის სამსახური მათ ექსპლუატაციას შეუჩერებს", — განაცხადა ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა ლაშა მაქაცარიამ.

### ძაღლებს მიხედეთ, ძაღლებს!

ცოფით დაავადებული 7 წლის ბიჭუნა წუხელ თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. 2005 წელს ეს საქართველოში ადამიანის ცოფით გარდაცვალების მეათე შემთხვევაა.

რუსთავში მცხოვრებ ბიჭუნას ცოფის ნიშნები რამდენიმე დღის წინათ გამოუვლინდა. ექიმები და მშობლები ცხოველის მიერ ბავშვის დაკბენის ან დაკაწვრის ფაქტს გამორიცხავენ, თუმცა გავრცელებული ინფორმაციით, ბიჭუნას ცხოველებთან ხშირი კონტაქტი ჰქონდა.

შარშან ცოფით სულ 11 ადამიანი დაიღუპა.

### ელექტროენერგიის იმპორტი აღდგა

1 ნოემბერს დილით საქართველო-სომხეთის დამაკავშირებელი „ალავერდის" მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზი ჩაირთო.

სს „საქართველოს ელექტროსისტემაში" განაცხადეს, რომ სომხეთიდან აღდგა ელექტროენერგიის იმპორტი და საქართველო 90 მეგავატს იღებს. როგორც „მედიანიუსს" „თელასში" განუცხადეს, ამ დროისათვის სისტემაში დეფიციტი არ არსებობს და დედაქალაქი სრულად არის დატვირთული.

ამჟამად 200 მეგავატი ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება აგრეთვე რუსეთიდან.

მედიანიუსი

გვირეკავენ, გვეკითხებიან

**— ვარ ავღანეთის ომის მონაწილე, მხედველობადაქვეითებული (პირველი ჯგუფის ინვალიდი), 72 წელს გადაცილებული პენსიონერი.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, მეკუთვნის თუ არა მეტროპოლიტენით მგზავრობა უფასოდ?**

**ვახტანგ შეშელიძე**

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით მეტროპოლიტენით უფასოდ მგზავრობის უფლებას ვერ იპოვებთ.

— „ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების ინვალიდები გათავისუფლებულნი არიან ყველა სახის სახელმწიფო დაბეგვრისგან.

* * *

**— ვარ სამამულო ომის მონაწილეებთან გათანაბრებული. 1943 წლიდან მუშაობა დავიწყე საავიაციო ქარხანაში, როგორც კარგი მომუშავე, დამაჯილდოვეს მედლით 1941-1945 წლებში ზურგში თავდადებული შრომისათვის. ვინაიდან მქონდა ჯავშანი, ომში არ წამიყვანეს, მაგრამ 1948 წელს გამიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში, სადაც ვიმსახურე 3 წელი და 9 თვე. ვიღებ პენსიას თვეში 35 ლარის ოდენობით, რითაც უკმაყოფილო ვარ და მიმაჩნია, რომ უნდა ვიღებდე 45 ლარს.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, შეიძლება თუ არა ზემოაღნიშნული პირობებით ჩავითვალო II მსოფლიო ომის მონაწილედ და მივიღო თვეში 45 ლარი?**

**კახაბერ ენუქიძე**

— შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, II მსოფლიო ომის მონაწილედ ვერ ჩაითვლებით და პენსია თვეში 45 ლარი არ გეკუთვნით, ვინაიდან ომის მონაწილედ ის პირები ითვლებიან, რომლებიც სამამულო ომის დროს იყვნენ ფრონტზე და იბრძოდნენ მოქმედ არმიაში.

პენსია თვეში 35 ლარის ოდენობით კანონის შესაბამისად სწორად გაქვთ დანიშნული და თუ შემდგომში კანონში არ შევა ცვლილებები მისი გადიდებისათვის, სამწუხაროდ, არ არსებობს საფუძველი.

**ირინე ღლონტი.**

პრიხვატიზაცია

# ახლა წინანდლის ჯერია?!

## ალექსანდრე ჭავჭავაძისეული მამული 9 ნოემბერს კონკურსით გაიყიდება

**ჯერ თვალებს არ დავუჯერე, მაგრამ ტელეეკრანზე ნაცნობ სახეებს რომ მოვკარი თვალი, დავრწმუნდი, რომ საქმე მოჩვენებასთან კი არა, რეალობასთან მქონდა: კახეთის თვალმარგალიტი წინანდალი ტიროდა და ეკრანსაც თითქოს ცრემლები ჩამოსდიოდა. ალექსანდრე ჭავჭავაძისეულ მამულში შეკრებილი აქაური ქალები თვალებს იმშრალებდნენ, მამაკაცები კი გულზე მჯიღს იცემდნენ და იფიცებოდნენ — აქედან ფეხს არ მოვიცვლით, სახელოვანი წინაპრების დანატოვარ განძს გასაყიდად თუ გასაიჯარებლად ვერ გავიმეტებთო.**

რა მოხდა, მუდამ გულდინჯი და ჭკუადამჯდარი კახელები რამ აალელვა? თურმე დღევანდელი ხელისუფლების საპრივატიზებო პოლიტიკამ, რომლის არსი ბატონმა კახა ბენდუქიძემ ხელისუფლებაში მისვლისთანავე ორი სიტყვით გამოხატა: „რაც გასაყიდია, ყველაფერი უნდა გავყიდოთ, გარდა სინდისისა". სინდისზე რა მოგახსენოთ, მაგრამ გასაყიდი მონსტრების (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, „ჭიათურმანგანუმი", „მადნეული") ნომენკლატურა რომ ამოიწურა, როგორც ჩანს, წინანდალში ალექსანდრე ჭავჭავაძისეული მამულის ჯერიც დადგა.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომაც არ დააყოვნა და თელავის რაიონის სოფელ წინანდალში მდებარე სახელმწიფო ქონების 49 წლის იჯარით გაცემის თაობაზე კონკურსი წლეულს 8 ოქტომბერს გამოაცხადა. როგორც პრესაში ოფიციალურად გაცხადდა, „იჯარით გასაცემი შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი 22 485 კვ.მეტრი, ხოლო მასზე დამაგრებული მიწა 178 963 კვ.მეტრია, მათ შორის ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი, სასტუმრო, სასადილო, ადმინისტრაციული შენობა, ღვინის ქარხანა. წლიური საიჯარო ქირის საწყისი ფასი 70 000 დოლარით განისაზღვრა".

ამან არა მარტო წინანდალსა და კახეთში, მთელ საქართველოში დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რამაც, ბუნებრივია, პრესის ყურადღება მიიქცია. მათ შორის ჩვენი გაზეთისაც, რომელმაც 15 ოქტომბრის ნომერში ჟურნალისტ სპატაკ ქობულიას ხელისუფლებისადმი სარკაზმით სავსე მასალა („მდიდარნი ბევრნი ყოფილან, ოხრად რჩენიათ ქონება") გამოაქვეყნა.

პრივატიზების სისწორის თაობაზე ეჭვი, როგორც ჩანს, დეპუტატებსაც გაუჩნდათ, რომელთაც მოითხოვეს, ეკონომიკის მინისტრი ირაკლი ჩოგოვაძე პარლამენტში გამოცხადდეს და პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვას, რომელიც დეპუტატებმა ალექსანდრე ჭავჭავაძის პრივატიზაციასთან დაკავშირებით დასვესო.

მაშინ პარლამენტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ მხარი დაუჭირა დეპუტატების სამართლიან მოთხოვნას და დაბეჯითებით განაცხადა, თუ ამ საკითხს ნათელი არ მოეფინება, შეიძლება წინანდალს ვილაც გადაჰყვესო.

ვერ გეტყვით, ბატონ ირაკლი ჩოგოვაძეს რა კითხვები დაუსვეს პარლამენტში ან რა პასუხები მოისმინეს დეპუტატებმა (ამის შესახებ პრესაში ინფორმაცია არ გაჟღერებულა), მაგრამ წინანდალს რომ ჯერჯერობით არავინ გადაჰყოლია, ეს ნაღდად უტყუარია. და ისიც, რომ ორშაბათს სახელმწიფო კანცელარიაში, მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ, ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა: „წინანდლის რეზიდენციის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით გამოცხადებული ტენდერით ჯერ არავინ დაინტერესებულა და ოფიციალური განცხადება სამინისტროში არავის შეუტანია. განცხადებების მიღება 8 ნოემბერს დასრულდება, კონკურსი კი 9 ნოემბერს გაიმართება".

მინისტრმა ისიც დაამატა, რომ „რეზიდენციის კერძო მენეჯმენტში გადაცემა ნორმალური პროცესია, ვინაიდან კერძო მენეჯმენტი ყოველთვის სჯობს სახელმწიფო მენეჯმენტსო".

კერძო მენეჯმენტი სჯობს თუ სახელმწიფო მენეჯმენტი, ამაზე დავა შეიძლება არც ღირდეს, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს ერთხელ უკვე „გამენეჯმენტებულმა" ალექსანდრე ჭავჭავაძისეულმა უნიკალურმა ღვინის საწარმომ მისგან რა ხეირი ნახა, ამაზე წინანდლებზე უკეთესად სხვა ვერავინ გეტყვით. ეტყობა, ამიტომაც ეწინააღმდეგებიან ასე თავგამოდებით წინანდლელები (და არა მარტო წინანდლელები) მის მეორედ „გამენეჯმენტებას".

ახლაც მახსოვს, რა ჯახაჯუხი იყო ამტყდარი ამ რამდენიმე წლის წინათ წინანდლის ღვინის ქარხანას უკანონოდ დაპატრონებულ კერძო მეწარმესა და თელავის რაიონის გამგეობას შორის, რომელსაც იმხანად ქალბატონი მედეა მეზვრიშვილი თავკაცობდა. მაშინ მან, როგორც იტყვიან, სამართლის საძიებლად რკინის ქალამნები ჩაიცვა, რკინის ჯოხი აიღო და კანონის დამრღვევთ უტეხად შეუტია. სიმართლემ გაიმარჯვა, ერის საგანძური ისევ ერს დაუბრუნდა.

არადა, ჭავჭაძისეული საწარმო თავის უძველესი ღვინის საცავებითა და მუზეუმით, სადაც ქართულთან ერთად ნაპოლეონისდროინდელი ფრანგული ღვინოების უნიკალური კოლექცია ინახება, მართლაც უძვირფასესი საუნჯეა ყოველი ქართველისთვის. და განა მარტო ღვინის საწარმო? (მაშინ მხოლოდ ის იყო „პრიხვატიზებული"), იქ ყველაფერი უნიკალური და განუმეორებელია — ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმის ექსპონატები, პარკი-წალკოტი, რომლის თითოეული ძირი ნარგავი წლიურ საიჯარო თანხას გადასწონის, რომ აღარაფერი ვთქვათ სამთავრობო რეზიდენციაზე, რომლის შესანახი თანხების უქონლობის მომიზეზებით, ხელისუფლება ზემოთ ჩამოთვლილ



ეროვნულ სიმდიდრეს შეიძლება ითქვას, გადასაგდებად იმეტებს.

თანაც თითქმის მთელი ნახევარი საუკუნით. როგორც ზემოთ ნახსენებ სტატიაში ჩვენი გაზეთი წერს, ამ 49 წელიწადში მინიმუმ ათი განსხვავებული შეხედულების თაობა მაინც მოვა საქართველოს ხელისუფლებაში, ამ ხნის განმავლობაში ცხრაჯერ მოკვდება ან ვირი ან ვირის პატრონი. ამ ფულიანი ინვესტორის შთამომავლობა კი, „იურიდიული ნორმების დაცვით", ნაწილ-ნაწილ გაყიდის ერის საერთო სიმდიდრეს — წინანდლის ღვინის ქარხანას, ბაღს, მის უძრავ-მოძრავ ქონებას და მოგებას ამ ახირებული პრივატიზების ავტორის შთამომავლებს გაუნაწილებს.

თუ ეს არა აქვს გუმანში, რატომ გაიღებს მომავალი მეპატრონე 5 მილიონ დოლარს ჭავჭავაძიანთ მამულის განახლებაში ან წლიურ საიჯარო ქირაში 70 ათას დოლარს? განა ისეთი რა ბიზნესის გაჩაღებას აპირებს მოიჯარე, რომ ეს თანხებიც დაფაროს და მოგებაც გარანტირებული ჰქონდეს?

ამას მომავალი მეპატრონისგან ვერ გავიგებთ, რადგან, როგორც ეკონომიკის მინისტრი აცხადებს, ის არენაზე ჯერ არ გამოჩენილა, მაგრამ თავად ხელისუფლება ხომ უნდა აყენებდეს პირობებს, რომლის მიხედვითაც ინვესტორმა უნდა იმუშაოს? თუ ეს არ იქნა, ხომ შეიძლება მან, ვთქვათ, ღვინის ქარხნის ადგილზე ხალიჩების საწარმო წამოიჭიმოს, უნიკალური პარკი გაკაფოს და შიგ რესტორნები, სამიკიტნოები და საუნები გახსნას? რატომ არ უნდა ხდებოდეს ამ პირობების ღიად და საჯაროდ, მთელი საზოგადოების თვალწინ განხილვა? ანდა სულაც წინანდლის საგანძურის ადგილობრივი მმართველობისთვის გადაცემა, რასაც საპროტესტო აქციებზე ხალხი ასე დაჟინებით მოითხოვს?

სხვათა შორის ასეთი ურთიერთგარიგების პირობების წინასწარ ცოდნა არც თავად ინვესტორს აწყენდა. და არც იმაზე დაფიქრება, რას მოიმოქმედებს მომდევნო ხელისუფლება, როცა ქვეყანას სათავეში ჩაუდგება! ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება ის ეროვნული სიმდიდრეების გაფრთხილებით უფრო დაინტერესდეს, ვიდრე საკუთარი ხელფასების ზრდითა და აპარტამენტების კეთილმოწყობით?

რა ვიცით, შეიძლება ფიქრობს და წინანდლის სახელმწიფო რეზიდენციითა და ჭავჭავაძისეული მამულით დღემდე ამიტომ არავინ არ დაინტერესებულა? ან იქნებ სინდისი აწუხებს, რომლის პრივატიზაცია ჯერ არ დაწყებულა?

რა ვიცით!

**ოთარ ხუციშვილი.**

**განცხადება სააქციო საზოგადოება „მასპინძელის" აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ**

**2005 წლის 25 ნოემბერს, 14 საათზე მოწვეულია აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, თარხნიშვილის ჩიხი №1**

**დღის წესრიგი:**

1. დ. აღმაშენებლის გამზ. №103-ში მდებარე სასტუმრო „ევროპაში" ს. ს. „მასპინძელის" კუთვნილი უძრავი ქონების გასხვისების შესახებ;

2. სხვადასხვა.

საერთო კრების სააღრიცხვო დღე 2005 წლის 27 ოქტომბერი. აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან შპს „ICT დელამენში" მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №153.

**შეტყობინება**

**სააქციო საზოგადოება „ელმავალმშენებლის" აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარებისათვის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2005 წლის 11 ნოემბერი.**

**კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულნი არიან:**

— ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2005 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაზე თავისი მონაწილეობის უფლება დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — „ეროვნული რეესტრი" შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №74 მე-9 სართული ტელ: 29-20-03, 29-91-30.

◉ ფეხბურთი

# „წითელი“ სამშაბათი

**ჩემპიონთა ლიგის სამშაბათის რაუნდი წითელი ბარათების სიუხვით და სეზონში „ჩელსის“ პირველი წაფორხილებით დაამახსოვრდებათ გულშემატკივრებს. ვიდრე უშუალოდ შეხვედრებზე გადავიდოდეთ, გაუწყებთ, რომ ამჯერად მინდვრიდან სტამი („მილანი“), იესტროვიჩი („ანდერლეხტი), ფაბიო ლუსიანო და მარკო აურელიო (ორივე „ფენერბახჩე“) გააძევეს.**



**„ე“ ჯგუფი**
**„ეინდჰოვენი“ — „მილანი“ 1:0.**
**გოლი: ფარფანი.**
**„შალკე“ — „ფენერბახჩე“ 2:0.**
**გოლები: კურანი, სანდი.**

დასანანია, რომ კარლო ანჩელოტის გუნდი კახი კალაძის შეცდომის შედეგად დამარცხდა. არადა, ამ ეპიზოდამდე ჩვენი თანამემამულე უჩვეულოდ აქტიურობდა და თავისი მარცხენა ფლანგიდან არაერთი სახიფათო გადაცემით მოამარაგა პარტნიორები. იტალიელთა შემტევი პოტენციალი მნიშვნელოვანწილად შევჩენკოს ტრავმამაც დააზარალა — ახალგამოჯანმრთელებული უკრაინელის ბრძოლაში ჩაბმა მისმა მწვრთნელმა 75-ე წუთამდე ვერ გარისკა. მთლიანობაში მასპინძლებმა ჩინებული შთაბეჭდილება დატოვეს და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვეს — გუუს ჰიდინკმა პირწმინდად მოუგო ტაქტიკური დუელი აპენინელ კოლეგას.

როგორც იქნა, ლევან კობიაშვილის „შალკემაც“ გაისროლა, თუმცა საამისოდ სტამბოლელთა შეუპოვარი წინააღმდეგობის დაძლევა დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ კურანიმ შვიდმატჩიან „მშრალ“ სერიას დაუსვა წერტილი და ბომბარდირობა საკუთარი კლუბის ყოფნა-არყოფნის მატჩში გაიხსენა.

**„ეინდჰოვენი“ — 7, „მილანი“, „შალკე“ — 5-5, „ფენერბახჩე“ — 4 ქულა.**

**შემდეგი ტური: „შალკე“ — „ეინდჰოვენი“, „ფენერბახჩე“ — „მილანი“.**

**„ვ“ ჯგუფი**
**„ოლიმპიაკოსი“ — „ლიონი“ 1:4.**
**გოლები: ზაბანიდია; ჟუნინიო, კარეუ (2), დიარა.**
**„რუსენბორგი“ — „რეალი“ 0:2.**
**გოლები: დორსინი (საკუთარ კარში), გუტი.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ჯგუფში ყველაფერი ვადამდე გაირკვა — ფრანგი და ესპანელი ფავორიტების ძლევა მათ მეტოქეთა შესაძლებლობებს აშკარად აღემატება. საკითხავი მხოლოდ ის დარჩა, ვინ დაამუხრუჭებს ჟერარ ულიეს უძლეველ არმადას.

**„ლიონი“ — 12, „რეალი“ — 9, „რუსენბორგი“ — 3, „ოლიმპიაკოსი“ — 0 ქულა.**

**შემდეგი ტური: „რეალი“ — „ლიონი“, „რუსენბორგი“ — „ოლიმპიაკოსი“.**

**„ზ“ ჯგუფი**
**„ბეტისი“ — „ჩელსი“ 1:0.**
**გოლი: დანი.**
**„ლივერპული“ — „ანდერლეხტი“ 3:0.**
**გოლები: მორიენტესი, ლუის გარსია, სისე.**

ზოგი ჭირი მარგებელიასი არ იყოს, სევილიელთა ლიდერის — ოლივეირას დამტვრევამ სასიკეთოდ იმოქმედა თამაშის შედეგზე — „არისტოკრატთა“ კარში გადამწყვეტი გოლი სწორედ მისმა შემცვლელმა დანიმ გაიტანა. სხვათა შორის, ესპანურ კლუბს ლაზარეთის კიდევ რამდენიმე ბინადარი აკლდა, მაგრამ ბოლომდე ვაჟკაცურად გაუძლო მოურინიოს შეგირდთა იერიშებს და ძელის დახმარებით (ესიენის დარტყმის დროს) მინიმალური უპირატესობა შეინარჩუნა.

უპრობლემოდ გაიმდიდრა მონაგარი ლიგის ამჟამინდელმა ტრიუმფატორმა, რაშიც დიდი წვლილი მისმა ესპანელმა ლეგიონერებმა შეიტანეს. ასე რომ, ერთი დასკვნის გაკეთება ამთავითვე შეიძლება — პრემიერლიგის სტარტზე დაკარგულმა ძვირფასმა ქულებმა „ლივერპულის“ თავკაცი რაფაელ ბენიტესი აიძულა აქცენტი საერთაშორისო სარბიელზე გააკეთოს და ამ მისიას ჯერჯერობით წარმატებითართმევს თავს.

**„ლივერპული“ — 10, „ჩელსი“ — 7, „ბეტისი“ — 6, „ანდერლეხტი“ — 0 ქულა.**

**შემდეგი ტური: „ლივერპული“ — „ბეტისი“, „ანდერლეხტი“ — „ჩელსი“.**

**„თ“ ჯგუფი**
**„ინტერი“ — „პორტუ“ 2:1.**
**გოლები: კრუზი (2); ალმეიდა.**
**„არტმედია“ — „რეინჯერსი“ 2:2.**
**გოლები: ბორბელი, კოზაკი; პრსო, ტომპსონი.**

**„ინტერი“ — 9, „რეინჯერსი“, „არტმედია“ — 5-5, „პორტუ“ — 3 ქულა.**

**შემდეგი ტური: „ინტერი“ — „არტმედია“, „პორტუ“ — „რეინჯერსი“.**

**გია პლატონიშვილი**



◉ ჭიდაობა



# მედლები ერევნიდან

**ერევანში დასრულდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც წარმატებით იასპარეზა საქართველოს ნაკრებმა (მწვრთნელები — მერაბ ოსიაშვილი და თამაზ ბეჟანიშვილი).** ოქროს მედლები და სოლიდური ფულადი ჯილდოები მოიპოვეს გელა საღირაშვილმა (74 კგ) და ალექსანდრე მოდებაძემ (120 კგ). ვერცხლის მედლებით დაიმშვენეს მკერდი ბესიკ გოჩაშვილმა (55 კგ), შალვა მუზიაშვილმა (66 კგ), დავით ახალმოსულიშვილმა (74 კგ) და დავით ოთიაშვილმა (96 კგ). ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ კობა კაკალაძე (60 კგ), მალხაზ ზარქუა (60 კგ), პაატა ნოზაძე (66 კგ), ნიკოლოზ ტლაშაძე (74 კგ) და არჩილ ქოტიაშვილი (84 კგ). ერევნის ხალიჩაზე იმსახურეს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრებმა — გია კოტიაშვილმა და ვაჟა გოგიაშვილმა. საგულისხმოა, რომ ფინალისაკენ მიმავალ გზაზე გელა საღირაშვილმა დაამარცხა ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული, რუსეთის ნაკრების წევრი მურთაზალიევი, დავით ახალმოსულიშვილმა კი რუსეთის ნაკრების არანაკლებ აღიარებულ ლიდერს საიტიევს სძლია.

**შალვა ჩიხლაძე**

◉ მეკლდეურობა

# „კლდის ვეფხვის“ ხსოვნას მიეძღვნა

**ბათუმმა წლეულს მეთერთმეტედ უმასპინძლა მიხეილ ხერგიანის ტრადიციულ მემორიალს მეკლდეურობაში. მონაწილეობდნენ თბილისის (ორი გუნდი), ბათუმის, ლენტეხის, მესტიის (ორი გუნდი), ქუთაისის, ყაზბეგის და გორის წარმომადგენლები, სულ — 60-მდე სპორტსმენი.**

სწრაფ ცოცვაში ქალთა შორის ნინო ჩარკვიანმა (ყაზბეგი), ხოლო ვაჟებში ავთო ქურასბედიანმა (თბილისი-1) გაიმარჯვეს. ქურასბედიანი, ასევე, პირველი იყო რთულ ცოცვაში. ქალთა პაექრობა მარინე გუჯეჯიანმა (მეტია-1) მოიგო.

დომბაის წყვილებში პირველად გათამაშდა მერაბ ხაბაზის ხსოვნის პრიზი. ყველას თბილისელებმა — გიორგი ნავერიანმა და გიორგი კომახიძემ სძლიეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: თბილისი-1, ბათუმი და მესტია-1.

**გარი ამირხანოვი**

◉ კალათბურთი

# მხოლოდ შედეგები

**გუშინ ვერის ბაღსა და რუსთავში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა XV ეროვნული ჩემპიონატის I წრის IV ტურის შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

„ავიამშენი“ — სსუ 100:57,
თსუ „ნიკორა“ — „მაქაბი“ 93:79,
სტუ — ქუთაისი 89:87,
„აზოტი“ — „დინამო“ 81:83.

7 ნოემბერს ითამაშებენ „მაქაბი“ — სტუ (12 საათზე), თსუ „ნიკორა“ — „ავიამშენი“ (14 საათზე), „დინამო“ — ქუთაისი (16 საათზე) და „აზოტი“ — სსუ (17 საათზე, რუსთავში).

◉ უკვდავება

# გაიხსენეს ავთანდილ ქორიძე



**ზესტაფონთან ახლოს 1967 წლის შემოდგომაზე საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპნენ ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები, ჩემპიონები — მსოფლიო და რომის ოლიმპიადის ჩემპიონი ავთანდილ ქორიძე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და მელბურნის თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი რომან ძნელაძე. ამ საბედისწერო თარიღიდან 38 წელმა განვლო.**

თბილისის მერიის ტურიზმისა და სპორტის საქალაქო სამსახურისა (უფროსი გიორგი უდესიანი) და დიღმის ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური მზადების ცენტრის (დირექტორი, მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონი ვეტერანთა შორის ემზარ კიკაბიძე) ერთობლივი ინიციატივით, ამას წინათ პირველად გაიმართა ავთანდილ ქორიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ოლიმპიური მზადების ცენტრის ხალიჩებზე სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 1986-88 წლებში დაბადებული — 150 მოჭიდავე გამოდიოდა.



საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმერ ადეიშვილმა გვითხრა, რომ ჩვენი სახელოვანი ფალავნების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის კალენდარში ღირსეულ ადგილს დაიკავებს და მასში სხვა ქვეყნების ნიჭიერი მოჭიდავეებიც იასპარეზებენ.

სპორტის დამსახურებული ოსტატის ავთანდილ ქორიძის ხსოვნის პრიზი ჰელსინკის XV თამაშების პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, 80 წლის დავით ციმაკურიძემ 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ თბილისელ ილია გულბათაშვილს გადასცა. რომან ძნელაძის ხსოვნის თასი 84 კილოში გამარჯვებულმა აფხაზეთის გუნდის წევრმა დავით ქარჩავამ დაიმსახურა. დანარჩენ წონებში ოქროს მედლები და დიპლომები ელჩინ ალიევს (აზერბაიჯანი), ასატურ ხაჩატურიანს (სომხეთი), კახა მექვაბიშვილს (ოზურგეთი), ზაზა შავაძეს (ბათუმი), ჯალალ ბაგადიროვს (აზერბაიჯანი) და დიმიტრი ჯავახიშვილს (თბილისი) ხვდათ.

**შალვა ქირია.**

**სურათებზე: დავით ციმაკურიძემ ასპარეზობის მთავარი პრიზით ილია გულბათაშვილი დააჯილდოვა; შეჯიბრების ერთი მომენტი.**

**რობერტ ბაგოიანის ფოტო.**

◉ სპორტულ ორბიტაზე



## ბეკენბაუერმა — კიევი „შეამოწმა“

**როგორც უკვე ვიუწყებოდით, ფეხბურთში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა, სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ფრანც ბეკენბაუერმა დაიწყო მოგზაურობა იმ ქვეყნებში, რომელთა ეროვნულმა ნაკრებებმა მოიპოვეს საგზურები ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე, რომელიც მომავალ ზაფხულში გერმანიაში უნდა გაიმართოს. მან 31 ქვეყანა უნდა მოინახულოს. ლეგენდარული გერმანელი ფეხბურთელი ამჯერად უკრაინას ეწვია, რომლის ნაკრებმაც მოიპოვა გერმანიის საგზური.**

ბეკენბაუერმა მასპინძლებს გააცნო ჩემპიონატის ორგანიზაციის ამბები, სტადიონები, სადაც მსოფლიოს საუკეთესო ნაკრებები ერთმანეთს უნდა დაუპირისპირდნენ. ამავე დროს შეკრებილთ წარუდგინა ჩემპიონატის ოფიციალური თილისმა — სიმპათიური ლომის ბოკვერი — გოლეო VI.

სტუმარმა უპასუხა ჟურნალისტთა უამრავ შეკითხვას. მან დიდი პატივისცემა გამოთქვა უკრაინის ნაკრების მიმართ და განაცხადა, რომ სულაც არ გაუკვირდება, თუკი ეს გუნდი ნახევარფინალში გააღწევს.

**სურათზე: (მარცხნიდან) უკრაინის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ოლეგ ბლოხინი და ფრანც ბეკენბაუერი 2006 წლის ჩემპიონატის თილისმით.**

## ვინ უფრო ცნობილია — პელე თუ ქრისტე?

**თუ დავუჯერებთ ედსონ არანტეს დუ ნასიმენტუს, ჩვენ უფრო პელედ რომ ვიცნობთ, მას ეჭვი არ ეპარება, რომ ის გაცილებით ცნობილია, ვიდრე ქრისტე. ყოველ შემთხვევაში როგორც იუწყებიან ბრაზილიური გაზეთები, ასე განუცხადა ლეგენდარულმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა იტალიურ საინფორმაციო სააგენტოს ანსას.**

„მე კათოლიკე ვარ და ვიცი, თუ რას ნიშნავს ის, და ვიცი მისი ფასიც, მაგრამ მსოფლიოში ბევრ ადამიანს სხვა რამ სწამს, — განმარტა თავისი პოზიცია „ფეხბურთის მეფემ“, — აზიაში, მაგალითად, ცხოვრობს მილიონობით ბუდისტი, შესაძლოა, მათ არ იცოდნენ, ვინაა ქრისტე, მაგრამ პელეს სახელი გაუგიათ“. სამგზის მსოფლიო ჩემპიონის აზრით, ეს მას „უდიდეს პასუხისმგებლობას“ აკისრებს.

ბუნებრივია, პელე ვერ გაექცა ტრადიციულ კითხვას — ვინ უკეთესი მოთამაშეა — ის თუ არგენტინელი მარადონა? ფიფამ ხომ ორივე XX საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარა. პელემ პირდაპირ უპასუხა: „საკმარისია შეხედოთ ფაქტებს. რამდენი ბურთი გაიტანა დიეგომ თავით? — არცერთი, პელემ კი — ასი. ხოლო მარჯვენა ფეხით?“ ბრაზილიელის აზრით, 21-წლიან კარიერაში 1281 ბურთი რომ გაიტანა (ეს რეკორდი ჯერჯერობით დაუმხობელია), „პრობლემა ისაა, რომ არგენტინელები არავითარ შემთხვევაში ამაზე არ დათანხმდებიან“.



2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე კი 65 წლის პელემ განაცხადა, რომ აქ ფავორიტად ბრაზილიის ნაკრებს მიიჩნევს. თუმცა, როგორც ამბობენ, პელეს პროგნოზი ხშირად არ მართლდება.

## ბურეს ჟურნალისტებს აჯობა

**მოსკოვის ტაგანკის სასამართლომ დააკმაყოფილა ცნობილი ჰოკეისტის პავლე ბურეს საჩივარი ჟურნალ „არბატ-პრესტიჟ-ტელეგიდის“ წინააღმდეგ.**

„სასამართლომ ჟურნალის მიერ გავრცელებული ცნობები მიიჩნია, როგორც არასარწმუნო, პატიოსნების, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი. ჟურნალს დაევალა უარყოფის გამოქვეყნება“, — განაცხადა ბურეს ადვოკატმა. ამავე დროს მორალური კომპენსაციის სახით „ჰოკეისტს უნდა გადაუხადონ 300 ათასი რუბლი“.

მაინც რა დაწერა ჟურნალმა? ის, რომ პავლე ბურე „გამუდმებით ტრაბახობს თავის მამაკაცურ გმირობებზე. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ, „მთელ მსოფლიოს საიდუმლოდ გაანდო“, რომ მან უმანკოება დააკარგვინა ანა კურნიკოვას“.

ყოველივე ამას ბურე სიმართლესმოკლებულად მიიჩნევდა და იმიტომაც უჩივლა ჟურნალს.

ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა პავლე ბურე დაამტკიცა ტურინის ოლიმპიურ თამაშებზე რუსეთის ჰოკეისტთა ნაკრების გენერალურ მენეჯერად.

**ხუთშაბათი, 3 ნოემბერი**

07.30 „ადრე“ 10.00 სერიალი „ანაბანა“ 11.00 დოკ. ფილმი „მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ“ 12.00 „მთავარი“ 12.20 ანიმ. ფ. „მედლიანი“ 12.45 ანიმ. სერიალი „პატარა კენგურუები“ 13.00 „საჩინო“ 14.00 სერიალი „საქართველოს ოჯახები“ 15.00 „მთავარი“ აზერბაიჯანულ ენაზე 15.30 „მთავარი“ რუსულ ენაზე 15.45 მულტსერიალი „მეშჩვის კუნძული“ 16.15 სერ. „ლარიდის ტურები“ 17.00 სერიალი „ეჭვი“ 18.00 „მთავარი“ 18.30 „ახალი პროექტი“ - რანჩულის საქართველო 19.00 დოკ. ფილმი „ბრწყინვალე სოფლი“ 20.00 „მთავარი“ 20.45 „ბავშვობა“ 21.00 სერიალი „ანაბანა“ 22.00 სერიალი „ეჭვი“ 23.00 ქართ. მხ. ფილმი „თაგვებზე მონადირე“ (12) 00.30 საინფ. გამოშვება

07.30 დილა 08.00 მულტფილმი „ადამიანი ობობა“ 10.00 სერ. „ოცნების კოშკები“ 11.00 სერ. „შეამბოხე სული“ 12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 03.05 კურიერი 12.20 სერიალი „გრძნობათა ტყვეობაში“ 13.30 „ჯეობარი“ 15.25 მულტფილმი „ადამიანი ობობა“ 16.00 ჩემპიონთა ლიგა. იუვენტუსი-ბაიერნი. 18.30 პატრული 19.00 სერ. „შეამბოხე სული“ 19.50 სერიალი „გრძნობათა ტყვეობაში“ 22.00 „თავისუფალი თემა“ 23.00 „ჯეობარი“ 00.00 სერ. „სიცრუის უდაბნო“ 01.45 მხ. ფილმი „პირისპირ“ (18) (ჰ. ბარდემი) 03.20 პატრული

07.00 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 10.00 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 11.15 სერ. „საბრალო ნასტია“ 12.25, 13.15, 16.15, 17.10, 02.10 იმედის მელოდიები 12.40, 16.25 ტვ-მარკეტი 13.40 „გვაროვნული წყობილება“ 15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.00 ქრონიკა 15.20 სერიალი „მოჯადოება“ 16.40 დოკ. სერიალი „გორდონის ზვიგენები“ 17.30 არტბულვარი 18.05 სერიალი „ჩემი შეყვარებული“ 19.05 სერიალი „მოჯადოება“ 20.55 სერ. „საბრალო ნასტია“ 21.55 „მღერიან და ხუმრობენ ექიმები“ 23.45 მხ. ფილმი „ამერიკელი ქალიშვილი“ (U)

08.30 საინფორმაციო კოლაჟი 08.35 მუსიკა მზეზე 09.00 „გეპატიჟებათ ბ. ვულფი“ 09.30 სერ. „ქვეყნის კიდეზე“ 10.30 მხ. ფილმი „ახლა კი ქალბატონებო და ბატონებო“ (U) 12.35 ტელეჟურნალი „დები ტრევისი“ 13.00 საფეხბურთო მიმოხილვა - ესპანეთი 13.45 კრიმ. სერიალი „CSI“ 14.50 სერ. „ტაქსის მძღოლი“ 15.40 სერიალი „კარაბინერები“ 16.40 სერიალი „დაკარგული ქვეყანა“ 17.30 „სამყაროს უთვალავი ფერები“ 18.30 „გეპატიჟებათ ბ. ვულფი“ 18.55 კლიპი აფხაზეთზე 19.00 „მზერა-ჰედლაინი“ 19.15 სერ. „ქვეყნის კიდეზე“ 20.00 „მზერა“ 20.45 სერიალი „კარაბინერები“ 21.45 კრიმ. სერიალი „CSI“ 22.30 საინფორმაციო კოლაჟი 22.35 მხ. ფ. „ესპოშელი ჯენტლმენი“ (U) (ჟან გაბენი) 00.00 მხ. ფილმი „სინანულის დღე“ (12) (ე. ბერნსი)

08.00 „შესანიშნავი შვიდეული“ 08.30 „ახალი ამბები“ 08.45 კომედია „მხოლოდ შენ და მე“ 10.30 დოკუმენტური ფილმი 11.30 სათავგადასავლო ფილმი „ერიკი“ 13.10 კომედიური ბოევიკი „ნაშას მცველები წყვდიადის წინააღმდეგ“ 14.30, 17.30, 20.30, 00.00 „ახალი ამბები“ 14.45 თრილერი „ამერიკული დანაშაული“ 16.30 მულტსერიალი 17.50 დოკუმენტური ფილმი 18.30 „ნოვოსტი“ 18.45 „ტიკი კუპრიელი“ 19.00 „ჭიტა-ჭიტა“ 19.15 დოკუმენტური ფილმი 20.00 „შესანიშნავი შვიდეული“ 21.15 მხ. ფილმი „ჩემს ცოლს მორისი ჰქვია“ 23.00 „ექსკლუზივი“ 00.15 მხ. ფ. „დი-ჯეის დღე“

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილი იერიშისთვის მზად არის

**სერგეი ივაშჩენკო, გაზეთ „ტრუდის“ სამხედრო მიმომხილველი.**

**თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ მსოფლიო გაერთიანებას მოუწოდა შემოიღოს სანქციები პოლონეთის, უკრაინის და ბულგარეთის წინააღმდეგ, რომლებიც „აიარაღებენ ფაქტობრივად ომის მდგომარეობაში მყოფ საქართველოს“. იგი, რა თქმა უნდა, გულისხმობდა სამხრეთ ოსეთს და აფხაზეთს. კოკოითის აზრით, ასეთი მოქმედება თბილისს აქეზებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით სამხედრო ძალის გამოყენებისთვის.**

რა თქმა უნდა, საკამათოა, აქვს თუ არა კოკოითს — თვითგამოცხადებული და ჯერჯერობით ოფიციალურად არავის მიერ აღიარებული სახელმწიფო წარმონაქმნის მეთაურს იმის უფლება, რომ თბილისს ელაპარაკოს ულტიმატუმის ენით. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ ამ ბოლო ხანებში მიღებული მთელი რიგი გადაწყვეტილებები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ უახლოესი პერსპექტივისთვის თბილისი ნამდვილად ემზადება იარაღით ხელში გაილაშქროს თავისი მეამბოხე ავტონომიების წინააღმდეგ.

საქმე მარტო ის როდი არის, რომ საქართველოს ხელისუფლების ზემოქმედების შედეგად დაიწყო ამ ქვეყნიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გატანა, რომ სულ უფრო გახშირდა საყვედურები და ბრალდებები რუს მშვიდობისმყოფელთა მიმართ, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, უმოქმედოდ არიან ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების ზონებში, და ამ ბრალდებების უკან კარგად ჩანს, რომ თბილისს სურს ნებისმიერ ფასად გაწმინდოს მომავალი ბრძოლის ველი. მთავარია სულ სხვა რამ — შიდაეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში, მეტი რომ არ ვთქვათ, მოკრძალებული წარმატებების ფონზე, მხოლოდ პატარა ძლევამოსილი ომი მისცემს „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თბილისში მოსულ პოლიტიკურ ელიტას ხელისუფლების სათავეში დარჩენის შანსს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გამოაცხადა ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი მმართველობის წარმატების მთავარ საზომად.



თბილისი გამალებით ამზადებს არმიას ომისთვის. ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა ალექსანდრე სტუდენიკინმა ჩემთან საუბრისას განაცხადა, რომ ამერიკელ ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით ქართული არმიის ზოგიერთ შენაერთს მართლაც უკვე აქვს რეალური საბრძოლო ძალა. 2002-2004 წლებში სამთო-სპეციალური დანიშნულების 4 ბატალიონის გაწვრთნისთვის ვაშინგტონს, როგორც ჩანს, ამაოდ არ დაუხარჯავს 64 მილიონი დოლარი. კიდევ 60 მილიონი გამოყვეს ამერიკელებმა მექანიზებული ბრიგადის მომზადებისთვის. საქართველოს თავდაცვითი უწყების ბიუჯეტმა მიმდინარე წლისთვის შეადგინა 77,6 მილიონი დოლარი, 2006 წლისთვის კი დაგეგმილია, რომ ერთისამად გაიზარდოს. თანაც, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კონგრესს მოსთხოვა კიდევ 80,2 მილიონი დოლარი საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გაწევის სახით, რომლიდანაც 12 მილიონი უნდა მოხმარდეს შეიარაღების და აღჭურვილობის შესყიდვას.

საქართველოს ნავსადგურებში სულ უფრო ხშირად შემოდიან იარაღით და ტყვიაწამლით დატვირთული ხომალდები. პრესაში გამოჩნდა ასეთი მონაცემები: ამ ბოლო ხანებში ჩეხეთიდან საქართველოში ჩამოიტანეს 120 ტანკი, უკრაინიდან — ქვეითი ჯარის 40 საბრძოლო მანქანა, 10 ჯავშანტრანსპორტიორი და ტ-72 ტიპის რამდენიმე ტანკი. ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ჩეხეთიდან, ბულგარეთიდან და უკრაინიდან შემოტანილია ათასამდე საარტილერიო სისტემა და 7,5 ათასი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი. ამერიკელების მიერ უსასყიდლოდ გადაცემულ 10 საბრძოლო ვერტმფრენს დაემატა უკრაინაში შესყიდული კიდევ 13 მი-8 ტიპის სატრანსპორტო-საბრძოლო ვერტმფრენი. სუ-25 მოიერიშე თვითმფრინავების ესკადრილია ჩამოიტანეს მაკედონიიდან და უკრაინიდან, გარდა ამისა, უზბეკეთიდან მიიღეს მიგ-23 ტიპის რამდენიმე ავიაგამანადგურებელი.

როცა სანახევროდ დანგრეული ეკონომიკის და გაღატაკებული მოსახლეობის მქონე ქვეყანა თავის თავს ასეთი გამალებული მილიტარიზაციის საშუალებას აძლევს, ჩემი აზრით, ეს შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ ერთს — მისი ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ომი დღე-დღეზე დაიწყება. და მსოფლიო გაერთიანება თუ კვლავაც გულგრილად ადევნებს თვალყურს ამ უაღრესად საშიშ და ავანტიურულ პროცესს, ალბათ, რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან სულ მალე გაისმება ახალი ზალპები.

# სერგეი ბაღაფში: „მოსკოვიდან აფხაზეთში არავინ არ დაუნიშნავთ“

**„ვრემია ნოვოსტეი“, 2 ნოემბერი.**

**თბილისი ამუშავებს კონფლიქტების მოწესრიგების ახალ გეგმებს. უკვე გამოაცხადეს, რომ მზად არის გეგმა სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, რომელიც ითვალისწინებს ამ თვითაღიარებული რესპუბლიკისთვის მაქსიმალური დონის ავტონომიის მინიჭებას. ახლა აფხაზეთის გეგმის რიგი დადგა. მაგრამ აფხაზთა პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა თბილისში „ვრემია ნოვოსტეის“ საკუთარ კორესპონდენტთან მიხეილ ვიგნანსკისთან საუბრისას, საქართველოს ხელმძღვანელობას შესთავაზა სულ სხვა რამ: შევიდეს ისტორიაში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით.**

**— ქართული მხარის წინადადებებზე რას იტყოდით?**

— ასეთი გეგმები არ გაამართლებს. როგორც აფხაზეთის, ისე სამხრეთ ოსეთის ხალხებმა უკვე განსაზღვრეს თავიანთი მომავალი, და როგორც განსაზღვრეს, ყველაფერი ისე გაკეთდება. თუ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აღიარებს ჩვენს დამოუკიდებლობას, იგი ამით შევა ისტორიაში. ჩვენი ხალხები იბრძვიან დამოუკიდებლობისთვის და კვლავაც განაგრძობენ ამ გზით სვლას — მოსწონს ეს ვინმეს თუ არა.

**— საქართველოს ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა რუსეთი გააკრიტიკა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მისი პოზიციის გამო. მინისტრის მტკიცებით, მოსკოვი სიტყვით მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, საქმით კი — ეხმარება მეამბოხე რესპუბლიკებს.**

— მე გელა ბეჟუაშვილს პატივს ვცემ როგორც ადამიანს და როგორც პოლიტიკოსს, მაგრამ რეალიები მსოფლიოში იცვლება და ეს მან უნდა გაითვალისწინოს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ჩვენმა ხალხებმა უკვე განსაზღვრეს, თუ ვისთან და როგორ უნდა იცხოვრონ.

**— თბილისი აცხადებს, რომ მოსკოვი სოხუმსა და ცხინვალში ძირითად თანამდებობებზე თავის ხალხს ნიშნავს. კერძოდ, აფხაზეთში ესენი არიან თავდაცვის მინისტრი, გენერალური შტაბის უფროსი, უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე... ასეთ პირობებში რა დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი?**

— დროა, თბილისში შეწყდეს იმაზე მსჯელობა, თუ ვინ და საიდან ჩამოვიდა ჩვენთან და ვინ რა თანამდებობაზე დაინიშნა. ეს ადამიანები, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ, ჩვენთან ცხოვრობენ და მომავალშიც იცხოვრებენ. მოსკოვიდან არავინ არ დაუნიშნავთ აფხაზეთში.

**— თუ საქართველო გაეროს წინაშე დასვამს აფხაზეთში სამშვიდობო ოპერაციის მისი ეგიდის ქვეშ გადატანის საკითხს?**

— საქართველოს შეუძლია გაეროს შესთავაზოს ყველაფერი, რაც სურს. საკითხავია მხოლოდ ის, დავთანხმდებით თუ არა ჩვენ ამას და როგორი იქნება ჩვენი რეაქცია.

**— და როგორი იქნება თქვენი რეაქცია?**

— ჩვენ კატეგორიული წინააღმდეგი ვართ.

**— მაგრამ საქართველოს პარლამენტმა გასულ თვეში უკვე მიიღო დადგენილება იმის თაობაზე, რომ რუსი სამშვიდობოები 2006 წლის 1 ივლისის შემდეგ დატოვებენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონას, თუ არ იქნება მიღწეული პროგრესი კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში.**

— თუ სამშვიდობოები წავლენ, მათ ადგილს ჩვენ დავიკავებთ. და ამით სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბება. დაე, საქართველოს ხელმძღვანელობამ იფიქროს ამაზე, თუ კისრულობს ასეთ პასუხისმგებლობას.



**— თბილისში ამბობენ, რომ მიმდინარე წლის დამლევს, როცა თქვენ სათავეში ჩაუდექით აფხაზეთს, ბიუჯეტში ერთი კაპიკიც არ იყო. მაგრამ აფხაზეთში რეგულარულად ეწყობა სამხედრო წვრთნები. შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საამისო სახსრებს რუსეთი გამოყოფს.**

— უნდა იცოდე კაცმა მუშაობა სახელმწიფოსთან, ხალხთან, ბიუჯეტთან, რათა ფული გქონდეს! მიმდინარე წელს, მაგალითად, აფხაზეთში იმყოფებოდა მილიონზე მეტი ტურისტი რუსეთიდან. რაც შეეხება წვრთნებს, ამაზე უმნიშვნელო სახსრები იხარჯება.

**— მიმდინარე წლისთვის აფხაზეთმა თავდაცვის მიზნებისთვის გამოყო თავისი ბიუჯეტის დაახლოებით მეხუთედი. ეს ხარჯები მომავლისთვისაც გაიზრდება?**

— თუ საქართველო ზრდის თავის სამხედრო ბიუჯეტს, ჩვენც ერთიორად ვზრდით აფხაზეთის სამხედრო ბიუჯეტს.

**— ზაფხულში თქვენ აცხადებდით, რომ აფხაზეთში არსებობს ნავთობის მარაგი და იგეგმება მოლაპარაკება რუსეთის კომპანიებთან.**

— ჯერჯერობით ასეთი მოლაპარაკება არ დაგვიწყია.

◉ სეზონის გახსნა

# რას გვპირდება ეროვნული მუსიკალური ცენტრი?

**დღეს თავის პირველ საკონცერტო სეზონს ხსნის საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი, რომელიც არსებობიდან სულ რამდენიმე თვეს ითვლის. ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში სიმფონიური მუსიკის საღამოზე აჟღერდება გუსტავ მალერის შემოქმედებითი მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი №2 „აღდგომის სიმფონია“. მსმენელი კიდევ ერთხელ დაფიქრდება და გაიაზრებს ადამიანის წინააღმდეგობებით აღსავსე ყოფიერების ფილოსოფიაზე.**




საღამოს მეორე ნაწილში კი შესრულდება ქართველი კომპოზიტორისა და დირიჟორის ნიკა მემანიშვილის თხზულება „გზა შინისაკენ და უკან“, რომლის საერთო განწყობილება საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველ ხელოვანთა იმპულსისა და შეგრძნებების კონსტატაციაა. იგი თბილისში პირველად სრულდება სრული ვერსიით.

დღევანდელ კონცერტზე გამოვლენ ცენტრში გაერთიანებული შემოქმედებითი კოლექტივები: ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული სიმფონიური ორკესტრი, ნიკო სულხანიშვილის სახელობის საგუნდო კაპელა, ეროვნული სიმებიანი კვარტეტი, აგრეთვე ბავშვთა გუნდი „ბიჭები“, ანსამბლი „სიმი“. გერმანელი მომღერალი ნაილა ვან ინგენი, ფრანგი ვოკალისტი კლარა ჩორდაშვილი და ქართველი ნატო მეტონიძე. საღამოს წარუძღვება დირიჟორი დევიდ დელ პინო კლინგე.

ახლახან დევიდ კლინგე დამტკიცდა ეროვნული სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორად სამი წლის ვადით. იგი ერთხანს, საქართველოსთვის ყველაზე მძიმე პერიოდში უკვე მუშაობდა ამ თანამდებობაზე. **„მიუხედავად იმისა, რომ სხვა გეგმები მქონდა, ამ შემოთავაზებაზე უარი არ მითქვამს, იმიტომ რომ საქართველო მიყვარს. ორკესტრში ძლიერი სული და მუხტია და ჩვენ დიდი შრომა დაგვჭირდება, რომ სასურველ შედეგებს მივაღწიოთ“**, — ამბობს დევიდ კლინგე.

რა პრინციპით იმუშავებს ეროვნული მუსიკალური ცენტრი და რას სთავაზობს იგი საზოგადოებრიობას ახალ სეზონში? ამაზე გვესაუბრება მისი ხელმძღვანელი **ნიკა მემანიშვილი.**

**„ცენტრი მუშაობას ძირითადად სამი პრინციპით წარმართავს. საქართველოში კლასიკური მუსიკის განვითარებაში წვლილის შეტანით, ახალგაზრდების გემოვნების და მუსიკალური ერუდიციის გეზის წარმართვის და ეროვნული საგუნდო, სადირიჟორო, საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარებაზე ზრუნვით,** — ამბობს იგი. — **ვენაში ცხოვრების 5 წლის მანძილზე ვინტერესდებოდი მუსიკის არა მხოლოდ რეალური, არამედ სოციალური და პრაგმატული მხარეებითაც. მაინტერესებდა, როგორ იგეგმებოდა კონცერტები, მენეჯერული საქმიანობა, როგორ კომპლექტდებოდა ორკესტრები და სხვა. ერთი სიტყვით, აქტიურად ჩავიხედე ევროპული საკონცერტო ცხოვრების სამზარეულოში და უპირველესი, რაც ძალიან მხიბლავდა, ეს იყო წლიური კალენდარი, როცა სეზონის დასაწყისში ხელთა გაქვს მთელი სეზონის სურათი. სწორედ მის რეალიზაციას შევუდექი ცენტრის ხელმძღვანელად დანიშვნის დღიდან და დიდ სირთულეებსაც წავაწყდი. აქ არც სახელმწიფო და არც ბიზნეს-კომპანიები მზად არ არიან წინასწარ შეგითანხმდნენ შეხვედრაზე და ბიუჯეტზე. ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იმპულსური პროექტები მუშაობდა. ამჯერად სეზონი დავგეგმეთ დევიდ კლინგეს ან ჩემი და თათა იოსებაშვილის პირადი მეგობარი მუსიკოსების წყალობით, რომ თავისუფალ დღეებში სპონტანურად მაინც გვეწვიონ. სამაგიეროდ, უკვე დავიწყეთ მზადება გაისისთვის. მოვამზადეთ პროექტი და სასპონსორო პაკეტით მივმართეთ რამდენიმე ორგანიზაციას. ახლა პასუხებს ველოდებით. კულტურის სამინისტრო შეგვპირდა, რომ 2006 წლის ბიუჯეტი ჩვენთვის მნიშვნელოვანი ზრდით დაიგეგმება“.**

რაც შეეხება წლევანდელ სეზონს, ცენტრი მსმენელებს საკმაოდ მრავალფეროვან რეპერტუარს სთავაზობს. 1 დეკემბერს პირველ სოლო კონცერტს გამართავს საგუნდო კაპელა. შემდეგ წარმოჩნდება კამერული განყოფილება. ჩაფიქრებულია სიმფონიური მუსიკის კიდევ ორი — გერმანული და ფრანგული მუსიკის საღამოები. გვეწვევა პიანისტი მზია სიმონიშვილი, რომელიც შოსტაკოვიჩის ქმნილებებს დაუკრავს, დირიჟორად მოწვეულია მსოფლიოს ერთ-ერთი წარმატებული ხელოვანი მიხეილ იუროვსკი. 29 დეკემბერს ცენტრი სიმებიანი კვარტეტით მონაწილეობას მიიღებს კონსერვატორიაში გამართულ საახალწლო ფესტივალზე. სხვათა შორის, თბილისში საცხოვრებლად ბრუნდებიან სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის წევრები. ისინი ჩაუდგებიან სათავეში საორკესტრო აკადემიასაც. თამაზ ბათიაშვილი დააკომპლექტებს ახალ კამერულ ორკესტრს.

იანვარ-თებერვალში ეროვნული მუსიკალური ცენტრი ქართული მუსიკის ეროვნულ ფესტივალს გეგმავს, სადაც აჟღერდება კონკურსის შედეგად გამარჯვებული ახალი ქმნილებები.

**რუსუდან მუხიგულაშვილი**

◉ კონსულტაცია

## როგორ დავიცვათ თავი ფრინველის გრიპისგან?

**სახელმწიფო** სანიტარიული ზედამხედველობის ინსპექცია „ფრინველის გრიპის“ თავიდან აცილების მიზნით, მოსახლეობას სამზარეულოში განსაკუთრებული წესრიგის დაცვას ურჩევს. არ უნდა შევიძინოთ ფრინველის ხორცი კერძო პირისაგან. შინაური ფრინველის კვერცხი შენახვამდე საპნით უნდა გაირეცხოს, რადგან ფრინველის გრიპის ვირუსი ადვილად ილუპება ამ სახით დამუშავებისას.

ასევე, ფრინველის უმი ხორცის მომზადების შემდეგ, სხვა პროდუქტებთან შეხებამდე ხელების საპნით დაბანას გვირჩევენ. კვერცხი არანაკლებ 10 წუთის განმავლობაში უნდა იხარშებოდეს.

გარდა ამისა სპეციალისტები მოსახლეობას ურჩევენ, არ მიიღონ საკვებად ისეთი ხორცი, რომელიც წყლიანია და ზეწოლისას მასზე ღრმულები რჩება, თუ ქათმის სისხლჩაქცევებს მოლურჯო ელფერი აქვს, კანი წებოვანია და მომწვანო-მოყვითალო.

**ინტერპრესნიუსი**

## სოციოლოგიური გამოკითხვა

### რა არ გყოფნით იმისთვის, რომ კმაყოფილი იყოთ თქვენი ცხოვრებით?



ფული – 13%
თავისუფალი დრო – 9%
ხვალინდელი დღის რწმენა – 9%
უკეთესი საბინაო პირობები – 8%
მოგზაურობა – 8%
ბედნიერება პირად ცხოვრებაში – 7%
ჯანმრთელობა – 5%
პირადი უშიშროების გრძნობა – 5%
საინტერესო დასვენება – 5%
მე კმაყოფილი ვარ ჩემი ცხოვრებით – 2%
ბევრი რამ სხვა – 29%.

„როსბიზნესკონსალტინგის“ მიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით.

განცხადება

მიმდინარეობს შპს „ფარმაკონის“ ლიკვიდაცია.

დაინტერესებულ პირებს (სავარაუდო კრედიტორებს) შეუძლიათ მიმართონ საწარმოს ლიკვიდატორს ქალბატონ თამარ კალმახელიძეს, შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №25.**

ხსოვნა

## ამბერკი ოქროპირიძე



არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ერუდიციით, ნიჭიერებით, საოცარი სითბოთი და გულისხმიერებით წარუშლელ კვალს სტოვებენ ცხოვრებაში, მრავალთათვის ხდებიან მაგალითის მიმცემნი ცხოვრებაში.

ალბათ ბევრი დაგვეთანხმება (მას კი უამრავი ადამიანი იცნობდა საქართველოში), რომ ნამდვილად ასეთი პიროვნება იყო **ამბერკი ოქროპირიძე** — საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

პროფესიონალი, ღრმად განათლებული იურისტი არაერთხელ გამხდარა გაჭირვების ტალკვესი სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებული მრავალი ადამიანისათვის.

მის ნიჭსა და ერუდიციას პატივს სცემდნენ საქართველოს ყველა კუთხეში. იგი დაუზარებლად ემსახურებოდა ყველას, ვინც შველას ითხოვდა და ძალიან ხშირად მოუგია ისეთი პროცესებიც, სადაც გამარჯვების იმედი ხშირად მომჩივანსაც კი გადაწურული ჰქონდა...

საქართველოს იურისტთა რიგებს გამოაკლდა ღირსეული პიროვნება, რომელმაც საინტერესო ცხოვრების გზა განვლო.

ამბერკი ზაზას ძე ოქროპირიძე დაიბადა 1941 წლის 1 აპრილს ბორჯომის რაიონის სოფ. ჭობისხევში. ბორჯომში წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა და ბუნებით სამართლიანობის მოყვარულმა იურისტის პროფესიის არჩევა გადაწყვიტა.

1974 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, იწყებს აქტიურ მოღვაწეობას იურისტის სპეციალობით სხვადასხვა ორგანიზაციებში, სამინისტროებსა და სამმართველოებში, სადაც სრულად გამოავლინა თავისი ნიჭიერება და საოცარი გონებამახვილობა.

1983 წელს ამბერკი ოქროპირიძე მუშაობას იწყებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპულიკურ კომიტეტში შრომის სამართლებრივ ინსპექტორად.

2000 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და პრეზიდიუმის წევრად.

ამ თანამდებობაზე მუშაობდა იგი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. იგი არჩეული იყო საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების საბჭოს წევრად. მრავალი წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების შრომის მთავარ სამართლებრივ ინსპექტორად.

აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომისიასთან, იურისტთა მრავალ გაერთიანებასთან და სხვ.

მისი აქტიური მონაწილეობით შემუშავდა „საქართველოს კანონი პროფკავშირების შესახებ“, არაერთი სხვა კანონი და ნორმატიული აქტი...

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი მოქალაქე, დიდად კულტურული, უპრეტენზიო და მოჭირნახულე კაცი, ერთგული და ულალატო მეგობარი, სამაგალითო, ქართული ტრადიციებით აღსავსე ბრწყინვალე ოჯახის პატრონი, კეთილი საქმისათვის დაუცხრომელი მამულიშვილი.

ნათელი ყოფილიყოს მისი ხსოვნა.

**საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭო.**

◉ ცოტაც გავიცინოთ...

**ტიპი** სამსახურში უცნაურად გამოწყობილი მივიდა: ცალ ფეხზე შავი ფეხსაცმელი აცვია, მეორეზე — ყავისფერი.

— რას ჰგავხარ, სასწრაფოდ წადი სახლში და გამოიცვალე ფეხსაცმელები, — საყვედურობს დირექტორი.

— არაფერი გამოვა, უფროსო, შინაც ზუსტად ასეთი ფეხსაცმელები მაქვს.

* * *

— ეი, ბარმენო, მე ვიცი ხერხი, რომლის გამოყენებითაც ორჯერ მეტ ლუდს გაყიდით.

— რა არის ამისთვის საჭირო?

— პირთამდე აავსეთ კათხები.

* * *

**ქმრის** კუბოსთან ჩაჩოქილი ქვრივი გაუთავებლად ტირის. მეგობრები მის დამშვიდებას ცდილობენ.



— არა, არა, თავი დამანებეთ, — ქვითინებს ქვრივი, — ბოლომდე უნდა გამოვიტირო იგი, რათა მერე არასოდეს გავიხსენო!...

* * *

**კამერაში** ახალი მსჯავრდებული შემოიყვანეს:

— რისთვის ჩაგსვეს? — ეკითხებიან დამხვდურნი.

— საფულის მოპარვისთვის.

— ესე იგი, ჯიბის ქურდი ხარ? და გეყო იმის თავხედობა, რომ მოსულიყავი აქ, სახელმწიფო მოხელეების, ბარმენების, გამყიდველებისა და მეწარმეების კომპანიაში?

* * *

— შეიძლება შიშველი უკანალით ზღარბზე დაჯდომა?

— შეიძლება სამ შემთხვევაში: თუ ზღარბი გაკრეჭილია, თუ უკანალი სხვისია და თუ პარტია გიბრძანებს.

◉ ცოდნის სკივრი

# მიწისქვეშა სასახლეები

**საუკუნე-ნახევრის წინათ მეტრო შეიქმნა დიდ ქალაქში გადაადგილების პრობლემის გადასაჭრელად. მას შემდეგ მეგაპოლისის ყოველდღიურად საჭირო ტრანსპორტი თავის რეპუტაციას არ კარგავს. იგი ხომ ტექნიკის, არქიტექტურისა და ხელოვნების სასწაულია.**

●**მიუნხენის U-bahn-ის პირველი რიგი 1972 წლის ოლიმპიური ასპარეზობის დაწყებისას გაიყვანეს. ოლიმპიადის დროს დამყარდა მგზავრთა გადაყვანის რეკორდი — 30 ათასი მგზავრი საათში ერთი მიმართულებით.** ჩვეულებრივ კი ბავარიის დედაქალაქის მეტროს გადაყავს არა ნაკლებ 600 ათასი ადამიანი დღე-ღამეში.

●**შვედეთის დედაქალაქის მეტრო ერთ-ერთი ულამაზესია ევროპაში.** მისი ახალი ხაზი კი ნამდვილი მიწისქვეშა გალერეაა: მის სადგურებს ცნობილი მხატვრები და დიზაინერები აფორმებდნენ. ერთ-ერთი მათგანი აგებულია კლდის მღვიმის სახით, რასაც მშვენიერი ჩანჩქერი ამშვენებს.

● **ლონდონის მეტრო-„მილი“ მეტრომშენებლობის პიონერია.** აქ პირველი ესკალატორიც ამუშავდა. მაგრამ მოძრავი კიბეები ყველა სადგურში როდია. ზოგიერთი მგზავრი ლიფტებით გადაჰყავთ, ხოლო ზოგიერთი მგზავრი, ვისაც გრძელ გადასასვლელებზე სიარული ეზარება, მოძრავი ბილიკებით გადადის.

●**ყველაზე პატარა მეტრო გაიხსნა 1959 წელს ისრაელის ქალაქ ხაიფაში.** მასში მხოლოდ 6 სადგურია. მეტროს ერთი თავიდან მეორე თავამდე მგზავრობას მხოლოდ 10 წუთი სჭირდება.

●**2010 წელს მეტრო გამოჩნდება ვენეციაშიც! მისი სიგრძე 8,3 კილომეტრი იქნება.** ეს ყველაზე გაბედული პროექტია მეტრომშენებლობის ისტორიაში.

●**მეტროს ყველაზე სწრაფი ხაზი პარიზშია.** ზოგიერთ სადგურს შორის საშუალო სიჩქარე შეადგენს 100 კილომეტრს საათში.

●**ყველაზე „მაღალი“ მეტრო-საბაგირო გზა საასფეში (შვეიცარია) გადის პიტალო კლდეებს შორის გვირაბის მეშვეობით.** მიტელალალინის სადგური 3500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

●**გვირაბგასაყვანი ფარი 1814 წელს ინგლისელმა მარკ ბრიუნელმა გამოიგონა.** ეს იდეა თავში მოუვიდა იმ დროს, როდესაც ზღვის მოლუსკის მოძრაობას უკვირდებოდა.

●**ყველაზე ვრცელი მიწისქვეშეთი ნიუ-იორკშია.** ხაზების სიგრძე 370 კილომეტრია, სადგურების რაოდენობა — 468.

●**მეტროს პირველი ხაზი გაიყვანეს ლონდონში: 6,5 კილომეტრი, 7 სადგური.** მგზავრობა 33 წუთი გრძელდებოდა.

●**მექსიკაში სადგურები მორთულია სხვადასხვა ორნამენტით,** რათა გაუნათლებელმა მგზავრებმა გზა გაიკვლიონ.

●**ყველაზე დატვირთული მეტროებია მოსკოვსა და ტოკიოში:** 3-3 მილიარდი მგზავრი წელიწადში.

●**ლონდონის სამეფო სატრანსპორტო კოლეჯმა ერთმანეთს შეუდარა მსოფლიოს მეტროპოლიტენები** 20-20 პარამეტრის მიხედვით და პირველ ადგილზე დააყენა მოსკოვის მეტრო, მეორეზე — ტოკიოსა და მესამეზე — ლონდონის მეტრო.









◉ ლარის კურსი

**3 ნოემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,1750 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,8000 ლარი |
| ევრო | 1 | 2,1626 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0630 ლარი. |
| აზერბაიჯანული მანათი | 1000 | 0,3916 ლარი. |
| სომხური დრამი | 100 | 0,3985 ლარი. |
| უკრაინული გრივნა | 10 | 3,5764 ლარი. |

## დღის კალენდარი 3 ნოემბრისთვის

☼ ამოდის 06.35, ჩადის 16.52

) ამოდის 08.05, ჩადის 17.24

**წლის 307-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 58 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

**ღირსი ილარიონ დიდისა (371-372); მოწამეთა: დასისა, გაიოზისა და ზოტიკესი (303).**

**დაიბადნენ:**

**1470 — ედვარდ V**, ინგლისის მეფე. გარდაიცვალა 1483 წელს.

**1658 — სულხან-საბა ორბელიანი,** დიდი მამულიშვილი, მეცნიერი, პოლიტიკური მოღვაწე. გარდაიცვალა 1725 წელს.

**1801 — ვინჩენცო ბელინი,** იტალიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1835 წელს.

**1887 — სამუელ მარკაში,** პოეტი. გარდაიცვალა 1964 წელს.

**1896 — ნიკოლო მიწიშვილი** (ნიკოლოზ სირბილაძე), მწერალი. გარდაიცვალა 1937 წელს.

**1901 — ლეოპოლდ III,** ბელგიის მეფე. გარდაიცვალა 1983 წელს.

**1913 — მარიკა როკი,** გერმანელი კინომსახიობი.

**1931 — მონიკა ვიტი,** იტალიელი კინომსახიობი.

**1943 — ომარ დეკანოსიძე**, ექიმი, პათოლოგანატომი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, დაამთავრა თსსა სამკურნალო ფაკულტეტი.

**გარდაიცვალნენ:**

**361 — იულიუს კონსტანტუს ფლავიუს II,** რომის იმპერატორი.

**1911 — ფილიმონ ქორიძე,** მომღერალი, პედაგოგი, ფოლკლორისტი, ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**1954 — ჰენრი მატისი**, ფრანგი მხატვარი.

**1970 — ერლ სტენლი გარდნერი,** ამერიკელი მწერალი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**იაპონია — ეროვნული კულტურის დღე.**

**ლიმერა — მადლიერების დღე.**

**დომინიკის რესპუბლიკა და პანამა — დამოუკიდებლობის დღე.**

**მედიანიუსი**



მეუღლე ლია ლომთათიძე, შვილები თათია, ლაშა არჩემაშვილები, შვილიშვილი ელენე კიკალიშვილი, ძმა ვალოდია, და ნათელა, ცოლისდა მარინა, სიდედრი მარგო ჯიქია, სიძე ელდარ ზითანიშვილი, ქვისლი ამირან ამირანაშვილი, რძალი მაყვალა ზვიადაური, ბიძაშვილები ხვთისო, გიორგი, ვალიკო არჩემაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან (მერაბ) გიორგის ძე არჩემაშვილი

პანაშვიდი 1, 2 XI, დაკრძალვა 3 VI, 14 სთ. დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალის 31.



მეუღლე თამარ შელია, შვილები მზია, ლია, მაიკო, სიძეები ჯუმბერ კავთელაძე, აკაკი ფარულავა, შვილიშვილები ნუკრი, ზაზა, კახა, შოთიკო, თაკო, სანდრო, ლუკა, ძმისწულები ოჯახებით, ცოლისძმა აბესალომი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შოთა დავითის ძე იოზაშვილი

პანაშვიდი 3, 4 XI, 16 სთ. გამოსვენება 5 XI, 14 სთ. მის. ბასა ღოლობერიძის ქ. 6. II სად. III სართ.

სამედიცინო ინსტიტუტ „თბილისის“ (რექტორი — პროფ. ნ. ბაქრაძე) რექტორატი, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები თანაგრძნობას უცხადებენ აკადემიკოს გურამ ჩიხლაძეს მეუღლის

ირინა ჩიხლაძის

გარდაცვალების გამო.

ლიანა და თამაზ გამცემლიძეები, ოჯახის წევრებთან ერთად, დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრის, ძველი თაობის თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული კაცის

მერაბ მეზუკის

გარდაცვალების გამო.

მერი და დიზი სურგულაძეები, ოჯახის წევრებთან ერთად, დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრის, ძველი თაობის ერთ-ერთი კოლორიტული კაცის

მერაბ მეზუკის

გარდაცვალების გამო.

ირა და ბენო მუსერიძეები, ოჯახის წევრებთან ერთად, დიდ გულისტკივილს გამოთქვამენ ოჯახის უახლოესი მეგობრის, ძველი თაობის თბილისის ერთ-ერთი კოლორიტული კაცის

მერაბ მეზუკის

გარდაცვალების გამო.

პანაშვიდი 2 XI, 17 სთ. გამოსვენება 3 XI, 15 სთ. საბურთალოს ქ. 36, II სადარბაზო.

შპს „საქრკინიგზაექსპედიციის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ვასილ ჩიგოგიძის მამის

დემნა (სერგო) ჩიგოგიძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

სოფლის მეურნეობის და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფკავშირის თბილისის საქალაქო საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პროფკავშირული მუშაკი

ამბერკი ოქროპირიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეგობრები იუსტინე იოსელიანი, ნუგზარ უგლავა ოჯახებით თანაუგრძნობენ მერაბ გაგოშიძეს მეუღლის

თინათინ კანდელაკის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

დაკრძალვა 5 XI, 14 სთ. ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. 151.

შვილები გია, ნატო გრიგოლავები, და ლედი ლაფაჩი, რძალი ლალი მეგრელაძე, შვილიშვილი ეკა, მძახლები ნანული მეტონიძე, იური მეგრელაძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლაურა აკაკის ასული ლაფაჩი-გრიგოლავა

პანაშვიდი 3, 4 XI, დაკრძალვა 5 XI, 14 სთ. თბილისი, ტიბაანის ქ. №46 (მე-8 საავადმყოფოს ზევით).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები
გამომცემელი – შპს „თანადგომა-1“
დირექტორი თენგიზ კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ტურაბელიძე.

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.